ევროკავშირი საქართველოსთვის

CSRDG

KONRAD ADENAUER STIFTUNG

სათემო ჯგუფებისა და პროექტების სოციალური გავლენის კვლევა

ანგარიში

ევროკავშირი საქართველოსთვის

CSRDG
საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

KONRAD ADENAUER STIFTUNG

წინამდებარე პუბლიკაცია შექმნილია “საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის” (CSRDG) მიერ, ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის “**სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა:** *მდგრადი, ღია და ანგარიშვალდებული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები საქართველოს განვითარებისთვის*” ფარგლებში. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია 'საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი' და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის შეხედულებებს.

პროექტს ახორციელებს კონსორციუმი კონრად ადენაუერის ფონდის (KAS) ხელმძღვანელობით შემდეგ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად - საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (CSRDG), სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი (CSI), კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრი(CTC), განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრი (EDEC) და ევროპული პოლიტიკის ინსტიტუტი(IEP).

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი

ctc Empowering People for Change

EDEC

Institut für Europäische Politik

სათემო ჯგუფებისა და პროექტების სოციალური გავლენის კვლევა

ანგარიში

შემსრულებელი ორგანიზაცია: სათემო განვითარების ცენტრი

მკვლევრები:

ანა მარგველაშვილი

თამარ ზურაბიშვილი

შოთა მურღულია

კვლევის პროცესში გაწეული დახმარებისათვის ავტორები მადლობას უხდიან კვლევაში ჩართულ რესპონდენტებს, რომელთა მონაწილეობის, ღირებული გამოცდილებისა და ცოდნის გაუზიარებლად, კვლევა ვერ შედგებოდა; ასევე, დარგის ექსპერტებსა და მუნიციპალური სამსახურების წარმომადგენლებს – დათმობილი დროის, გაზიარებული ხედვების და მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოწოდებისათვის. მკვლევრებს – ზაქარია თავბერიძეს, ეკატერინე ფირცხალავას და ლალი ჯაშიაშვილს, რომელთა გარეშეც კვლევა სრულყოფილი ვერ იქნებოდა. სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრს – სათემო კვლევების მხარდაჭერისათვის და ცენტრის წარმომადგენელს, ნინო ვასაძეს – კვლევის პროცესში აქტიური ჩართულობისა და გაწეული ექსპერტიზისათვის.

2022 წელი

ISBN 978-9941-8-5189-6

სარჩევი



მოკლე შეჯამება 4
შესავალი 7
ნაწილი I: სიტუაციის ანალიზი 12
სათემო ორგანიზაციები საქართველოში: მოკლე ისტორიული მიმოხილვა 12
სათემო ორგანიზაციები: განმარტების მცდელობა 14
სათემო ორგანიზაციების მიმოხილვა 16
სათემო ორგანიზაციების პროფილი 16
სათემო ორგანიზაციების ზოგადი დახასიათება 24
სათემო ორგანიზაციების საერთო მახასიათებლები 31
ნაწილი II: შეფასების მიგნებები: სათემო ჯგუფები და სათემო პროექტები 38
შესაბამისობა 38
ეფექტურობა 47
ეფექტიანობა 43
მცირე სათემო პროექტების ზეგავლენა 44
მდგრადობა 55
სათემო ორგანიზაციების მუშაობის დაუგეგმავი შედეგები: 60
ნაწილი III: მცირე პროექტების ეკონომიკური გავლენის შეფასება 62
შეფასების მეთოდოლოგია 62
კონკრეტული პროექტები და მათი ეკონომიკური გავლენა 66
განზოგადებული შედეგები 78
შეჯამება და რეკომენდაციები 80
ბიბლიოგრაფია 96
დანართები 98
დანართი 1. შეფასების მეთოდოლოგია 98
დანართი 2. ეთნოგრაფიები 116

მოკლე შეჯამება

წინამდებარე შეფასება მომზადდა საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის მხარდაჭერით, ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის, **„სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა:** მდგრადი, ღია და ანგარიშვალდებული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები საქართველოს განვითარებისთვის“, ფარგლებში. შეფასების შედეგად შესწავლილ იქნა საქართველოში ბოლო 30 წლის განმავლობაში დაგროვილი გამოცდილება, როგორც ზოგადად სათემო ორგანიზაციების მუშაობის, ისე მათ მიერ განხორციელებული მცირე სათემო პროექტების გავლენისა თემზე. შეფასების შედეგად გამოიკვეთა ძირითადი გამოწვევები და შემუშავდა რეკომენდაციები, რომლებიც მიმართულია სათემო ორგანიზაციების სამოქმედო გარემოს გაუმჯობესებაზე. კვლევითი სამუშაოები ჩატარდა 2021-2022 წლებში.

შეფასების შედეგად დადგინდა, რომ სათემო ორგანიზაციები საქართველოში კვლავ სერიოზული გამოწვევების წინაშე დგანან, თუმცა, მიუხედავად ამისა, ისინი მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საკუთარი თემების ცხოვრებაში, ზრდიან ცხოვრების ხარისხს, ხელს უწყობენ თემისა და სოფლის განვითარებას. შესაბამისად, მათი მუშაობის გავლენა თემზე, შეფასების შედეგად შეფასდა, როგორც უაღრესად დიდი და მნიშვნელოვანი.

აღსანიშნავია, რომ სათემო ორგანიზაციების სამუშაო არეალი გამოირჩევა მრავალფეროვნებით, თუმცა ძირითადი საქმიანობა უკავშირდება არაფორმალურ განათლებას, ახალგაზრდულ საკითხებს, ქალების ეკონომიკურ გაძლიერებას, გარემოს დაცვას, ინფრასტრუქტურულ განვითარებას და კულტურას.

გამოწვევები და რეკომენდაციები[1]

დონორი ორგანიზაციებისადმი

გამოწვევა 1. საჭიროებების გამოვლენის მეთოდოლოგიის დახვეწა	რეკომენდებულია (1) საჭიროებების კვლევების ერთიანი ინსტრუმენტის შემუშავება და (2) სათემო ლიდერების და სათემო ორგანიზაციაში ჩართული მოხალისეების გადამზადება საჭიროების კვლევის ინსტრუმენტის გამოყენების თვალსაზრისით.
გამოწვევა 2. მონიტორინგისა და შეფასების სისტემის არარსებობა	რეკომენდებულია, სათემო ორგანიზაციებში რეგულარული მონიტორინგისა და შეფასების სისტემების დანერგვა დონორი ორგანიზაციების დახმარებით.
გამოწვევა 3. სათემო ორგანიზაციების ორგანიზაციული სისუსტე და ინსტიტუციონალიზაციის ნაკლებობა	რეკომენდებულია სათემო ორგანიზაციებისთვის ინსტიტუციური გაძლიერების პროგრამების შემუშავება და დანერგვა. ასევე, თემში სათემო ორგანიზაციების ორგანიზაციული ხილვადობის გაზრდა.

[1]გამოწვევები და რეკომენდაციები არ არის დალაგებული პრიორიტეტული თანმიმდევრობით. დეტალურად გამოწვევები და რეკომენდაციები წარმოდგენილია შესაბამის ქვეთავში.

გამოწვევა 4.

ალტერნატიული შემოსავლების/ დაფინანსების პოტენციალის გამოყენების ნაკლები შესაძლებლობები

რეკომენდებულია, შეფასდეს კონკრეტულად სათემო ორგანიზაციებისთვის დაფინანსების ალტერნატიული წყაროების მოძიების შესაძლებლობები (feasibility study) და შემდგომ, შეფასების შედეგების მიხედვით, შემუშავდეს და დაინერგოს შემოსავლების დივერსიფიცირების სისტემა.

გამოწვევა 5.

სათემო ორგანიზაციების მუშაობისას ნაკლები ყურადღება ეკონომიკური გაძლიერების მიმართულებით

რეკომენდებულია სათემო ორგანიზაციების მუშაობაში ეკონომიკური გაძლიერების მიმართულებების შესწავლა და წინ წამოწევა, რათა სათემო ორგანიზაციების ზოგადი საქმიანობით ხელი შეეწყოს ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ გაძლიერებას. ამ კონტექსტში სასურველი იქნებოდა, რომ პროექტის შეფასებისა და მონიტორინგის მეთოდოლოგიას დაემატოს ეკონომიკური ეფექტის შეჯამების მოდულიც და სათემო ორგანიზაციებისთვის გამოცხადებულ საგრანტო კონკურსებში სოციალურ გავლენასთან ერთად ეკონომიკური გავლენაც ფასდებოდეს.

გამოწვევა 6.

ადგილობრივ თვითმმართველობებთან თანამშრომლობის ინსტიტუციონალიზაციის ნაკლებობა/არარსებობა

რეკომენდებულია (1) ადგილობრივ თვითმმართველობებთან თანამშრომლობის გაძლიერება მათი სხვადასხვა აქტივობაში უფრო აქტიური ჩართულობის გზით, და (2) სათემო ორგანიზაციების მიერ მუნიციპალიტეტებისთვის მუნიციპალური განვითარების გეგმების მიხედვით დასახული პრიორიტეტების განხორციელებაზე ერთობლივი მუშაობის შეთავაზება.

გამოწვევა 7.

მცირე სათემო პროექტების რაოდენობის სიმცირე

რეკომენდებულია დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების შედეგად მცირე სათემო პროექტების დაფინანსების ისეთი მექანიზმის შემუშავება, რომელიც გაითვალისწინებს (1) პროექტებს შორის „განგრძობადობის“ კრიტერიუმს; (2) გაზრდის დაფინანსებული მცირე სათემო პროექტების რაოდენობას, რაც სათემო ორგანიზაციებს შესაძლებლობას მისცემს, რომ წელიწადში ერთი მცირე პროექტი მაინც განახორციელონ.

გამოწვევა 1.

ადგილობრივ თვითმმართველობებთან თანამშრომლობის ინსტიტუციონალიზაციის ნაკლებობა/არარსებობა

რეკომენდებულია (1) ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე სათემო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ინსტიტუციონალიზაცია მუნიციპალური/რეგიონული სათემო ორგანიზაციების საბჭოს/ფორუმის ორგანიზების მეშვეობით.
(2) რეკომენდებულია მუნიციპალიტეტებსა და საკრებულოებში სათემო განვითარების სამსახურების/ სპეციალისტების არსებობა, რომლებიც კოორდინაციას გაუწევენ სათემო ორგანიზაციების მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობას.

გამოწვევა 2.

მუნიციპალური სერვისების OUT-SOURCING-ის საჭიროება

რეკომენდებულია მუნიციპალიტეტებმა/ საკრებულოებმა განიხილონ და დანერგონ შესაბამისი (საგანმანათლებლო, ადრეული განვითარების და ა.შ.) სერვისების out-sourcing-ის ანუ სერვისების განხორციელებისთვის გარე რესურსების გამოყენების მექანიზმები, განსაკუთრებით, სოფლად, და შექმნან შესაბამისი ინსტიტუციური გარემო, რომელიც სათემო ორგანიზაციებს ხელს შეუწყობს, მიიღონ მონაწილეობა ამ მექანიზმების განხორციელებაში.

შესავალი

წინამდებარე შეფასება მომზადდა ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის, „**სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა:** მდგრადი, ღია და ანგარიშვალდებული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები საქართველოს განვითარებისთვის“, ფარგლებში. შეფასების მიზანი იყო, შეესწავლა საქართველოში 30 წლის განმავლობაში დაგროვილი გამოცდილება, როგორც ზოგადად სათემო ორგანიზაციების მუშაობის, ისე მათ მიერ განხორციელებული მცირე სათემო პროექტების გავლენისა თემზე, და შეემუშავებინა რეკომენდაციები, მიმართული სათემო ორგანიზაციების სამოქმედო გარემოს გაუმჯობესებაზე. კვლევითი სამუშაოები ჩატარდა 2021-2022 წლებში.

მიუხედავად იმისა, რომ სათემო თვითორგანიზებამ, დღემდე უკვე საკმაოდ გრძელი და რთული გზა განვლო, მაინც მწირია კვლევები ამ პროცესის, სათემო ჯგუფების და მათი განვითარების დინამიკისა თუ მიზნობრივ თემებზე მათი საქმიანობის გავლენის შესახებ. ასევე შეუსწავლელია სათემო ჯგუფების საქმიანობისა და მათი მცირე-ბიუჯეტიანი პროექტების (ე.წ. სათემო პროექტების) გავლენა თემზე, მიუხედავად იმისა, რომ სათემო თვითორგანიზებაზე მიმართულ ადგილობრივ თუ საერთაშორისო პროგრამებში, გრანტების მეშვეობით, მცირე სათემო პროექტების განხორციელება, როგორც სათემო ჯგუფების გაძლიერების ინსტრუმენტი, თავიდანვე გამოიყენებოდა და, ამ მხრივ, ქვეყანაში უკვე მდიდარი გამოცდილებაა დაგროვილი.

საქართველოს მუნიციპალიტეტებში, სოფლებში მოქმედი სათემო ჯგუფები იმავე პრობლემების წინაშე დგანან, რა პრობლემების წინაშეც ზოგადად საზოგადოებრივი ორგანიზაციები იმყოფებიან. თუმცა სათემო ორგანიზაციებს სხვა, დამატებითი და სპეციფიკური პრობლემებიც აქვთ და თან, გაცილებით „ჩაკეტილ სივრცეში“ უწევთ მუშაობა, ვიდრე უფრო დიდ ქალაქებში მოქმედ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, რაც ასევე დამატებითი ნიუანსია, რადგან „ნაკლებად ანონიმურ“ გარემოში,

განსაკუთრებით, კრიტიკული მუშაობა მეტ სირთულესთან არის დაკავშირებული; ამას ემატება ასევე, მაგ., ადამიანური რესურსის სიმცირით გამოწვეული და სხვა პრობლემები.

სპეციალური ფოკუსით სათემო ჯგუფებზე, აღსანიშნავია 2021 წელს დასრულებული კვლევა **„საქართველოში 2019-2020 წლებში მოქმედი სათემო ჯგუფების აღწერა“**, რომელიც სათემო განვითარების ცენტრმა საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის და ღია საზოგადოების ფონდის მხარდაჭერით განახორციელა[2]. კვლევის ამოცანა იყო მოქმედი სათემო ჯგუფების შედარებით დაზუსტებული სიის დადგენა (CBO Mapping) და მათი ორგანიზაციული სტრუქტურის შესწავლა. ამ კვლევის ერთ-ერთი რეკომენდაცია მცირე საგრანტო პროგრამების ფარგლებში, სათემო ორგანიზაციების მიერ განხორციელებული სხვადასხვა აქტივობისა და პროექტების თემზე გავლენის შესწავლა გახლდათ. სწორედ ამ რეკომენდაციას ეხმიანება წინამდებარე **სათემო ჯგუფებისა და პროექტების სოციალური გავლენის[3] კვლევა.**

შეფასების, **„სათემო ჯგუფებისა და პროექტების სოციალური გავლენის კვლევა“**, მიზანი იყო:[4]

საქართველოში, 30 წლის განმავლობაში დაგროვილი გამოცდილების, კერძოდ, ზოგადად სათემო ჯგუფების მუშაობის და ასევე, მცირე სათემო პროექტების თემზე გავლენის შესწავლა და რეკომენდაციების შემუშავება, რომლებიც მიმართულია სათემო ორგანიზაციების სამოქმედო გარემოს გაუმჯობესებაზე.

---

[2]მარგველაშვილი ა. 2021. საქართველოში 2019-2020 წლებში მოქმედი სათემო ორგანიზაციების კვლევა. სათემო განვითარების ცენტრი, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, ღია საზოგადოების ფონდი.
bit.ly/3XP41ZM

[3]პროგრამის (ინტერვენციის, პოლიტიკის, გეგმების, პროექტების) განხორციელებით მიღწეული დაგეგმილი და დაუგეგმავი, პოზიტიური და ნეგატიური შედეგები, ნებისმიერი სოციალური ცვლილება, რომელიც ჩარევამ გამოიწვია. სოციალური გავლენა არის ყველაფერი, რაც კონკრეტული ადამიანისთვის ან ჯგუფისთვის მნიშვნელოვანი და ღირებულია - გავლენის შეფასების საერთაშორისო ასოციაცია (International Association for Impact Assessment).

[4]შეფასების დეტალური მეთოდოლოგია წარმოდგენილია დანართ 1-ში.

კერძოდ, შეფასების ამოცანა იყო შემდეგი ძირითადი საკითხების შესწავლა:

- ზოგადად, სათემო ჯგუფების საქმიანობის შეფასება თემზე გავლენის კუთხით;
- მცირე სათემო პროექტით მოსარგებლეთა სოციალური, ეკონომიკური ან სხვა ტიპის სარგებელი (მათ შორის, გვერდითი ეფექტებიც);
- მცირე სათემო პროექტების გავლენა ადამიანების პიროვნულ განვითარებაზე (ახალი ცოდნა და უნარები);
- მცირე სათემო პროექტებით გამოწვეული ცვლილებები მოსარგებლეთა დამოკიდებულებებსა და ურთიერთობებში (თვითრწმენა, აღიარება, სხვა ორგანიზაციებთან კონტაქტების დამყარება);
- ამ პროექტების ფართომასშტაბიანი გავლენა თემზე;
- მცირე სათემო პროექტების შედეგების მდგრადობა;
- პროექტების ხარჯთეფექტურობა და თემზე მათი ეკონომიკური გავლენა (იხ. აქვე ნაწილი III).

სათემო პროექტში, წინამდებარე კვლევის ფარგლებში იგულისხმება: სხვადასხვა თემატიკის პროექტი, რომლის ღირებულებაც არ აღემატება 10000-15000 ლარს და რომელიც, თემის ინტერესების გათვალისწინებით, განახორციელა სათემო ორგანიზაციამ, ჯგუფმა ან სათემო ლიდერმა დასახლებაში, რომლის მოსახლეობაც არ აღემატება 10 000 მცხოვრებს.

რაც შეეხება სათემო ჯგუფს, წინამდებარე კვლევის ფარგლებში მასში იგულისხმება - სამოქალაქო კოდექსის მიერ რეგისტრირებული არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირი ან არარეგისტრირებული საინიციატივო ჯგუფი, რომლის მოქმედების არეალი განისაზღვრება დასახლებით, სადაც მოსახლეობის რაოდენობა არ აღემატება 10 000 მცხოვრებს და რომლის საქმიანობაც ორიენტირებულია ზოგადად ადგილობრივი მცხოვრებლების, თემის ანდა კონკრეტული თემის - ინტერესთა ჯგუფის კეთილდღეობასა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებაზე.

პირველი ეტაპი მოიცავდა რაოდენობრივ კვლევას (სატელეფონო ანკეტირება) და სამაგიდო კვლევისთვის სათემო თვითორგანიზების საკითხების ექსპერტებთან ჩაღრმავებულ ინტერვიუებს.[5] რაოდენობრივი კვლევისა და ექსპერტული ინტერვიუების მიზანი, საქართველოში მოქმედი სათემო ჯგუფების სამუშაო გარემოს და ძირითადი გამოწვევების ზოგადი ანალიზი იყო, ასევე, მცირე სათემო პროექტების შესახებ ინფორმაციის თავმოყრა კვლევის შემდეგი ეტაპების ჩასატარებლად.

[5]სიღრმისეული ინტერვიუები ჩატარდა ეროვნულ ან სამხარეო დონეზე მოქმედი საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, რომელთაც თემთან მუშაობის, სათემო საკითხების კვლევის მრავალწლიანი გამოცდილება აქვთ. სულ ჩატარდა ცხრა ინტერვიუ, ისეთი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, როგორებიცაა CSRDG, CTC, CENN, KRDF, TASO, SAGA, CIPDD, გურიის მედიატორთა ასოციაცია და „განვითარების კერა“. ინტერვიუების მიზანი იყო გაგვეგო, თუ როგორ აფასებენ ექსპერტები, ზოგადად სათემო ორგანიზაციების მდგომარეობას, ისე მათ ზეგავლენას იმ თემებზე, სადაც ეს ორგანიზაციები მუშაობენ; სად ხედავენ ყველაზე დიდ გამოწვევებს და როგორია, მათი აზრით, ამ გამოწვევების გადაჭრის გზები. ექსპერტული ინტერვიუების შედეგები გამოყენებულია სათემო ორგანიზაციების მიმოხილვისა და რაოდენობრივი კვლევის შედეგების შეფასებით ნაწილში, ასევე ინსტრუმენტულია სათემო ჯგუფების შეფასების კრიტერიუმების შემუშავებისას.

სათემო ორგანიზაციები საქართველოში: მოკლე ისტორიული მიმოხილვა

საქართველოში, სათემო ორგანიზაციების ფორმირება 1990-იანი წლების ბოლოდან იღებს სათავეს. საერთაშორისო და ადგილობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციები იყვნენ ის აქტორები, ვისი ძალისხმევითაც ხდებოდა და დღემდე ხდება საქართველოს სოფლებში სათემო მობილიზება.

პირველ ეტაპზე დონორი ორგანიზაციების მიერ განხორციელებული სათემო პროგრამები მეტად იყო ორიენტირებული უშუალოდ სათემო მობილიზების კომპონენტზე, რომელსაც შედეგად ადგილობრივი ორგანიზაციის რეგისტრაცია შეიძლებოდა მოჰყოლოდა. თუმცა ამ პროგრამების მიზანი ხშირად უშუალოდ მობილიზაციის პროცესი იყო ერთი კონკრეტული ამოცანის გარშემო, მაგალითად, სოფლად არსებული ინფრასტრუქტურული პრობლემის მოსაგვარებლად ჯგუფის შეკვრა და თემის შრომითი მონაწილეობის უზრუნველყოფა და სხვ. გამოცდილებამ აჩვენა, რომ პროგრამის დასრულებისთანავე, სათემო ჯგუფი წყვეტდა არსებობას. იმ პერიოდში შექმნილი სათემო ჯგუფებიდან დღეს მხოლოდ რამდენიმეღა მოქმედებს.[6]

უფრო გრძელვადიანი მიზნებით, სათემო მობილიზების პროგრამები 2000-ანი წლებიდან ხორციელდებოდა და სათემო მობილიზაციის გარდა, ახლადშექმნილი ჯგუფების შემდგომ, მდგრად განვითარებასაც ისახავდა მიზნად.[7]

იმ პერიოდში და დღესაც, განსხვავებულია საერთაშორისო და დედაქალაქიდან მოქმედი საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხრიდან

[6]იმ პერიოდიდან არსებობს რამდენიმე გამონაკლისი და ამ გამონაკლისებს სხვა ობიექტური მიზეზები განაპირობებდა. მაგ. 2005 წელს სათემო კავშირი „ნუკრიანი“ სწორედ სოფლის გაზიფიცირების პრობლემის მოგვარების გამო შეიქმნა, თუმცა პროექტის წარმატებით დასრულების შემდეგ განაგრძო მუშაობდა და დღემდე მუშაობს, რადგან სოფელში საზოგადოებრივი ორგანიზაცია „კავკასიური სახლი“ ახორციელდებდა მრავალწლიან პროგრამას, რამაც სათემო ჯგუფის არსებობა მეტად სიცოცხლისუნარიანი გახადა.

[7]მარგველაშვილი ა. 2021. საქართველოში 2019-2020 წლებში მოქმედი სათემო ორგნიზაციების კვლევა. სათემო განვითარების ცენტრი, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, ღია საზოგადოების ფონდი. bit.ly/3XP41ZM

თემთან მუშაობის მიდგომები და მეთოდოლოგიები. მიდგომები გულისხმობდა, მაგალითად, ჯგუფის ერთჯერად მობილიზაციას სათემო ლიდერის გამოკვეთით, თავიდანვე ჯგუფის შეკვრაზე მიმართულ რეგულარულ მუშაობას, პროექტის განხორციელებით სწავლებას თუ თემში ცალკეული ინდივიდების ცოდნით აღჭურვასა და გაძლიერებას სამომავლო სათემო აქტივიზმის მიზნით.[8]

განვითარების ამ ადრეულ ეტაპზე, ჯერ არ არსებობდა ადგილობრივი გამოცდილება, რომლის განზოგადებაც ამ სფეროში მოქმედ ორგანიზაციებს თემთან მუშაობის წარმატებული მიდგომების შემუშავებისა და დანერგვის შესაძლებლობას მისცემდა. ისედაც, ესა თუ ის მიდგომა ყოველთვის დამოკიდებული იყო კონკრეტული პროგრამის ვადაზე და მის მიზნებზე. სათემო განვითარება ზოგიერთი პროგრამის უშუალო მიზანს წარმოადგენს, ხოლო ზოგ შემთხვევაში ეს შეიძლება მხოლოდ დამხმარე ინსტრუმენტი იყოს სხვა მიზნის მისაღწევად. სათემო მობილიზების მორიგი ტალღა 2010-იან წლებში იწყება და აქ, გარდა სხვადასხვა პროგრამის ფარგლებში შექმნილი სათემო ჯგუფებისა, ვხვდებით არაერთ თვითორგანიზებულ, ახალგაზრდულ ინიციატივასაც, რაც ამ სფეროს განვითარების შემდეგ ეტაპზე გადასვლის ნიშანიც უნდა იყოს.[9]

2010-იანი წლების დასაწყისს უკავშირდება ასევე, სათემო მობილიზებასა და თემის განვითარებაზე მომუშავე რვა ორგანიზაციის[10] მიერ გამოცდილების გაზიარებისა და თემთან მუშაობის საუკეთესო პრაქტიკების აღწერის მცდელობები. ორწლიანი მუშობის შედეგად, მოხერხდა მნიშვნელოვან განმარტებებზე შეთანხმება, თემის და განვითარების თემის დეფინიციის შემუშავება და თემთან მუშაობის ეფექტიანი

[8] ექსპერტული ინტერვიუ

[9] ცენტრი, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, ღია საზოგადოების ფონდი. bit.ly/3XP41ZM

[10] ინიციატორი: კულტურულ ურთიერთობათა ცენტრი - კავკასიური სახლი / სათემო განვითარების ცენტრი, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, კავშირი „რეა“, კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი, ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“, იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია - თანხმობა, საქართველოს ზრდასრულთა განათლების ასოციაცია, კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი.

ინსტრუმენტების გამოკვეთა. ორწლიანი სამუშაო პროცესის შედეგად შეიქმნა თემის განვითარების კოალიცია (CoDeCo) და გამოიცა წიგნი **„თემთან მუშაობა და თემის განვითარება, დამხმარე სახელმძღვანელო“**.[11]

კოალიციამ იხელმძღვანელა თემის გეოგრაფიული გაგებით და შემდეგი განმარტება შეიმუშავა: „თემი, ეს არის განსაზღვრულ გეოგრაფიულ არეალში მცხოვრებ ადამიანთა ერთობა, რომლებიც საერთო სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ პირობებში იმყოფებიან და აქვთ მსგავსი ინტერესები, პრობლემები და საჭიროებები“. თუმცა დღეს მოქმედი საზოგადოებრივი ორგანიზაციების ნაწილი, თემის უფრო ფართო გაგებას იზიარებს და მიიჩნევს, რომ თემი ინტერესთა გაერთიანებაცაა, რომელიც შეიძლება არ იყოს გეოგრაფიულად შეზღუდული, ანუ ერთ კონკრეტულ ადგილთან დაკავშირებული.[12]

სათემო ორგანიზაციები: განმარტების მცდელობა

რას ეწოდება სათემო ორგანიზაცია, ექსპერტული კვლევის დროს, ცალკე მსჯელობის საკითხი აღმოჩნდა. რამდენადაც საქართველოს კანონმდებლობა არ იცნობს უშუალოდ სათემო ორგანიზაციის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას, რეგისტრაციის მიხედვით სათემო ორგანიზაცია, ზოგადი წესების შესაბამისად – ააიპ-ს წარმოადგენს. შესაბამისად, რეგისტრაციის მიხედვით სათემო ჯგუფების გამოყოფა, ზოგადად საზოგადოებრივი ორგანიზაციებისგან რთულია, დამატებითი კრიტერიუმებით ორგანიზაციის/ჯგუფის შეუფასებლად.

ორგანიზაციის თუ ჯგუფის სათემო სტატუსი არა სამართლებრივი, არამედ უფრო შეფასებითი კატეგორიაა, რომელიც ამა თუ იმ ჯგუფის საქმიანობის ტიპსა და ფორმაზე მიანიშნებს.

გამოიკვეთა ორი მიდგომა: გეოგრაფიული ან ინტერესთა ერთობლიობა, როგორც სათემო ჯგუფის გაერთიანების საფუძველი. შესაბამისად,

[11] bit.ly/3HpvXN8
[12] ექსპერტული ინტერვიუ.

დარგის ზოგიერთი ექსპერტი, სათემო ორგანიზაციაში ერთი ინტერესის გარშემო ან დარგობრივად გაერთიანებულ ადამიანთა ჯგუფს მოიაზრებს, სხვები მას მხოლოდ კონკრეტულ სივრცეს, ტერიტორიას უკავშირებენ და თემის ვიწრო გეოგრაფიული განმარტებით ხელმძღვანელობენ. ქვემოთ წარმოდგენილი ექსპერტების ციტატები მიანიშნებს, რომ საზღვარი სათემო ჯგუფს/ორგანიზაციასა და საზოგადოებრივ ორგანიზაციას შორის ხშირად საკმაოდ ბუნდოვანი შეიძლება იყოს.

ყველა შემთხვევაში, სათემო ჯგუფი/ორგანიზაცია მიზნობრივი თემის კეთილდღეობაზე მზრუნველი ჯგუფია, იქნება ეს ერთ კონკრეტულ სოფელში, მთელ მუნიციპალიტეტში თუ კიდევ უფრო ვრცელ ტერიტორიაზე, რომელმაც, განვითარების გარკვეულ ეტაპზე, შესაძლოა, საზოგადოებრივი ორგანიზაციის დატვირთვაც შეიძინოს.[13]

> “შენ თუ ხარ სათემო ორგანიზაცია არ ნიშნავს, რომ მარტო შენს მუნიციპალიტეტში ან თემში უნდა იმუშავო, შეიძლება სათემო ორგანიზაცია გერქვას და საერთაშორისო ქსელი შექმნა, ამის მაგალითები არსებობს.”
>
> **ექსპერტული ინტერვიუ**

> “უნდა განვასხვავოთ სათემო განვითარებაზე მომუშავე ორგანიზაციები და უშუალოდ სათემო ორგანიზაცია. სათემო ორგანიზაცია არის ის, რომელიც უშუალოდ კონკრეტული სოფლიდან გამოსული ჯგუფისგან შედგება. ასე მკაფიო ხაზი არ არსებობს, არაა განსაზღვრული, თუ სად მთავრდება სათემო ფარგლები. ჯგუფი შეიძლება მერე ისე გაძლიერდეს და გააფართოვოს თავისი გეოგრაფიული დაფარვა, რომ უკვე მუნიციპალიტეტის მასშტაბით დაიწყოს საქმიანობა, მაშინ ის სათემო ფორმატს შეიძლება გასცდეს და რეგიონულ საზოგადოებრივ ორგანიზაციად ჩამოყალიბდეს.”
>
> **ექსპერტული ინტერვიუ**

[13] ექსპერტული ინტერვიუ.

თავად დონორი ორგანიზაციებიც ყოველთვის არ იყენებენ „სათემო ორგანიზაციის“ ტერმინს. მაგალითად, გაეროს ქალთა ორგანიზაციის საქართველოს წარმომადგენლობა თავის პროგრამებში „თვითდახმარების ჯგუფების“ ტერმინს იყენებს, თუმცა შინაარსობრივად ეს ჯგუფები იმავე საქმიანობას ეწევიან, რასაც რეგისტრირებული ან არარეგისტრირებული ა(ა)იპი-ები, რომელებიც თემის დონეზე მუშაობენ.[14]

სათემო ორგანიზაციების მიმოხილვა

გამოკითხული სათემო ორგანიზაციების პროფილი

რაოდენობრივი გამოკითხვის[15] ერთ-ერთი ძირითადი მიზანი იყო სათემო ორგანიზაციების პროფილის დადგენა. გეოგრაფიული დაფარვის თვალსაზრისით, გამოკითხული სათემო ორგანიზაციები შემდეგნაირად განაწილდა:

ყველაზე მეტი გამოკითხული ორგანიზაცია კახეთიდან (21 ორგანიზაცია), შიდა ქართლიდან და სამეგრელო-ზემო სვანეთიდან (11-11 ორგანიზაცია) და ქვემო ქართლიდან (10 ორგანიზაცია) იყო. ყველაზე ნაკლები - იმერეთიდან და მცხეთა-მთიანეთიდან (4-4 ორგანიზაცია), სამცხე-ჯავახეთიდან (3 ორგანიზაცია) და გურიიდან (2 ორგანიზაცია) მოხვდა კვლევაში (ცხრილი 1).

გამოკითხვაში კახეთიდან შედარებით დიდი რაოდენობით სათემო ორგანიზაციის მოხვედრა გარკვეულწილად განპირობებულია ამ მხარეში მათი სიმრავლით და აქტიური მუშაობით. ეს შეიძლება იმითაც აიხსნას, რომ სხვადასხვა დონორი ორგანიზაცია კახეთს ხშირად ირჩევს სამიზნე რეგიონად თავის განვითარების პროგრამებში.[16]

---

[14] http://bit.ly/3WPEwGm; bit.ly/3Y60lT9

[15] 2019-2020 წლებში ჩატარებული CBO Mapping (ა. მარგველაშვილი) სია შედგებოდა 110 ორგანიზაციისაგან. წინამდებარე კვლევის ტექნიკური დავალება ითვალისწინებდა 50 სათემო ჯგუფის სატელეფონო გამოკითხვას. კვლევის ფარგლებში, 110-იანი სიიდან, 50-ის ნაცვლად, 66 ორგანიზაცია გამოიკითხა. რამდენადაც 2019-2020 წლების სათემო ჯგუფების სიაში არ იყო აჭარა და რაჭა (იმ პერიოდში იქ გამოცდილი სათემო ჯგუფების არარსებობის გამო), შესაბამისად, არც ამ სიაში მოხვდა სათემო ჯგუფი ამ რეგიონებიდან, იმის მიუხედავად, რომ 2022 წლისათვის მაგ., რაჭაში უკვე მოქმედებს საკმაოდ აქტიური სათემო ინიციატივა, რომელიც 2020-ში შეიქმნა.

[16] ექსპერტული ინტერვიუები.

ცხრილი 1. გამოკითხული ორგანიზაციების გეოგრაფიული განაწილება[17]

რეგიონი	**რაოდენობა**	**%**
გურია	2	3%
სამცხე-ჯავახეთი	3	4%
იმერეთი	4	6%
მცხეთა-მთიანეთი	4	6%
ქვემო ქართლი	10	15%
სამეგრელო-ზემო სვანეთი	11	17%
შიდა ქართლი	11	17%
კახეთი	21	32%
სულ:	66	100%

გამოკითხული ორგანიზაციები სულ საქართველოს 29 მუნიციპალიტეტში მუშაობენ. ყველაზე მეტი გამოკითხული სათემო ორგანიზაცია გორის (7 ორგანიზაცია), ახმეტისა და ლაგოდეხის (6-6 ორგანიზაცია) მუნიციპალიტეტებში მუშაობს. 4-4 ორგანიზაცია მუშაობს მარნეულის, ჩხოროწყუსა და წალკის მუნიციპალიტეტებში. შესაბამისად, ამ 6 მუნიციპალიტეტში, გამოკითხული ორგანიზაციების 48%, ანუ, 32 ორგანიზაციაა გამოკითხული.

[17]მონაცემები დამრგვალებულია და, შესაძლოა, ან მცირედით აღემატებოდეს, ან ნაკლები იყოს 100%. ასევე, იხ. მარგველაშვილი ა. 2021. საქართველოში 2019-2020 წლებში მოქმედი სათემო ორგანიზაციების კვლევა. სათემო განვითარების ცენტრი, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, ღია საზოგადოების ფონდი.
https://csogeorgia.org/storage/app/uploads/public/60c/07c/785/60c07c7855ffe923597015.pdf

ცხრილი 2. გამოკითხული ორგანიზაციების განაწილება მუნიციპალიტეტების მიხედვით

მუნიციპალიტეტი	სიხშირე
ახალციხე	1
დმანისი	1
ზუგდიდი	1
ლანჩხუთი	1
მარტვილი	1
მცხეთა	1
ოზურგეთი	1
სენაკი	1
ყაზბეგი	1
წნორი	1
ჭიათურა	1
ხარაგაული	1
ხობი	1
ახალქალაქი	2
დედოფლისწყარო	2
დუშეთი	2
თეთრიწყარო	2
თელავი	2
სიღნაღი	2
ყვარელი	2
ხონი	2
კასპი	3
მესტია	3
მარნეული	4
ჩხოროწყუ	4
წალკა	4
ახმეტა	6
ლაგოდეხი	6
გორი	7

ყველაზე „ასაკოვანი“ ორგანიზაცია 2002 წელს, ხოლო ყველაზე „ახალგაზრდა“ კი - 2021 წელს დაარსდა. გამოკითხული ორგანიზაციებიდან ყველაზე მეტი - 11, 10 და 9 - შესაბამისად, 2018, 2016 და 2013 წლებში დაარსდა. რაც შეეხება ოფიციალური რეგისტრაციის წელს, იმ 48 ორგანიზაციიდან, რომელმაც დადებითად უპასუხა კითხვას რეგისტრაციის შესახებ, ყველაზე მეტი 2013, 2017, 2018 და 2019 წლებში (6-6 ორგანიზაცია) დარეგისტრირდა.

ზოგადად, სათემო ჯგუფების დაფუძნების და მათი ორგანიზაციად დარეგისტრირების წლები რიგ შემთხვევებში ერთმანეთს არ ემთხვევა, რაც განპირობებულია იმითაც, რომ თემის განვითარებაზე მომუშავე წამყვანი ორგანიზაციები, მაგ., CSRDG, TASO და ა.შ. პარტნიორების შერჩევისას და მათი მხარდაჭერისთვის არ ითხოვენ ჯგუფის რეგისტრაციას. როგორც წესი, ეს ორგანიზაციები ხელს უწყობენ ადგილზე საინიციატივო თუ სათემო ჯგუფების ჩამოყალიბებას, მაგრამ ყოველთვის არ მოითხოვენ მათ ოფიციალურ რეგისტრაციას.[18] შესაბამისად, ამ პროგრამების ფარგლებში შექმნილი „საინიციატივო“ თუ „თვითდახმარების“ ჯგუფები ოფიციალურად უფრო მაშინ რეგისტრირდებიან, როდესაც საქმიანობის გაფართოებას გეგმავენ, დაფინანსების სხვა დონორებისგან მიღებაზეც იწყებენ ფიქრს და ზოგადად, ორგანიზაციული განვითარების უფრო მაღალ ეტაპზე გადადიან.[19]

გამოკითხული სათემო ორგანიზაციები, განსხვავებული ზომისანი არიან, რაც მათ მუშაობაში ჩართული ადამიანების და განხორციელებული პროექტების რაოდენობაში გამოიხატება. საშუალოდ, მოხალისეებისა და არასრულ განაკვეთზე მომუშავე თანამშრომლების ჩათვლით, გამოკითხული ორგანიზაციების საქმიანობაში 13 ადამიანია ჩართული. თუმცა, ყველაზე ხშირად (mode) დასახელდა რიცხვი 7. მნიშვნელოვანია, რომ ორგანიზაციების თითქმის 4/5-ის (52 ორგანიზაცია) შემთხვევაში, ამჟამად მათ საქმიანობაში ჩართული ადამიანების

[18] ექსპერტული ინტერვიუები.
[19] ექსპერტული ინტერვიუები.

რაოდენობა არ აღემატება 20 ადამიანს, ხოლო 37 ორგანიზაციაში - 1-დან 9-მდე ადამიანია ჩართული. ორგანიზაციების მხოლოდ მცირე ნაწილს - 14 - ჰყავს 20 და 20-ზე მეტი თანამშრომელი და მოხალისე, აქედან, მხოლოდ 8-ს - 30 და მეტი. სხვადასხვა სათემო აქციაში თუ პროექტში მოხალისეების მობილიზების მიღმა, უშუალოდ სათემო ჯგუფის ყოველდღიურობა ხშირად სულ რამდენიმე ადამიანის აქტიურობაზე დგას და ასევე, ხშირად, მინიმალურად თუ იკვეთება ორგანიზაციული კონტურები.[20]

62 ორგანიზაციას ჰყავს მოხალისეები და მათი საშუალო რაოდენობა 10-ს შეადგენს. ამავე დროს, ნათელია, რომ ანაზღაურებადი თანამშრომლების რაოდენობა ყველა თანამშრომლის რაოდენობასთან შედარებით საკმაოდ დაბალია და საშუალოდ მხოლოდ 3-ს შეადგენს. ასევე, როგორც ჩანს, სათემო ორგანიზაციების თანამშრომელთა დიდი ნაწილი ქალებისგან შედგება (ცხრილი 3), რაც, ასევე, ნაწილობრივ, სავარაუდოდ, დონორი ორგანიზაციების სპეციფიკური პროგრამებით და დაფინანსებით არის განპირობებული. [21]

[20]მარგველაშვილი ა. 2021. საქართველოში 2019-2020 წლებში მოქმედი სათემო ორგნიზაციების კვლევა. სათემო განვითარების ცენტრი, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, ღია საზოგადოების ფონდი.
[21]მაგალითად, გაეროს ქალთა პროგრამა ქმნის ქალებისგან შემდგარ თვითდახმარების ჯგუფებს. იხ.: bit.ly/3HHmyBR

ცხრილი 3. თანამშრომლების საშუალო მაჩვენებელი (ადამიანი)			
სულ თანამშრომელი (მოხალისეები და ანაზღაურებადი თანამშრომლები ერთად)	**მოხალისე**	**ანაზღაურებადი თანამშრომელი**	**ქალი**
13	10	3	9

ასაკობრივი თვალსაზრისით, გამოკითხული ორგანიზაციების საქმიანობაში სხვადასხვა ასაკის მოსახლეობაა ჩართული. სათემო ორგანიზაციების პროექტებში ჩართული ყველაზე ახალგაზრდას ასაკი 6 წელია, ხოლო ყველაზე ასაკოვანის - 80. საშუალო ასაკი ორგანიზაციების საქმიანობაში ჩართულ ყველაზე ახალგაზრდა მონაწილეთა შემთხვევაში 24, ხოლო ყველაზე ასაკოვანი ადამიანების შემთხვევაში - 47 წელია.

გამოკითხულმა 66-ვე ორგანიზაციამ ბოლო 5 წლის განმავლობაში ერთი პროექტი ან ინიციატივა მაინც განახორციელა. საშუალო მაჩვენებელი ამ კითხვაზე პასუხისას იყო 9 პროექტი ან ინიციატივა. აქედან, 8 ორგანიზაციამ აღნიშნა, რომ არცერთი არ ყოფილა დონორის დაფინანსებით.

გამოკითხული ორგანიზაციებიდან 20 და 22 ორგანიზაციას არ ჰქონია არანაირი დაფინანსება 2020 და 2021 წლებში. იმ ორგანიზაციებს შორის, ვისაც ჰქონდა დაფინანსება ბოლო 2 წლის განმავლობაში, დაფინანსების ოდენობა უაღრესად განსხვავებულია და 350 - ლარიდან 350 000 ლარამდე მერყეობს. 2020 წელს დაფინანსების საშუალო მაჩვენებელი 21 600 ათასი, ხოლო 2021 წელს (ნოემბრის ბოლოს

ჩათვლით) - 17 200 ათასი ლარი იყო. ამავე დროს, 2020 წელს 27 ორგანიზაციას ჰქონდა 20 ათას ლარამდე დაფინანსება, და მხოლოდ 12-ს - 20 ათასი ლარი და მეტი. 2021 წლის მონაცემებიც მსგავს სურათს გვიჩვენებს: 23 ორგანიზაციას 20 ათას ლარამდე, და 15-ს - 20 და მეტი ათასი ლარის დაფინანსება ჰქონდა. ამრიგად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სათემო ორგანიზაციებს შორის გარკვეული უთანასწორობა შეინიშნება, სადაც გვხვდებიან ორგანიზაციები საკმაოდ დიდი დაფინანსებით, რომლებიც ფართომასშტაბიან პროექტებს ახორციელებენ, და მცირე ზომის და მცირე დაფინანსების მქონე ორგანიზაციები, რომლებიც, სავარაუდოდ, ნაკლებად ახერხებენ შედარებით დიდი დაფინანსების მოზიდვას და ზოგჯერ საერთოდ ვერ ახერხებენ რაიმე დაფინანსების მობილიზებას. ეს საკითხიც დაკავშირებულია სათემო ჯგუფის ადამიანურ რესურსზე, იქნება ეს მათი რაოდენობა თუ შესაბამისი კომპეტენციების ფლობა.

არა მარტო სათემო ჯგუფებში შეინიშნება ეს ტენდენცია. ზოგადად, საზოგადოებრივი სექტორის უთანასწორობაზე ანუ არათანაბარ მდგომარეობაზე მიუთითებს სხვადასხვა კვლევა, რომლის მიხედვითაც არიან ე.წ. „ფლაგმანი“ არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც დიდწილად დიდ ურბანულ ცენტრებში/ცენტრებიდან ოპერირებენ. მათ აქვთ საკმაოდ დიდი ადამიანური და მატერიალურ-ტექნიკური, თუ ფინანსური რესურსები[22] და, შესაბამისად, გაცილებით მარტივად მოიპოვებენ დიდი მოცულობის და მრავალწლიან დაფინანსებებს, რაც სტაბილურ მუშაობას, განვითარებას და ორგანიზაციის მეტ-ნაკლებ მდგრადობას უზრუნველყოფს. ეს ორგანიზაციები ხშირად ადგილობრივი „დონორი“ ორგანიზაციების როლსაც ითავსებენ, რომლებიც აცხადებენ და ადმინისტრირებას უწევენ მცირე გრანტებს რეგიონული, დამწყები თუ სათემო ორგანიზაციებისთვის. ეს ბოლო კატეგორია კი ერთ-ერთი ყველაზე მოწყვლადია საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის. როგორც ბოლო წლებში განხორციელებული კვლევები გვიჩვენებს,

[22]სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები საქართველოში: რუკა და ანალიზი. 2021, bit.ly/3HE7oNI

რომლებიც დიდწილად მიზნად ისახავდა საზოგადოებრივი სექტორის მდგომარეობის შესწავლას, იქნებოდა ეს მათი მატერიალურ-ტექ-ნიკური, ადამიანური, ფინანსური, ორგანიზაციული თუ სხვა სახის მდგომარეობა, რეგიონული და სათემო ორგანიზაციების მდგომარეობა საკმაოდ მძიმეა: მათ ხშირად არ აქვთ დაფინანსება და უწევთ მოხალისეობრივად ან მინიმალური დაფინანსების ფარგლებში გა-ნახორციელონ პროექტები, მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა მწირია, და ოფისის იჯარის გადასახადის თანხაც მძიმე ტვირთად აწვებათ. ასევე, პრობლემურია თანამშრომლების ხშირი დენადობა (MCK, 2021, USAID, 2021, გვ. 4). როგორც ექსპერტული ინტერვიუების შედეგებიდან ჩანს, სათემო ორგანიზაციები კიდევ უფრო რთულ ვითარებაში არიან რეგიონულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან შედარებით, რადგან მათი წვდომა რესურსებზე - იქნება ეს მატერიალური, ფინანსური თუ ადამიანური – კიდევ უფრო შეზღუდულია.

ამ ერთგვარ უთანასწორობაში ასევე დიდი როლი უკავიათ თავად დონორ ორგანიზაციებს, რომლებიც ნაკლებად ან საერთოდ არ ითვალისწინებენ განსხვავებულ საწყის პირობებს, რომლებშიც საზო-გადოებრივი ორგანიზაციები არიან თბილისში, რეგიონებში, ან სათემო დონეზე. როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, დონორი ორგანიზაციების საპროექტო მოთხოვნები ზოგ შემთხვევაში იმდენად რთულია, რომ ფაქტობრივად, მცირე ზომის და ნაკლები რესურსების მქონე ორ-განიზაციები ვერც კი იღებენ მონაწილეობას მათ კონკურსებში.[23]

[23]მარგველაშვილი ა. 2021. საქართველოში 2019-2020 წლებში მოქმედი სათემო ორგნიზაციების კვლევა. სათემო განვითარების ცენტრი, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, ღია საზოგადოების ფონდი.

სათემო ორგანიზაციების ზოგადი დახასიათება

შეფასების შედეგად, მათი დაფუძნების კონტექსტის, მუშაობის ხანგრძლივობის, მუშაობის ფოკუსისა და დაფინანსების წყაროების მიხედვით, გამოვლინდა სათემო ორგანიზაციების შემდეგი ტიპოლოგია.

დაფუძნების კონტექსტის მიხედვით, გამოიყო სამი ძირითადი ჯგუფი: (1) დონორი ორგანიზაციების მიერ დაფუძნებული; (2), საინიციატივო ჯგუფების მიერ დაფუძნებული (დონორი ორგანიზაციების პროგრამების გარეშე); და (3) - კერძო სპონსორის მიერ დაფუძნებული სათემო ორგანიზაციები.

მუშაობის ხანგრძლივობის მიხედვითაც გამოიყო სამი ძირითადი ჯგუფი: (1) შედარებით ახალბედა სათემო ორგანიზაციები, რომლებსაც მუშაობის 5 წლამდე გამოცდილება აქვთ; (2) 6-10 წლის მუშაობის გამოცდილების მქონე ორგანიზაციები, და (3) ეგრეთ წოდებული „ვეტერანი“ სათემო ორგანიზაციები, რომლებიც უკვე 10 წელზე მეტია რაც აქტიურად მუშაობენ.

მუშაობის ფოკუსის მიხედვით, გამოკითხული სათემო ორგანიზაციების მუშაობის სფეროები საკმაოდ მრავალფეროვანია. ამავე დროს, იქმნება შთაბეჭდილება, რომ მათი საქმიანობა დიდწილად ასევე განპირობებულია დონორი ორგანიზაციების პრიორიტეტებითა და მიზნებით, რაც საგრანტო კონკურსების თემატიკასა და პირობებში ვლინდება. შესაბამისად, კითხვაზე, „ბოლო 5 წლის განმავლობაში, რა სფეროებში განახორციელა თქვენმა ორგანიზაციამ პროექტები?“, ძირითადი მიმართულებებია: განათლება (იგულისხმება ძირითადად არაფორმალური განათლება), ახალგაზრდული საკითხები, ქალების ეკონომიკური გაძლიერება, გარემოს დაცვა, ინფრასტრუქტურული პროექტები და კულტურა (ცხრილი 4).

ცხრილი 4. სათემო ორგანიზაციების მუშაობის სფეროები ბოლო 5 წლის განმავლობაში

მუშაობის სფეროები	სიხშირეები
ეკომიგრანტების ინტეგრაცია	1
სათემო ინტერნეტიზაცია	1
სოკოს წარმოება	1
სოციალურად შეჭირვებული მოზარდების დახმარება	1
მოსახლეობის საჭიროებების კვლევა და საინფორმაციო სამუშაო (მაგ., რადიოგადაცემები)	1
ჰუმანიტარული დახმარება მოწყვლად ჯგუფებში	1
დასაქმება და თვითდასაქმება	2
თემის ეკონომიკური გაძლიერება	2
დევნილების საკითხები	4
ეთნიკური უმცირესობები	4
სოფლის მეურნეობა	4
ჯანდაცვა	4
გენდერული თანასწორობის საკითხები	5
ტურიზმი	6
სოციალური მეწარმეობა	7
ხანდაზმულების საკითხები	7
კულტურა	13
ინფრასტრუქტურის განვითარება	17
გარემოს დაცვა	19
ქალების ეკონომიკური გაძლიერება	20
ახალგაზრდების საკითხები	22
არაფორმალური განათლება/განათლება	41

შესაბამისად, არ არის გასაკვირი, რომ ბოლო 5 წლის განმავლობაში, სათემო ორგანიზაციების ძირითად სამიზნე ჯგუფებს სწორედ ახალგაზრდები, ქალები, სკოლის მოსწავლეები/ბავშვები თუ ზოგადად სოფლის მოსახლეობა შეადგენდა (ცხრილი 5).

ცხრილი 5. სათემო ორგანიზაციების ძირითადი სამიზნე ჯგუფები ბოლო 5 წლის განმავლობაში

სამიზნე ჯგუფები	სიხშირეები
ადგილობრივი ბიზნესი	1
ფერმერები	1
ეთნიკური უმცირესობები	2
დევნილები	4
შშმ პირები	4
ადგილობრივი თვითმმართველობა	5
ხანდაზმულები	6
სოციალურად დაუცველი სტატუსის მქონე მოსახლეობა	8
სკოლის მოსწავლეები/ბავშვები	14
ზოგადად სოფლის მოსახლეობა	18
ქალები	28
ახალგაზრდები	44

რომ შევაჯამოთ, გამოიკვეთა შემდეგი ვითარება: სათემო ორგანიზაციები ძირითადად არ მუშაობენ ექსკლუზიურად ერთი რომელიმე მიმართულებით, თუმცა შეიძლება ჰქონდეთ ეგრეთ წოდებული cross-cutting მიმართულება, რომელიც, როგორც წესი, ეხება ქალთა/გოგონათა უფლებებს/გაძლიერებას, რაც, უმეტესად დონორი ორგანი-

ზაციების ხელშეწყობით შექმნილი სათემო ჯგუფების შემთხვევაში გვხვდება.

დაფინანსების წყაროების მიხედვით კი, გამოიკვეთა ფაქტობრივად ექსკლუზიური დამოკიდებულება დონორი ორგანიზაციების მიერ გაწეულ დაფინანსებაზე. ამ შემთხვევაში დონორი შეიძლება იყოს როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივი საზოგადოებრივი ან დონორი ორგანიზაცია, ასევე, რომელიმე კერძო სპონსორი, თუ მუნიციპალიტეტის მიერ გაწეული დახმარება (მეტწილად, პროექტების თანადაფინანსება). გარდა ამისა, დონორის დაფინანსება შეიძლება იყო როგორც ერთჯერადი, რაიმე კონკრეტული პროექტის განსახორციელებლად, ისე ეგრეთ წოდებული პროგრამული/ორგანიზაციული, რომელიც რამდენიმე წლის განმავლობაში რეგულარულად ეძლევა ორგანიზაციებს თავიანთი საბაზო საქმიანობის განსახორციელებლად, იქნება ეს არაფორმალური განათლების კურსები თუ სხვა სახის სოციალური აქტივიზმი. მიუხედავად იმისა, რომ სათემოები ცდილობენ დაფინანსების წყაროების დივერსიფიცირებას, ამას ბევრი ვერ ახერხებს.

დაფინანსების წყაროების თვალსაზრისით, წინამდებარე შეფასების რაოდენობრივი კომპონენტი მნიშვნელოვან მიგნებებს გვთავაზობს. კითხვაზე, „გთხოვთ, დაგვისახელოთ თქვენი ორგანიზაციის დაფინანსების ყველა წყარო ბოლო 5 წლის განმავლობაში“, საკმაოდ ცალსახა პასუხები მივიღეთ, რაც ადასტურებს სხვა კვლევების მიგნებებს საქართველოში საზოგადოებრივი ორგანიზაციების (მათ შორის, სათემო ჯგუფების) დაფინანსების წყაროების ნაკლები დივერსიფიცირების შესახებ.[24] 66 ორგანიზაციიდან 6-ს, ბოლო 5 წლის განმავლობაში არანაირი დაფინანსება არ ჰქონია, და, სავარაუდოდ, მოხალისეობრივად ახორციელებდა პროექტებსა თუ ინიციატივებს. დაფინანსების წყაროებს შორის 3 ძირითადი აქტორი გამოიკვეთა - საერთაშორისო და ადგილობრივი დონორი ორგანიზაციები (47 და 37 ორგანიზაცია) და

[24]იხ.: სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები საქართველოში: რუკა და ანალიზი. 2021 bit.ly/40f6jmu, გვ. 25-28.

ადგილობრივი თვითმმართველობა (22 ორგანიზაცია). მნიშვნელოვანია, რომ შემოსავლის წყაროების დივერსიფიცირების მიზნით სათემო ორგანიზაციები ასევე აქტიურად ცდილობენ იმუშაონ ბიზნეს-ორგანიზაციებთან, ემიგრანტებთან ან განავითარონ დამატებითი შემოსავლის მომტანი საქმიანობები (ცხრილი 6).

ცხრილი 6. ორგანიზაციების შემოსავლების ყველა წყარო ბოლო 5 წლის განმავლობაში

დაფინანსების წყაროები	სიხშირეები
თემის შემოწირულობა	1
უცხოელი ბიზნესმენები	1
შემოსავალი საკონსულტაციო/ბიზნეს საქმიანობიდან	1
შემოწირულობები ემიგრანტებიდან	2
ბიზნესების დაფინანსება	14
ადგილობრივი თვითმმართველობა	22
ადგილობრივი დონორი ორგანიზაციების დაფინანსება	37
საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების დაფინანსება	47

ამავე დროს, კითხვაზე, „რა იყო დაფინანსების ძირითადი წყარო ბოლო 5 წლის განმავლობაში“, საკმაოდ ცალსახა სურათი იქმნება: ესენია საერთაშორისო და ადგილობრივი დონორი ორგანიზაციები (ცხრილი 7). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „საერთაშორისო დაფინანსებას“ სათემო ჯგუფები, როგორც წესი, ადგილობრივი, საზოგადოებრივი ორგანიზაციების გავლით იღებენ და იშვიათია სოფლად მოქმედი სათემო ჯგუფების პირდაპირი წვდომა საერთაშორისო დაფინანსებაზე.

ცხრილი 7. სათემო ორგანიზაციების დაფინანსების ძირითადი წყაროები ბოლო 5 წლის განმავლობაში.

	სიხშირე	%
საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების დაფინანსება	31	52
ადგილობრივი დონორი ორგანიზაციების დაფინანსება	23	39
ადგილობრივი თვითმმართველობა	3	5
ბიზნესების დაფინანსება	1	2
არ ვიცი/მიჭირს პასუხის გაცემა	1	2
სულ	59	100

ეს ტენდენცია ეხმიანება ზოგადად, საზოგადოებრივი ორგანიზაციების დიდი ნაწილის წინაშე მდგარ პრობლემასაც დაფინანსების დივერსიფიკაციის კუთხით. ეროვნულ დონეზე მოქმედი საზოგადოებრივი ორგანიზაციები, ისევე როგორც სოფლის დონეზე, კონკრეტულ თემში მოქმედი სათემო ჯგუფები, დღემდე, დიდწილად დონორის დაფინანსებაზე რჩებიან დამოკიდებულები.[25] დაფინანსების ალტერნატიული წყაროები, როგორიცაა შემოწირულობები, ბიზნესისგან მიღებული დაფინანსება, თუ საწევროები, იშვიათად ქცეულა ამ ორგანიზაციების დაფინანსების ძირითადი წყარო. საუკეთესო შემთხვევაში, დაფინანსების ალტერნატიული წყაროები ეხმარება საზოგადოებრივ და სათემო ორგანიზაციებს, რომ ან რაიმე კონკრეტული პროექტი განახორციელონ, ან მძიმე ფინანსურ პერიოდში მცირე შვება იგრძნონ.

ექსპერტულ ინტერვიუებში გამოიკვეთა კიდევ ერთი ალტერნატიული დაფინანსების წყარო, რომელიც ჯერ ახლა იწყებს ფეხის მოკიდებას –

[25]იხ მაგ., სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები საქართველოში: რუკა და ანალიზი. (2021), მარგველაშვილი, ა. (2021). საქართველოში 2019-2020 წლებში მოქმედი სათემო ორგანიზაციების კვლევა. MCK (2021) კახეთის ადგილობრივი სამოქალაქო და სათემო ორგანიზაციების გამოწვევები.

ემიგრანტების შემოწირულობები. მიუხედავად იმისა, რომ დაფინანსების ამ წყაროს ჯერ დიდი მასშტაბი არ გააჩნია და სათემო ჯგუფები მას ძალიან კონკრეტული, ხშირად, სოციალური/ჰუმანიტარული შინაარსის აქტივობებისთვის იყენებენ, ემიგრანტების ჩართულობა პოტენციურად საკმაოდ სერიოზული რესურსი შეიძლება გახდეს, თუ გავიხსენებთ საერთაშორისო გამოცდილებას და ეგრეთ წოდებული Hometown Associations[26] პრაქტიკას მექსიკასა და სხვა ლათინურ-ამერიკულ ქვეყნებში. ემიგრანტების მიერ მიმღებ ქვეყნებში ჩამოყალიბებული ასოციაციების მიზანი წარმოშობის ქალაქებისა და თემების განვითარებაა და ისინი ხშირად ინფრასტრუქტურული თუ სხვა ტიპის განვითარებად პროექტებს აფინანსებენ მშობლიურ თემებში.

შესაბამისად, გარკვეული „მიჯაჭვულობა“ დონორების დაფინანსებაზე მთლიანად სამოქალაქო სექტორისათვის და, მათ შორის, სათემო ჯგუფებისათვის სერიოზულ გამოწვევად რჩება, მით უმეტეს, რომ მთელი რიგი ტექნიკური წინაღობების (ენის არცოდნა, რთული საპროექტო განაცხადი და სხვ.) გამო, სათემო ჯგუფებს, ხელი დაფინანსების გაცილებით ნაკლებ წყაროზე მიუწვდებათ. ისეთ ვითარებაში, როდესაც ადგილობრივ თვითმმართველობებს, საკანონმდებლო ცვლილებების გარეშე არ აქვთ სამართლებრივი ბერკეტები საგრანტო დაფინანსების განსახორციელებლად, მათი მეტი ჩართულობა სათემო ორგანიზაციების ფინანსური მდგრადობის მისაღწევად, ამ ეტაპზე მხოლოდ და მხოლოდ ბუნდოვან პერსპექტივად რჩება.

შესაბამისი პოლიტიკური ნებისა და მაღალი პოლიტიკური კულტურის არსებობის შემთხვევაში (როდესაც ამა თუ იმ საზოგადოებრივ ჯგუფთან კონსტრუქციული თანამშრომლობა არ ეფუძნება „ჩვენიანის“ გაგებას) კი, სწორედ მუნიციპალურ დონეზე იქნებოდა შესაძლებელი სხვადასხვა სათემო ჯგუფის საქმიანობის საბაზო მხარდაჭერა და ამით მუნიციპალური ამოცანების და სერვისების დეცენტრალიზაცია უშუალოდ მუნიციპალიტეტის ფარგლებში.

[26] bit.ly/40aMjlc

სათემო ორგანიზაციების საერთო მახასიათებლები

მიუხედავად იმისა, რომ შესწავლილი სათემო ორგანიზაციები ერთმანეთისგან განსხვავდება მუშაობის ფოკუსითა თუ დაფარვის არეალით, შეფასების შედეგად გამოვლინდა რამდენიმე ისეთი მახასიათებელი, რომელიც ამ ორგანიზაციებს საერთო აქვთ.

ორგანიზაციების გაიგივება ლიდერებთან: ზოგ შემთხვევაში თემში თუ მუნიციპალიტეტის დონეზე, ორგანიზაციასა და ორგანიზაციის ლიდერს ერთმანეთთან აიგივებენ, რის გამოც ამა თუ იმ პროექტის განხორციელება ორგანიზაციის ნაცვლად, პერსონალურად მის ლიდერს მიეწერება. თემის წევრებმა შეიძლება არ იცოდნენ სათემო ჯგუფის სახელი, ან მისი დაარსების პერიოდი – იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც რესპონდენტები პროექტების ბენეფიციარები არიან. ერთი მხრივ, ეს გასაგებია: მცირე თემების შემთხვევაში, ბუნებრივიცაა, რომ მოსახლეობა ორგანიზაციას კონკრეტულ ადამიანთან აიგივებს. თუმცა ორგანიზაციული განვითარებისთვის და ინსტიტუციონალიზაციისთვის ასევე აუცილებელია, რომ არსებობდეს უფრო ძლიერი ორგანიზაციული იმიჯი და გაიზარდოს ჯგუფის, სწორედ როგორც ორგანიზაციის ე.წ. „ხილვადობა“.

ფოკუსი ქალებსა და ახალგაზრდებზე: იმის გამო, რომ ორგანიზაციების დიდი ნაწილი შეიქმნა დონორი ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული პროგრამების ფარგლებში, რომლებიც სწორედ რომ ქალების გაძლიერებაზე იყო ფოკუსირებული, ლოგიკურია, რომ მათი მუშაობის ერთ-ერთი პრიორიტეტი სწორედ ქალები არიან. იქიდან გამომდინარე, რომ ზოგადად, ქვეყანაში, და მით უფრო სოფლად, ქალების ეკონომიკური თუ სოციალურ-პოლიტიკური აქტივობა დიდ გამოწვევად რჩება, ეს პრიორიტეტი კვლავინდებურად მნიშვნელოვანია. რაც შეეხება ახალგაზრდებს, და კერძოდ, სოფლად მცხოვრები ბავშვებისთვის და მოზარდებისთვის არაფორმალური განათლების მიმართულებას, სწორედ სათემო ორგანიზაციების მიერ მიწოდებული არაფორმალური განათლების სერვისებია ის საშუალება, რომელიც მათ

ეხმარებათ, რათა ნაწილობრივ მაინც დაძლიონ სოფლად და ქალაქად მცხოვრები მოსახლეობის ხელმისაწვდომობის უთანასწორობა განათლებასა და კულტურის სერვისებზე. პრაქტიკულად კი ეს გამოიხატება თემებში მცხოვრები ახალგაზრდების გაზრდილ შესაძლებლობაში მიიღონ უმაღლესი თუ პროფესიული განათლება: ეს შეიძლება სათემო ორგანიზაციების მუშაობის ერთ-ერთ მიღწევად ჩაითვალოს.

მამაკაცი წევრების ნაკლები ჩართულობა სათემო ორგანიზაციების მუშაობაში: შეფასებამ აჩვენა, რომ იშვიათი გამონაკლისების გარდა, მამაკაცი თემის წევრები ფაქტობრივად არ არიან ჩართულნი სათემო პროექტებსა და საქმიანობაში. გამონაკლისია ისეთი შემთხვევები, როდესაც საქმე ინფრასტრუქტურულ პროექტებს ეხება და კაცები ფიზიკურად ეხმარებიან, ან როდესაც პროექტები უშუალოდ სოფლის მეურნეობის/ტექნოლოგიების გაუმჯობესების საკითხებს ეხება, ან მამაკაცები ერთვებიან შედარებით გასართობი ხასიათის აქტივობებშიც, როგორიცაა ექსკურსიები. ეს ნაწილობრივ იმით არის გამოწვეული, რომ სათემო ორგანიზაციების გარკვეული ნაწილი ქალთა გაძლიერების პროგრამების ფარგლებშია დაფუძნებული და მათ თავიდანვე ქალთა გაძლიერებაზე ჰქონდათ ფოკუსი. შესაბამისად, სათემო ორგანიზაციების მიერ შეთავაზებული აქტივობები/პროექტები უფრო ქალთა საჭიროებებზეა მორგებული. მეორე მხრივ, ნათელია, რომ ისეთ საკითხებზე მუშაობაში, როგორიცაა მაგ. ქალთა ეკონომიკური გაძლიერება თუ ოჯახური ძალადობა, მამაკაცების ჩართვა ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც ქალების/გოგონების. სათემო ორგანიზაცია შეიძლება ფოკუსირებული იყოს თემის რომელიმე კონკრეტულ ჯგუფზე, თუმცა, ამ შემთხვევაშიც სხვადასხვა ჯგუფების მაღალი ჩართულობა სათემო ორგანიზაციებს მიზნების მიღწევაში მეტად დაეხმარებოდათ. შესაბამისად, სათემო ორგანიზაციების მუშაობაში კაცების მეტად ჩართულობის პრაქტიკების დახვეწაც მიზანშეწონილია.

ანგარიშვალდებულება თემთან/მუნიციპალიტეტთან: მიუხედავად იმისა, რომ სათემო ორგანიზაციები ძალიან ბევრ და მნიშვნელოვან

საქმეს აკეთებენ საკუთარ თემებში, ინფორმაცია ამის შესახებ ნაკლებად მიეწოდებათ როგორც თავად თემის წევრებს, ისე მუნიციპალურ ორგანოებს, რაც საბოლოო ჯამში, თავად სათემო ორგანიზაციების იმიჯზე არასახარბიელოდ აისახება. რასაც სათემო ორგანიზაციები რეგულარულად აკეთებენ, არის კონკრეტული პროექტის დაწყების/დასრულების ღონისძიებები, სადაც დაინტერესებულ მხარეებს, ბენეფიციარებსა და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებს იწვევენ. ეს უდავოდ კარგი პრაქტიკაა და ხელს უწყობს სათემო ორგანიზაციებსა და მუნიციპალიტეტებს შორის თანამშრომლობის განმტკიცებას. თუმცა შეფასების პროცესში თემის და მუნიციპალური ორგანოების წინაშე რეგულარული (წლიური/სემესტრული/კვარტალური) ანგარიშების წარდგენის პრაქტიკა ფაქტობრივად არ გამოვლინდა. ის გარემოება, რომ თავად სათემო ჯგუფებს ნაკლებად აქვთ თემთან პერიოდული/რეგულარული ანგარიშგების, თემის სისტემატური ინფორმირების კულტურა, შესაძლოა, დაკავშირებული იყოს ადამიანური რესურსის, დროის ან ასეთი ორგანიზაციული კულტურის ნაკლებობასთან.[27] შესაძლოა, სწორედ ამ ანგარიშვალდებულების ნაკლებობით აიხსნას ისიც, რომ ბენეფიციარები ამა თუ იმ აქტივობას ორგანიზაციასთან კი არა, კონკრეტულ ლიდერთან აიგივებენ, მაშინაც კი, როცა თავად იყვნენ ამა თუ იმ პროექტის მონაწილეები. შესაბამისად, საჭიროა სათემო ორგანიზაციებმა გააძლიერონ და დაამყარონ უფრო მჭიდრო ურთიერთობა თემის სხვადასხვა ჯგუფთან და მუნიციპალიტეტთან, რათა თემის წევრებმა/მუნიციპალიტეტმა უკეთესად იცოდნენ, თუ რას აკეთებს მათ თემში მოქმედი ჯგუფი. ამით ორგანიზაციის მიმართ ნდობა და მისი ცნობადობა მეტად გაიზრდებოდა.

მუნიციპალიტეტი – სათემო ორგანიზაციის თანამშრომლობა პიროვნულ კავშირებზე გადის და არ არის ინსტიტუციონალიზებული: სათემო ორგანიზაციებსა და მუნიციპალურ ორგანოებს შორის თანამშრომლობის ხასიათი უშუალოდ არის დაკავშირებული იმ პიროვნულ ურთიერთობებთან, რასაც სათემო ლიდერები მუნიცი-

[27]იხ. მარგველაშვილი, ა. (2021). საქართველოში 2019-2020 წლებში მოქმედი სათემო ორგანიზაციების კვლევა.

პალიტეტის კონკრეტულ წარმომადგენლებთან ამყარებენ. ეს გარკვეულწილად განპირობებულია იმითაც, რომ ადგილობრივ თვითმმართველობას ხშირად არ აქვს კომპეტენცია და ნება, რომ სათემო ორგანიზაციებთან ითანამშრომლოს – მით უმეტეს, თუ ჯგუფი ადგილობრივ პრობლემებზე ხმამაღლა საუბრობს და კრიტიკული დამოკიდებულებით გამოირჩევა. შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ჩართულობის ხარისხი სათემო ორგანიზაციების მუშაობის პროცესში უშუალოდ არის დაკავშირებული/დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ/რამდენად მოახერხებს სათემო ლიდერი, რომ ადგილობრივ თვითმმართველობაში გადაწყვეტილებების მიმღებ პირებთან პრაგმატული სამუშაო კავშირები დაამყაროს. ეს კი თავისთავად ხელს უშლის ურთიერთობებისა და თანამშრომლობის **ინსტიტუციონალიზაციას.** კიდევ ერთი გარემოება, რომელიც თანამშრომლობის ინსტიტუციონალიზაციას უშლის ხელს, არის თვითმმართველობებში საჯარო მოხელეთა ცვლილებები, რის გამოც სათემო ორგანიზაციებს ხელახლა უწევთ მუნიციპალიტეტის ახალ თანამშრომლებთან კონტაქტებისა და ურთიერთობის დამყარება. ეს კიდევ ერთი დაბრკოლებაა, რასაც აძლიერებს ინსტიტუციური მეხსიერების არარსებობა. დამატებითი გარემოება, რომელიც ასევე უშლის ხელს ეფექტური თანამშრომლობის დამყარებას, უკავშირდება თავად სათემო ორგანიზაციების ზოგჯერ მწირ ადამიანურ რესურსს, კომპეტენციებსა და ცოდნას, რომ შეძლონ ცვალებად გარემოში წარმატებული თანამშრომლობის პრაქტიკები დაამყარონ შესაბამის სამსახურებთან.

ერთ-ერთი გამოსავალი სათემო ორგანიზაციებსა და მუნიციპალიტეტებს შორის ხარისხიანი და საქმიანი ურთიერთობების დამყარებისთვის, შესაძლოა, იყოს სათემო ლიდერებისთვის ეფექტური და სტრატეგიული კომუნიკაციის ტექნიკების სწავლება კონკრეტულად მუნიციპალიტეტების მუშაობის სპეციფიკიდან გამომდინარე. ამავე დროს, როგორც მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები აღნიშნავენ, თანამშრომლობა სათემო ორგანიზაციებთან უფრო წარმატებულია, როდესაც სათემოები მუნიციპალიტეტს მიმართავენ როგორც „პარტნიორები“, რომელთაც მიზნად აქვთ დასახული საერთო პრობლემის

მოგვარება და მზად არიან „დაეხმარონ“ მუნიციპალიტეტს ამ პროცესში, და არა როდესაც მოთხოვნებითა და კრიტიკულად განწყობილნი ეურთიერთებიან. მუნიციპალიტეტების წარმომადგენლების ასეთი დამოკიდებულება თავისთავად პრობლემურია, რადგან კრიტიკულად განწყობილ სათემო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის მზაობის ნაკლებობაზე მიუთითებს.

მეორე მხრივ, უნდა აღინიშნოს, რომ კონსტრუქციული თანამშრომლობა მხოლოდ ერთ მხარეზე და მის ძალისხმევაზე ვერ იქნება დამოკიდებული და მთელ რიგ შემთხვევებში, სწორედ მუნიციპალიტეტის მხრიდან არ არის თანამშრომლობის ნება; მუნიციპალიტეტებს კი ჰყავთ საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი ან იშვიათ შემთხვევაში, რაიმე უფრო სპეციფიკური სამსახური, თუმცა ადგილობრივ საზოგადოებრივ და სათემო ორგანიზაციებთან სისტემატური, თუნდაც საინფორმაციო მუშაობა, როგორც წესი, არსად ხდება და, შესაბამისად, მუნიციპალიტეტებში არც ამ მუშაობის საინფორმაციო არქივი და გამოცდილება არსებობს ინსტიტუციურ დონეზე.

მუნიციპალიტეტთან თანამშრომლობის დონის/ეფექტურობის ხარისხის ნაკლებობა: შეფასების პროცესში გამოიკვეთა, რომ ზოგიერთ სათემო ორგანიზაციას ან საერთოდ არ აქვს, ან ნაკლებად ეფექტური თანამშრომლობა აქვს ადგილობრივ თვითმმართველობასთან, რაც ნაწილობრივ გამომდინარეობს თანამშრომლობის ინსტიტუციონალიზაციისა და ანგარიშგების ნაკლებობიდან (იხ. ზემოთ). თუმცა ამ შემთხვევაში თანამშრომლობის ნაკლებობა სათემო ორგანიზაციის მუშაობის პროცესიდან ერთ-ერთი მთავარი დაინტერესებული მხარის - ადგილობრივი თვითმმართველობის - „გათიშვას“ იწვევს, რაც მოკლე და გრძელვადიან პერსპექტივაში, სავარაუდოდ, ხელს შეუშლის სათემო ორგანიზაციის ეფექტურ მუშაობას: სათემო დონეზე მუშაობისას არის საკითხები, რომელთა გადაჭრა ადგილობრივ თვითმმართველობასთან თანამშრომლობის გარეშე ფაქტობრივად შეუძლებელია. ამავე დროს, თანამშრომლობა ორმხრივი პროცესია და მნიშვნელოვანია, რომ

ადგილობრივ თვითმმართველობებსაც ჰქონდეთ სათემო ორგანიზაციებთან მუშაობის მზაობა. თანამშრომლობის განმტკიცების თვალსაზრისით, დონორი ორგანიზაციების ჩართულობა და მხარდაჭერა, შესაძლოა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყოს.

სათემო ორგანიზაციების მწირი ორგანიზაციული და ადამიანური კაპიტალი: შესწავლილ სათემო ორგანიზაციებში, იშვიათი გამონაკლისების გარდა, ადამიანური კაპიტალის ნაკლებობა შეიმჩნევა. მიუხედავად იმისა, რომ სათემო ორგანიზაციების ლიდერები რეგულარულ სწავლებებში მონაწილეობენ და სხვადასხვა მიმართულებით იმაღლებენ ცოდნას, შემდეგი გამოწვევები მაინც სახეზეა: სათემო ორგანიზაციების ლიდერი რესპონდენტები მიუთითებენ ისეთი უნარ-ჩვევებისა და ცოდნის ნაკლებობაზე, რომელიც უშუალოდ უკავშირდება დაფინანსების მოპოვებას უკეთესი/გრძელვადიანი/დიდი ზომის პროექტების განსახორციელებლად. მაგალითად, ასეთ დაბრკოლებას ქმნის ინგლისური ენის ცოდნის ნაკლებობა, გაუმართავი ორგანიზაციული სტრუქტურა (რაც ლოგიკურია ასეთი ტიპის ჯგუფებისთვის, სადაც საშუალოდ 2-3 ადამიანი უძღვება ორგანიზაციის მუშაობას). ასევე, პრობლემაა ისეთი ფორმალური მექანიზმების არქონა, როგორიცაა, მაგალითად, წლიური აუდიტი თუ ორგანიზაციის ვებგვერდი. მწირი ორგანიზაციული გამოცდილება, რომელიც ძირითადად მცირებიუჯეტიანი/ნაკლებმასშტაბური/მოკლევადიანი პროექტების განხორციელებით შემოიფარგლება, ხელს უშლით გრძელვადიანი/დიდბიუჯეტიანი პროექტების მოპოვებაში, რადგან დონორი ორგანიზაციები სწორედ რომ ორგანიზაციული სტრუქტურისა და გამოცდილების (ასევე აუდიტის) შეფასებას აქცევენ საკმაოდ დიდ ყურადღებას.

არსებული ინფრასტრუქტურის/ტექნიკური აღჭურვის მოვლა-პატრონობის (maintenance) პრაქტიკის არარსებობა: როგორც წესი, დონორი ორგანიზაციები ახლად დაარსებულ ორგანიზაციებს ეხმარებიან სამუშაო სივრცის მოწყობასა და საჭირო აღჭურვილობის შეძენაში, რაც, ძალიან დადებითად აისახება სათემო ორგანიზაციების

მუშობაზე. ამავე დროს, გარკვეული დროის შემდეგ აუცილებელი ხდება ამ სივრცისა თუ ტექნიკის გადაიარაღება, რისი მატერიალური საშუალებაც ზოგ სათემოს არ აქვს. შესაბამისად, ეს საფრთხეს უქმნის მათ ეფექტურ და ეფექტიან მუშაობას. იგივე ეხება სოციალური საწარმოების ტექნიკას – როგორც ჩანს, ბიზნეს გეგმებში ნაკლებად ითვალისწინებენ ტექნიკის გადაიარაღების აუცილებლობას, რის გამოც რამდენიმეწლიანი მუშაობის შემდეგ სოციალური საწარმოები, შესაძლოა, დახურვის წინაშე აღმოჩნდნენ, თუ წინასწარვე არ აქვთ გათვლილი გადაიარაღების გეგმა და ხარჯები. სამომავლოდ, დონორი ორგანიზაციების მიერ გრანტების გაცემის პროცესში ამ კომპონენტის დახვეწა და გათვალისწინება აუცილებელია. ეს შესაძლებლობას მისცემს სათემო ორგანიზაციებს გაზარდონ თავიანთი საქმიანობის/ პროექტების მდგრადობა, და, შესაბამისად, თემზე მათი ზეგავლენა.

ნაწილი II. შეფასების მიგნებები: სათემო ჯგუფები და სათემო პროექტები

შესაბამისობა

შესაბამისობის შეფასებისას, კვლევითი ჯგუფი სათემო ორგანიზაციისა და მათი პროექტების შესაბამისობას ამავე თემის საჭიროებებთან მიმართებით აფასებდა - ეს ეხება, როგორც ორგანიზაციის დაარსების პერიოდს, ისე შესაბამისობას კონკრეტულად კვლევის ჩატარების პერიოდისთვის. ვიკვლევდით, რამდენად ახერხებდნენ სათემო ორგანიზაციები დროსთან ერთად ცვალებად თემის საჭიროებებთან ადაპტაციას: რადგანაც ზოგიერთი ორგანიზაცია 10-15 წელზე მეტია, რაც საქმიანობს, ნათელია, რომ მათი დაარსებისას არსებული გამოწვევები დიდი ალბათობით შეიცვლებოდა/მოდიფიცირდებოდა, რასაც, ორგანიზაციის ფოკუსისა და, შესაბამისად, საქმიანობის ცვლილებაც უნდა გამოეწვია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ახლად დაარსებული ორგანიზაცია, რომელიც პასუხობდა თემის გამოწვევებს და მუშაობდა მათ გადასაჭრელად, განვლილი წლების შემდეგ, თავისი საქმიანობით, შესაძლოა, უკვე ვეღარ პასუხობდეს არსებულ გამოწვევებს, თუკი ვერ შეძლო განვითარება და თემის საჭიროებებისათვის ფეხის აწყობა.

როგორც ორგანიზაციის ლიდერები, ასევე ფოკუს ჯგუფისა და მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები, ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ ორგანიზაციების არსებობა დაარსების პერიოდშიც და დღესაც, აქტუალური და საჭიროა. ამის მიზეზი კი უპირველესად სათემო ორგანიზაციების მუშაობის პრინციპიდან გამომდინარეობს, რომელიც თემის საჭიროებების კვლევასა და თემთან უშუალო სიახლოვეს ეფუძნება. სათემო ორგანიზაციების ლიდერები საგანგებოდ მიუთითებდნენ იმ გარემოებაზე, რომ ისინი ყოველწლიურად იკვლევენ თემის საჭიროებებს, აკეთებენ პრობლემების პრიორიტეტიზაციას, რომელიც საფუძვლად ედება მათ შემდგომ საქმიანობას. შესაბამისად, არ ხდება „აცდენა“ თემის საჭიროებებსა და სათემო ორგანიზაციის საქმიანობებს შორის. ამავე დროს, გასათვალისწინებელია, რომ რადგან სათემო ორგანიზაციების ლიდერები იმავე თემებს წარმოად-

გენენ, სადაც ორგანიზაციები მუშაობენ, მათ აქვთ უშუალო შეხება და გამოცდილება იმ პრობლემებისა და გამოწვევების, რაც ადგილობრივ მოსახლეობას აწუხებს. შესაბამისად, საკუთარი ცოდნისა და გამოცდილების გათვალისწინებით, შეუძლიათ თემში იმ პრობლემების მოგვარება, რაც მათ გარშემო მცხოვრებლებს მართლა აწუხებთ. ამავე დროს, სამწუხაროდ, თემებში ჯერ კიდევ იმდენი და იმდენად მრავალფეროვანი გამოწვევებია, რომ სათემო ორგანიზაციების მიერ განხორციელებულმა პროექტებმა ერთ-ერთი მათგანიც რომ მოაგვაროს, უკვე ძალიან დიდ მიღწევად მიიჩნევა. ამიტომაც, ძნელად წარმოსადგენია ისეთი პროექტი, რომელიც თემის არცერთ საჭიროებას არ პასუხობს: შესაბამისობის შეფასებისას ეს გარემოებაც გასათვალისწინებელია.

მაგალითად, გამოიკვეთა ასეთი პატერნი: შედარებით „ძველი“ ორგანიზაციების შემთხვევაში, ჯერ კიდევ ახლად დაფუძნებულ ორგანიზაციებს პირველ რიგში ინფრასტრუქტურულ საჭიროებებთან შეჭიდება უწევდათ, იქნებოდა ეს გზა, წყალი, გაზი, თუ სკოლის/ბაღის/სკვერის რეაბილიტაცია. ამ პრობლემების მოგვარების შემდეგ კი ორგანიზაციები გადადიოდნენ ისეთი პრობლემების მოგვარებაზე, როგორიცაა არაფორმალური განათლება ან ახალგაზრდული ცენტრები და ა.შ., რაც მოსახლეობის შეცვლილ საჭიროებებს ასახავდა.

ძირითადი საჭიროებები, რომლებიც რესპონდენტებმა გამოკვეთეს, შემდეგია:

- ხარისხიანი ფორმალური და არაფორმალური განათლება;
- დასაქმება, განსაკუთრებით ახალგაზრდების კონტექსტში;
- შიდა და გარე მიგრაცია თემებიდან, განსაკუთრებით ახალგაზრდების კონტექსტში;
- შეკრებების სივრცეები, განსაკუთრებით არარსებობა/ნაკლებობა, ახალგაზრდების კონტექსტში;
- ინფრასტრუქტურული საკითხები კვლავ რჩება პრობლემად, თუმცა ნაკლები სიმწვავით.

სათემო პროექტების შესაბამისობის შეფასებისას, შესწავლილი ორგანიზაციების წარმომადგენლები და ბენეფიციარები მიიჩნევენ, რომ პროექტები პასუხობენ თემის საჭიროებებს. კერძოდ, რესპონდენტები აღნიშნავდნენ, რომ სათემო ორგანიზაციის მიერ განხორციელებული პროექტები ხელს უწყობენ თემში არსებულ გამოწვევებთან გამკლავებას, იქნება ეს არაფორმალური განათლება, მოსახლეობის ეკონომიკური შესაძლებლობების გაძლიერება თუ ოჯახში ძალადობასთან ბრძოლა. გარდა ამისა, კითხვაზე, თუ კიდევ რა შეიძლება გააკეთოს სათემო ორგანიზაციამ, რომ უკეთ მოახერხოს თემის საჭიროებებზე რეაგირება, ბენეფიციარ რესპონდენტებს ხშირად არ ჰქონდათ პასუხი: ეს მიანიშნებს, რომ სათემო ორგანიზაციების მიერ განხორციელებული აქტივობები მთლიანობაში პასუხობენ არსებულ გამოწვევებს. თუმცა, ასევე შესაძლებელია, რომ თავად ბენეფიციარ რესპონდენტებს არ აქვთ შესაბამისი კომპეტენცია თემში არსებული პრობლემების გამოსავლენად, რაც კიდევ უფრო აქტუალურს ხდის თემის საჭიროებების გამოვლენის მეთოდოლოგიის შემდგომი დახვეწის აუცილებლობას.

რაც შეეხებათ მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებს, ისინი ზოგ შემთხვევაში არ იყვნენ გათვითცნობიერებულნი ამა თუ იმ კონკრეტული პროექტის შესახებ: მათი შეფასებები უფრო ზოგად ხასიათს ატარებდა, თუმცა ყველა შემთხვევაში იყო დადებითი. მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები აღნიშნავდნენ, რომ სათემო ორგანიზაციების მუშაობა პასუხობს არსებულ საჭიროებებს და პოზიტიურ გავლენას ახდენს თემზე, განსაკუთრებით, ახალგაზრდებზე. თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, არსებული საჭიროებების სპექტრი იმდენად დიდია, რომ ბენეფიციარები და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები სათემო ორგანიზაციის მუშაობას თითქმის ყოველთვის დადებითად აფასებენ იმ დაშვებით, რომ თემისთვის რაღაც კარგი გაკეთდა.

დასკვნა 1. სათემო ორგანიზაციების მუშაობა და მათ მიერ განხორციელებული მცირე პროექტები უაღრესად შეესაბამება თემებში არსებულ გამოწვევებსა და საჭიროებებს.

ეფექტურობა

კვლევითი ჯგუფი სათემო ორგანიზაციების მუშაობის ეფექტურობის შესწავლისას აფასებდა ორგანიზაციების უნარსა და შესაძლებლობებს, რომ მიეღწიათ დასახული მიზნებისთვის. რაოდენობრივი შეფასების პროცესში გამოვიკვლიეთ, თუ როგორ აფასებენ თავად სათემო ორგანიზაციების წარმომადგენლები საკუთარ საქმიანობას, და რამდენად ეფექტურად. როგორც მოსალოდნელი იყო, სათემო ორგანიზაციების წარმომადგენლების შეფასებები საკმაოდ მაღალი და დადებითია – მხოლოდ 2-3 ადამიანი ფიქრობდა, რომ მათ მიერ ბოლო 5 წლის განმავლობაში განხორციელებული პროექტები არ იყო ეფექტური. საპირისპიროდ, 54 რესპონდენტი ფიქრობდა, რომ პროექტები ეფექტური/ძალიან ეფექტური იყო.

ამავე დროს, სათემო ორგანიზაციების წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ მეტი ეფექტურობის მისაღწევად სასურველია პრინციპული ცვლილებები, როგორიცაა ადგილობრივი ხელისუფლების მეტი ჩართულობა, მეტი ნდობა ადგილობრივი თემის მხრიდან, თუ მეტად სტაბილური და რეგულარული დაფინანსება (ცხრილი 8).

ცხრილი 8. რა შემთხვევაში იქნება თქვენი და თქვენნაირი ორგანიზაციის მიერ განხორციელებული პროექტები უფრო ეფექტური?

	სიხშირეები
როდესაც ჩვენი სურვილით გავაკეთებთ პროექტებს და არა დონორის გადაწყვეტილებით	1
მეტი ნდობა თემის მხრიდან	2
ჩვენი ორგანიზაციის უფრო მაღალი ორგანიზაციული განვითარება	7
მეტი მოხალისის ჩართვა	8
ადგილობრივი მოსახლეობის მეტი აქტიურობა	10
რეგულარული დაფინანსება მთავრობისგან	19
ადგილობრივი თვითმმართველობის მეტი ჩართულობა	23
რეგულარული დაფინანსება დონორი ორგანიზაციებიდან	59

თვისებრივი შეფასების დროსაც, სათემო ლიდერი-რესპონდენტები მიიჩნევდნენ, რომ სათემო ორგანიზაციები საქმეს ეფექტურად არ-თმევდნენ თავს და დასახულ მიზნებსაც აღწევდნენ: მაგალითად, ამბობდნენ, რომ სათემო ორგანიზაციები ხელს უწყობდნენ სამიზნე ჯგუფების გაძლიერებას, არაფორმალური განათლების უწყვეტი ციკლის შექმნასა და თემისთვის მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი გამოწვე-ვების მოგვარებას. მნიშვნელოვანია, რომ სათემო ორგანიზაციების მუშაობა ეფექტურად შეაფასეს არა მხოლოდ თავად ორგანიზაციის წარმომადგენლებმა, არამედ გამოკითხულმა ბენეფიციარებმა და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებმა. დადებითად ფასდებოდა ისიც, რომ სათემო ორგანიზაციები მიზნების მიღწევას შედარებით მწირი ადამიანური, ტექნიკური თუ ფინანსური რესურსებით ახერხებდნენ.

მცირე სათემო პროექტების ეფექტურობის შეფასებისას, გამოიკვეთა გამოკითხული სათემო ორგანიზაციების უნარი, რომ მიაღწიონ დასახულ

მიზნებს. ერთეული შემთხვევებია, როდესაც ორგანიზაციამ სხვადასხვა მიზეზის გამო ნაწილობრივ[28] ვერ მოახერხა პროექტის მიზნების მიღწევა. ამის მიზეზად სახელდებოდა პანდემია, რამაც შეცვალა ან შეუძლებელი გახადა უკვე დაწყებული პროექტების ბოლომდე მიყვანა და დასახული მიზნების მიღწევა. თუმცა, მსგავსი შემთხვევები ორგანიზაციის ლიდერებმა რეფლექსიისა და შეცდომების ანალიზისთვის მაინც გამოიყენეს. ნეგატიური გამოცდილებიდან სწავლა ასევე მნიშვნელოვანია, რადგან ეს ორგანიზაციული ზრდის ერთ-ერთი საშუალებაა.

დასკვნა 2. როგორც კონკრეტული მცირე სათემო პროექტების, ისე მთლიანობაში ორგანიზაციების მუშაობა ფასდება როგორც ეფექტური.

ეფექტიანობა

სათემო ორგანიზაციების ეფექტიანობის შეფასება გულისხმობდა ორგანიზაციების უნარს თავიანთი საქმიანობა/პროექტები დადგენილ ვადებში და სრულად განეხორციელებინათ. როგორც შეფასებამ გვიჩვენა, სათემო ორგანიზაციები ეფექტიანად მუშაობენ. ამაზე მიუთითებს ის, რომ, როგორც სათემო ორგანიზაციის ლიდერები აღნიშნავენ, ისინი მცირე სათემო პროექტებს განსაზღვრულ ვადებში ასრულებენ: გაჭიანურების, ვადაგადაცილების ან დაგვიანების შემთხვევები ფაქტობრივად არ გამოკვეთილა. რესპონდენტები საუბრობდნენ იშვიათ გამონაკლისებზე, როდესაც ორგანიზაციამ სხვადასხვა ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზის გამო ვერ მოახერხა დროულად განეხორციელებინა ეს თუ ის აქტივობა: ვადაგადაცილების მიზეზებს შორის დასახელდა კოვიდ-19 პანდემია და მუნიციპალიტეტის მიერ თავისი ვალდებულებების დაგვიანებით შესრულება.

დასკვნა 3: სათემო ორგანიზაციების საქმიანობა და მცირე პროექტების განხორციელება ფასდება როგორც ეფექტიანი.

[28] რესპონდენტებმა ვერ გაიხსენეს ვერცერთი შემთხვევა, როდესაც მათ საერთოდ ვერ მოახერხეს პროექტის მიზნების მიღწევა.

მცირე სათემო პროექტების გავლენა

წინამდებარე შეფასების მთავარ ფოკუსს წარმოადგენდა მცირე სათემო პროექტების გავლენის შეფასება. აღსანიშნავია, რომ შეფასებისთვის შერჩეული მცირე სათემო პროექტები მაქსიმალურად მრავალფეროვან თემატიკას მოიცავდა, რათა შეფასების ჯგუფს შესაძლებლობა ჰქონოდა შეესწავლა განსხვავებული ფორმატის, მოცვისა და მასშტაბის პროექტების ზეგავლენა და მნიშვნელობა, როგორც თემის, ისე ინდივიდუალურ თუ მუნიციპალურ დონეზე. იქიდან გამომდინარე, რომ შერჩეული სათემო ორგანიზაციები დიდწილად სწორედ რომ მცირე სათემო პროექტებს ახორციელებენ, სათემო ორგანიზაციების საქმიანობის ზოგადი გავლენის შეფასება თემზე, მოიცავს მცირე პროექტების განხორციელებით მიღწეულ ზეგავლენასაც.

სათემო ორგანიზაციების და მათ მიერ განხორციელებული მცირე სათემო პროექტების გავლენა შეფასდა რამდენიმე დონეზე:

- პიროვნულ დონეზე
- თემის დონეზე
- მუნიციპალურ დონეზე

პიროვნულ დონეზე სათემო ორგანიზაციის მიერ განხორციელებული პროექტების ზეგავლენა შეფასდა, როგორც ორგანიზაციების ლიდერების, ისე ბენეფიციარების შემთხვევაში. რაოდენობრივი შეფასების ფარგლებში გამოვიკვლიეთ როგორი იყო სათემო ორგანიზაციების წარმომადგენლების თვითშეფასებისა და თავდაჯერებულობის დონე სათემო ორგანიზაციის საქმიანობაში ჩართვამდე და მერე (დიაგრამა 1). ასევე, გამოვიკვლიეთ, თუ როგორ აფასებენ რესპონდენტები თემის დამოკიდებულებას როგორც უშუალოდ მათ მიმართ, ისე თავად სათემო ორგანიზაციის მიმართ.

თვისებრივი შეფასების ფარგლებში, რესპონდენტები დადებითად საუბრობდნენ მრავალფეროვან და მნიშვნელოვან ცვლილებებზე, რაც

სათემო ორგანიზაციის მიერ განხორციელებულმა პროექტებმა პირადად მათ მოუტანა. კერძოდ:

- **თვითშეფასებისა და თვითდაჯერებულობის დონის ამაღლება:** ორგანიზაციის ლიდერი და ბენეფიციარი რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ ორგანიზაციის მუშაობაში თუ პროექტებში მონაწილეობამ გაზარდა მათი თვითშეფასების დონე. ეს გამოიხატება როგორც რესპონდენტების მიერ საკუთარი აზრის გამოხატვისა და დაცვის უნარების გაუმჯობესებაში, ისე მზაობაში, სცადონ რაღაც ახალი, ისწავლონ და განვითარდნენ.

დიაგრამა 1. თვითდაჯერებულობის დონე სათემო ორგანიზაციის მუშაობაში ჩართვამდე და მერე (სიხშირეები)



ROMGORI IYO TKVENI TVITDAJERebULOBIS DONE SANAM SATEMO ORGANIZACIIS MUSHAOBASHI CHARTVAMDE?

ROMGORIA TKVENI TVITDAJERebULOBIS DONE DGES, ROMDESAC UKVE ORGANIZACIIS SAKMIANOBASHI KARTI CHARTULI?

დიაგრამა 2. თვითრეალიზებულობის თვითშეფასება სათემო ორგანიზაციის მუშაობაში ჩართვამდე და მერე (სიხშირეები)



რამდენად თვითრეალიზებულად გრძნობდით თავს, სანამ სათემო ორგანიზაციის მუშაობაში ჩაერთვებოდით?

რამდენად თვითრეალიზებულად გრძნობთ თავს როდესაც უკვე ორგანიზაციის საქმიანობაში ხართ ჩართული?

ახალი ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გაუმჯობესება/შეძენა: როგორც რაოდენობრივმა, ისე თვისებრივმა შეფასებებმა გვიჩვენა, რომ სათემო ლიდერებმა აიმაღლეს პრაქტიკული უნარ-ჩვევები სხვადასხვა ორგანიზაციების ტრენინგებსა და კურსებზე დასწრების საშუალებით. რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ მათ გაიუმჯობესეს არსებული და/ან შეიძინეს ახალი უნარ-ჩვევები. სათემო ორგანიზაციების ლიდერებმა (რესპონდენტებმა) ისწავლეს ორგანიზაციული მართვის ტექნიკები, პროექტების წერა, მათი განხორციელება, შეფასება, კვლევების ჩატარება, დახვეწეს კომუნიკაციისა და პრეზენტაციის უნარები.

დიაგრამა 3. პროექტების განხორციელების უნარ-ჩვევები სათემო ორგანიზაციის მუშაობაში ჩართვამდე და მერე (სიხშირეები)



თვისებრივი შეფასების კომპონენტის დროს ბენეფიციარი რესპონდენტები აღნიშნავდნენ, რომ სათემო ორგანიზაციის მიერ განხორციელებული არაფორმალური განათლების პროექტების დახმარებით, მათ მიიღეს და იღებენ ახალ ცოდნას სხვადასხვა მიმართულებებით - იქნება ეს მეწარმეობა, გარემოს დაცვა, გენდერული თანასწორობა, ტურიზმი, თუ სოფლის მეურნეობა. ბენეფიციარები ცოდნას ძირითადად სათემო ორგანიზაციის მიერ ორგანიზებული ტრენინგებისა და სასწავლო კურსების მეშვეობით იღებდნენ, რადგან სოფლებში არაფორმალური განათლების სხვა ალტერნატივა არ არსებობს. ბენეფიციარების შემთხვევაში მათ შეიძინეს კონკრეტულ საქმიანობასთან დაკავშირებული უნარები: მაგალითად, თექის დამუშავება, კერვა, თიხაზე მუშაობა და ა.შ. და ამ უნარებს იყენებენ ან ფიქრობენ, რომ გამოიყენებენ კიდეც ცხოვრებაში.

თემის დონეზე

თემის დონეზე სათემო ორგანიზაციების და მათ მიერ განხორციელებული მცირე სათემო პროექტების ზეგავლენა უპირველესად შეინიშნება შემდეგი მიმართულებებით:

- გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა;
- უკეთესი ეკონომიკური შესაძლებლობები/კეთილდღეობის ზრდა;
- უკეთესი ხელმისაწვდომობა ინფორმაციაზე/განათლებაზე;
- მაღალი სოციალური აქტივიზმი;
- გაზრდილი სოციალური კაპიტალი თემში;
- გართობისა და დასვენების სივრცეების შექმნა;

გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა: როგორც გამოკითხული რესპონდენტები აღნიშნავენ, იმ თემებში, სადაც სათემო ორგანიზაციები მუშაობენ, დიდწილად მოგვარებულია ყველაზე მწვავე ინფრასტრუქტურული გამოწვევები, იქნება ეს გზა, წყალმომარაგება თუ გაზმომარაგება. გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა ასევე მოიცავს უკეთეს/გარემონტებულ/რეაბილიტირებულ საჯარო დაწესებულებს, როგორიცაა ბაღი, სკოლა, ამბულატორია თუ სკვერი. მათი რეაბილიტაცია ხშირად სწორედ რომ სათემო ორგანიზაციების ძალისხმევით, ინიციატივითა თუ ადვოკატირების წყალობით გახდა შესაძლებელი. სათემო ორგანიზაციებს აქვთ უნარ-ჩვევები და ცოდნა იმის შესახებ, თუ როგორ აწარმოონ ადვოკატირების კამპანიები ინფრასტრუქტურული პრობლემების მოსაგვარებლად. მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებიც ადასტურებდნენ, რომ ინფრასტრუქტურა გაცილებით უკეთესია, და ინფრასტრუქტურული პრობლემებიც უფრო სწრაფად გვარდება იმ დასახლებებში, სადაც სათემო ორგანიზაცია მუშაობს, ვიდრე იქ, სადაც ასეთი ორგანიზაცია არ არსებობს.

უკეთესი ეკონომიკური შესაძლებლობები/კეთილდღეობის ზრდა: თემებში, სადაც სათემო ორგანიზაციები ეკონომიკური გაძლიერების პროექტებს ახორციელებენ, მცხოვრებლებს გაცილებით უკეთესი შესაძლებლობები აქვთ საკუთარი შემოსავლების გასაზრდელად: მათ

საშუალება აქვთ, რომ ჩაერთონ პროექტებში, საიდანაც მატერიალურ სარგებელს იღებენ, ინოვაციებს ეცნობიან, ახალ ტექნოლოგიებს ნერგავენ და შედეგად, მათი კეთილდღეობა იზრდება. ასევე, არა-ფორმალური განათლების კურსები ბენეფიციარებს ეხმარება ახალი უნარ-ჩვევების შეძენაში, რაც ასევე აისახება შემოსავლის ზრდაზე: მაგალითად, იქნება ეს თექის წარმოება, სამკერვალო ბიზნესის შესწავლა თუ ინოვაციური პროგრამების გაცნობა, საბოლოო ჯამში, ბენეფიციარების ეკონომიკურ გაძლიერებას უწყობს ხელს. როგორც ჩანს, სათემო ორგანიზაციების მუშაობის ეს მიმართულება განსაკუთ-რებით მიმზიდველი და მოსაწონი იყო გამოკითხული ბენეფიციარებისა-თვის, რადგან ამ ტიპის პროექტები გარკვეულწილად, საკმაოდ სწრაფ შედეგს იძლევა და უშუალოდ აისახება მათ და მათი ოჯახების კეთილდღეობაზე.

უკეთესი ხელმისაწვდომობა ინფორმაციაზე/განათლებაზე: თემებში, სადაც სათემო ორგანიზაციები მუშაობენ, ინფორმაციასა და განათლებაზე ხელმისაწვდომობა იზრდება, რადგან ტრენინგებისა თუ სასწავლო კურსების მეშვეობით ბენეფიციარები მეტად ინფორმირე-ბულები არიან, თუ როგორ გაზარდონ შემოსავალი, როგორ განავითა-რონ სოფლის მეურნეობა, როგორ დაწერონ საპროექტო წინადადება და ა.შ. სათემო ორგანიზაციები ასევე უწყობენ ხელს მუნიციპალური პროგრამებისა თუ სხვა ორგანიზაციების პროექტების შესახებ ინ-ფორმაციის გავრცელებას: ისინი გარკვეულწილად შუამავლის როლს ასრულებენ თემსა და დონორ ორგანიზაციებთან, ასევე სახელმწიფო სტრუქტურებთან ურთიერთობაში. ხშირად, სწორედ სათემო ორგანიზა-ციებია ის ადგილი, სადაც თემის წევრები იკრიბებიან, ინფორმაციას ცვლიან, მსჯელობენ, ერთმანეთს ასწავლიან და სახელმწიფო თუ დონორი ორგანიზაციის საგრანტო პროექტებზე განაცხადებსაც აგ-ზავნიან, იღებენ სხვადასხვა ტექნიკურ დახმარებას სათემო ჯგუფის ლიდერების უშუალო ჩართულობითა და დახმარებით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ის სოფლები, თემები, სადაც სათემო ჯგუფები ან თუნდაც სულ მცირე ინიციატივები არსებობს, ხშირად ხდება სამიზნე და

დასაყრდენი, სხვა ადგილობრივი თუ საერთაშორისო ორგანიზაციების და მათი პროგრამებისათვის. არაერთი დონორი ორგანიზაცია სამიზნე თემის შერჩევის დროს სწორედ ისეთ სოფლებს არჩევს, სადაც სათემო თვითორგანიზების კუთხით თუნდაც მცირედი გამოცდილება არსებობს.

მაღალი სოციალური აქტივიზმი: რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ იმ თემებში, სადაც სათემო ორგანიზაცია მუშაობს, სათემო ორგანიზაციამ მოსახლეობაში სოციალური აქტივიზმის დონე აამაღლა. სათემო ორგანიზაციის საქმიანობაში ჩართვამ თემის წევრებს შესაძლებლობა მისცა, რომ თემის წინაშე საკუთარი პასუხისმგებლობა გაეაზრებინათ და ეფიქრათ იმაზე, თუ როგორ და რა გზით შეუძლიათ თემის პრობლემების მოგვარებაში საკუთარი წვლილი შეიტანონ. ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია მოხალისეობის ხელშეწყობა და წახალისება — თითქმის ყველა გამოკითხულ სათემო ორგანიზაციას ჰყავდა და ჰყავს მოხალისეები, რომლებიც აქტიურად არიან ჩართულები როგორც ორგანიზაციის საქმიანობაში, ისე კონკრეტული პროექტების განხორციელებაში. ცვლილებები სოციალური აქტივიზმის თვალსაზრისით, გარკვეულწილად, პიროვნულ დონეზე ხდება, შემდგომ კი მისი გავლენა თემზეც აისახება, რადგან სოციალურად აქტიური მოსახლეობა ცვლილებების გენერატორი და გამტარია.

გაზრდილი სოციალური კაპიტალი თემში: სათემო ორგანიზაციების მიერ განხორციელებული ინტერკულტურული სახის პროექტები, როგორიცაა საზაფხულო სკოლები თუ ბანაკები, ხელს უწყობს თემებში სოციალური კაპიტალის გაზრდას, რაც გამოიხატება თემის წევრებს შორის ახალი და არსებული კავშირების გაძლიერებაში. შედეგად, თემი უფრო ეფექტურად ფუნქციონირებს და უმჯობესდება ინტერპერსონალური კომუნიკაცია არა მარტო მის წევრებს, არამედ თემისა და სხვა თემების წევრებს შორის. მაგალითად, ბენეფიციარები ყვებოდნენ, რომ სათემო ორგანიზაციამ საკუთარი ან სხვა სოფლების სკოლების მოსწავლეებთან, სხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლებთან ან ისეთ ნაცნობებთან დაამეგობრა, რომლებსაც სხვა სივრცეებში აქამდეც

ხვდებოდნენ, მაგრამ ახლო ურთიერთობა არ ჰქონიათ. მეტი კავშირი, კომუნიკაცია და დიალოგი ხელს უწყობს კონფლიქტების მოგვარებასა და სხვადასხვა ჯგუფს შორის ნდობის გაზრდას, - განსაკუთრებით, მრავალეთნიკური და მრავალკულტურული თემების შემთხვევაში.

გართობისა და დასვენების სივრცეების შექმნა: სათემო ორგანიზაციები ქმნიან გარკვეულ გართობისა და დასვენების „ჰაბებს“, სადაც თემის წევრებს შეუძლიათ არაფორმალურ გარემოში შეხვდნენ ერთმანეთს, სიახლეები გაუზიარონ, პრობლემების მოგვარებაზე იმსჯელონ, სამომავლო გეგმები დასახონ ან დრო უბრალოდ სასიამოვნოდ გაატარონ. ვითარებაში, როდესაც თემებში უმეტესად არ არსებობს ისეთი შეხვედრის ადგილები, როგორიცაა სკვერი, კაფე, კინო ან თეატრი, სწორედ რომ სათემო ორგანიზაციების ოფისები ითავსებენ ამ ფუნქციებს: ისინი ატარებენ გამწვანების აქციებს, აწყობენ ლაშქრობებსა და ექსკურსიებს, კინოჩვენებებს, თეატრალურ წარმოდგენებსა თუ კულტურულ საღამოებს, რაც სათემო ცხოვრებისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია.

რაოდენობრივი შეფასების კომპონენტის დროს რესპონდენტებმა აღნიშნეს დამოკიდებულებების ცვლილებები უარყოფითი ან ნეიტრალურიდან დადებითისკენ თემის მხრიდან სათემო ორგანიზაციების მიმართ, რაც, ირიბად, მაგრამ მიანიშნებს სათემო ორგანიზაციების დადებით ზეგავლენაზე თემის ცხოვრებაზე (გრაფიკები 4-5).

დიაგრამა 4. თემის მხრიდან სათემო ორგანიზაციის მიმართ დამოკიდებულების შეფასება რესპონდენტების მიერ (სიხშირეები)



დიაგრამა 5. თემის მხრიდან თემის ლიდერის მიმართ დამოკიდებულების (თვით)შეფასება (სიხშირეები)



მუნიციპალიტეტის დონეზე

იქიდან გამომდინარე, რომ გამოკითხული სათემო ორგანიზაციების დიდი ნაწილი თემის დონეზე მუშაობს, იმის მოლოდინი, რომ მათ გავლენა ექნებოდათ მუნიციპალურ დონეზე, ნაკლებად გვქონდა. თუმცა, შეფასებამ აჩვენა, რომ სათემო ორგანიზაციები ორი თვალსაზ-რისით ახდენენ ზეგავლენას მუნიციპალიტეტის დონეზე:

- **კარგი მაგალითი:** სათემო ორგანიზაციების მიერ გამოწვეული ცვლილებები მაგალითს და მოტივაციას სძენს მუნიციპალიტეტის

სხვა თემებს, რომ მათაც განახორციელონ მსგავსი პროექტები. ამ კუთხით, ერთ თემში განხორციელებული პროექტი მუნიციპალიტეტისთვის სისტემური ცვლილების პოტენციალსაც ატარებს, რადგან სამომავლოდ, შესაძლოა, განვითარების ნაცადი მოდელი სხვებმაც გამოიყენონ და წარმატებული პრაქტიკები საკუთარ დასახლებებში დანერგონ. ასეთმა კარგმა მაგალითებმა, მათ, შესაძლოა, უკეთესად აღაქმევინოს საკუთარი უფლებები და მოვალეობები – მეტად გააააქტიუროს და განავითაროს. თუმცა, ნათელია, რომ კარგი მაგალითი თავისთავად ადვილად „განმეორებადი" არ არის და ზოგ შემთხვევაში, შესაძლოა, დიდი დრო დასჭირდეს, რადგან მოსახლეობას არ აქვს შესაბამისი უნარი და ცოდნა, თუ როგორ მოახდინონ ამ კარგი მაგალითის რეპლიკაცია. თუმცა თანამედროვე საქართველოში გვაქვს ამის კარგი მაგალითიც – აზერბაიჯანულენოვანი თემი, სადაც თვითორგანიზების მაგალითების რაოდენობა იზრდება და თემი გახდა „ხილვადი" და მისი ხმა უკეთ და ხმამაღლა ისმის.

- **გაზრდილი სოციალური კაპიტალი მუნიციპალიტეტში:** სათემო ორგანიზაციების წარმატებული პროექტები, განსაკუთრებით, არაფორმალური განათლების მიმართულებით, მოსახლეობას მუნიციპალიტეტის სხვა თემებიდანაც იზიდავს. ეს კი, არა მარტო ხელს უწყობს სხვადასხვა სოფლის მცხოვრებლებს შორის ცოდნის ზრდას და გაზიარებას, არამედ არაფორმალური კავშირებისა და პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბებასაც ახალისებს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მრავალეთნიკური და მრავალკულტურული მუნიციპალიტეტების შემთხვევაში, კონფლიქტების მოგვარების კონტექსტში.

შეფასების შედეგად გამოვლინდა შემდეგი დაკვირვება – რაც უფრო მეტ მცირე ზომის პროექტს ახორციელებს სათემო ორგანიზაცია, მით მეტად ვითარდება ის როგორც ორგანიზაცია, რაც, გარკვეულწილად, ლოგიკურია. გამოცდილების დაგროვების შედეგად კი ის ახერხებს არა

მარტო ახალი პროექტების ინიცირებას, არამედ ისეთი პროექტების განხორციელებასაც, რომლებიც გარკვეულწილად „აგრძელებენ“ უკვე არსებულ/დაწყებულ პროცესებს. თავად სათემო ორგანიზაციების ლიდერები ამ პროცესს უკვე არსებულ პროექტზე ახალი პროექტის „დაშენებას“ უწოდებენ, რაც საკმაოდ კარგად გადმოსცემს თვითონ სათემო ორგანიზაციის განვითარების პროცესსაც. შესაბამისად, ამგვარი „დაშენების“ შედეგად სათემო ორგანიზაციის მიერ მიღწეული შედეგები და ზეგავლენა უფრო მდგრადი და მყარი/გრძელვადიანი ხდება, ხოლო მისი მოცვა უკვე შეიძლება გასცდეს თემს და მუნიციპალურ დონეზე გავიდეს. შესაბამისად, მცირე საგრანტო პროექტები ამ ჯგუფების განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე ასვლასაც უწყობს ხელს და ზრდის მისი მუშაობის მასშტაბსაც.

დასკვნა 4. სათემო ორგანიზაციების მიერ განხორციელებული მცირე პროექტების გავლენა სამიზნე ჯგუფებზე, თემებსა და მუნიციპალიტეტზე ფასდება როგორც უაღრესად დიდი და მნიშვნელოვანი.

მდგრადობა

სათემო ორგანიზაციების მდგრადობის შეფასების კომპონენტმა ყველაზე დიდი გამოწვევები გამოავლინა, და ისინი მათ **ფინანსურ მდგრადობას** უკავშირდება. აღსანიშნავია, რომ რაოდენობრივი შეფასების კომპონენტის შემთხვევაში, რესპონდენტების უმრავლესობა – 57 – მიიჩნევდა, რომ მათი ორგანიზაციის მიერ განხორციელებული პროექტები მდგრადი/უაღრესად მდგრადი იყო. ამავე დროს, მდგრადობის გაზრდის ერთ-ერთ მთავარ პირობად, ისინი ყველაზე ხშირად სწორედ რომ რეგულარული დაფინანსების აუცილებლობას ასახელებენ.

ცხრილი 9. რა შემთხვევაში იქნება თქვენი და თქვენნაირი ორგანიზაციის მიერ განხორციელებული პროექტები უფრო მდგრადი? (რამდენიმე პასუხი)

	სიხშირეები
მეტი ნდობა თემის მხრიდან	1
როდესაც გვექნება საკუთარი შემოსავალი	1
ადგილობრივი მოსახლეობის მეტი აქტიურობა	5
მეტი მოხალისის ჩართვა	6
ჩვენი ორგანიზაციის უფრო მაღალი ორგანიზაციული განვითარება	12
ადგილობრივი თვითმმართველობის მეტი ჩართულობა	18
რეგულარული დაფინანსება მთავრობისგან	19
რეგულარული დაფინანსება დონორი ორგანიზაციებიდან	60

თვისებრივი შეფასების კომპონენტის შემთხვევაშიც გამოიკვეთა, რომ მიუხედავად იმისა, რომ გამოკითხული ორგანიზაციების უმეტესობა უკვე 5-10 წელია რაც მუშაობს, მათი ყოველდღიური მუშაობა ეგზისტენციალური რისკების წინაშე დგას, რადგან იშვიათი გამონაკლისების გარდა, სათემო ორგანიზაციებს არ აქვთ მდგრადი/რეგულარული დაფინანსების საკმარისი წყაროები. მდგრადობის მეორე კომპონენტი, რომელიც ასევე პრობლემურია, უკავშირდება სათემო ორგანიზაციების **სამუშაო სივრცეების სტატუსსა და მდგომარეობას.** როგორც წესი, სათემო ორგანიზაციები მუნიციპალიტეტების მიერ დროებით სარგებლობაში გადაცემულ სივრცეებში მუშაობენ. როგორც ზოგმა სათემო ორგანიზაციის ლიდერმა აღნიშნა შეფასების დროს, ზოგ შემთხვევაში დროებითი სარგებლობა არ არის ფორმალურად გაფორმებული და ზეპირ შეთანხმებებს ეფუძნება, ანუ, არ არსებობს ფორმალური კონტრაქტები, რომლებიც სათემო ორგანიზაციებს ამ სივრცეებით

კანონიერად სარგებლობის უფლებას მისცემდა. შესაბამისად, ისინი მუდმივად დგანან იმ საფრთხის წინაშე, რომ მუნიციპალიტეტმა, შესაძლოა, სხვადასხვა მიზეზის გამო, უარი უთხრას მათ ამ სივრცით სარგებლობის გაგრძელებაზე. პრობლემურია ამ სამუშაო სივრცეების კეთილმოწყობის საკითხიც. მათ პირველად მოწესრიგებას, როგორც წესი, დონორი ორგანიზაციები იღებენ თავის თავზე, თუმცა ისეთი ასპექტები, როგორიცაა ხელმისაწვდომობა წყალზე/საკანალიზაციო სისტემებსა თუ სველ წერტილებზე, ხშირ შემთხვევაში, მოუგვარებელია.

მდგრადობის მესამე, ასევე პრობლემური კომპონენტი სათემო ორ-განიზაციების **ადამიანურ კაპიტალს უკავშირდება**. ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია კვალიფიციური კადრების დენადობის პრობლემა, ასევე, გარკვეული უნარ-ჩვევებისა და ცოდნის დეფიციტი სათემო ორგანიზაციებში, როგორიცაა, მაგალითად, უცხო ენების ცოდნა. მიუხედავად იმისა, რომ ზოგ დონორ ორგანიზაციას აქვს განაცხადის ფორმა ქართულ ენაზე, ზოგი დონორი ორგანიზაცია კვლავინდებურად მოითხოვს განაცხადის და, შესაბამისად, საპროექტო დოკუმენტაციის ინგლისურ ენაზე წარდგენას, რაც ბევრი სათემო ორგანიზაციისთვის გადაულახავი ბარიერია.

შეფასების შედეგად გამოიკვეთა გარკვეული პარადოქსი – კადრების დენადობას ამძაფრებს ისიც, რომ სათემო აქტივიზმში ძირითადად ქალები არიან ჩართულები, რომლებიც არაერთი ობიექტური მიზეზის გამო (დეკრეტი, ბავშვებზე/მოხუცებზე ზრუნვა თუ შრომითი მიგრაცია, სადაც ქალების წილი მზარდია), უფრო მარტივად „დენადები“ არიან. ხშირია შემთხვევები, როდესაც სათემო ორგანიზაციების კადრები გადამზადდებიან და გაძლიერდებიან, მაგრამ შემდეგ გადამზადებული ქალები ან დაქორწინდებიან, ან ბავშვი ეყოლებათ, ან სამუშაოდ საზ-ღვარგარეთ მიდიან; ეს კი აფერხებს სათემო ჯგუფების ორგანიზაციულ განვითარებას და მდგრადობას.

კიდევ ერთი ასპექტი, რომელიც, შესაძლოა, აფერხებდეს სათემო ორგანიზაციების შესაძლებლობებს, რომ უფრო მდგრადი და გრძელ-

ვადიანი ფინანსური მდგრადობა მოიპოვონ, არის თავად დონორი ორგანიზაციების პოლიტიკა და პრაქტიკები, რომლებიც სათემო ჯგუფების შემთხვევაში უპირატესობას სწორედ რომ მოკლევადიან, მცირე ზომის პროექტებს ანიჭებენ ერთი მხრივ, ხოლო მეორე მხრივ - როგორც შეფასების დროს არაერთხელ გააჟღერეს სათემო ლიდერებმა, საკუთარი პრიორიტეტების განსაზღვრისას ზოგიერთი დონორი ნაკლებად ითვალისწინებს ადგილზე არსებულ საჭიროებებს, გამოწვევებს, ასევე, სათემო ორგანიზაციების კომპეტენციებსა და გამოცდილებას.

შესაბამისად, სათემო ორგანიზაციების მდგრადობა ცალსახად არის დამოკიდებული ერთ წყაროზე, იქნება ეს უცხოური/ადგილობრივი დონორი ორგანიზაციების თუ კერძო სპონსორის მიერ გაწეული ფინანსური დახმარება. ალტერნატიული წყაროებიდან მიღებული შემოსავლები მხოლოდ იმ სათემოებს ეხმარება განაგრძოს არსებობა, სადაც სოციალური საწარმო ფუნქციონირებს — ეს კი უფრო გამონაკლისია, ვიდრე წესი. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, უფრო სიღრმისეულად შეფასდეს სოციალური საწარმოს მქონე სათემო ორგანიზაციების მდგრადობა. კერძოდ, მნიშვნელოვანია დადგინდეს, თუ რამდენად უწყობს ხელს სოციალური საწარმო სათემო ჯგუფის მდგრადობას.

რაც შეეხება თავად **მცირე სათემო პროექტების** მდგრადობის შეფასებას, კვლევით ჯგუფს ჰქონდა ის დაშვება, რომ იმის გათვალისწინებით, რომ მცირე სათემო პროექტების ბიუჯეტი 10 000-15 000 ლარს არ უნდა აღემატებოდეს, ამ შედარებით მცირე თანხით, რთული იქნებოდა ისეთი პროექტის განხორციელება, რომელსაც ბენეფიციარებსა თუ მთლიანად თემზე, განგრძობადი, მრავალწლიანი და მდგრადი გავლენა ექნებოდა. თუმცა შეფასების პროცესში ეს დაშვება „დაიმსხვრა“. შეფასების გუნდმა ნახა, რომ ამ შედარებით მცირე თანხებით სათემო ორგანიზაციები ახერხებენ ისეთი პროექტების განხორციელებას, რომლებიც „რჩება“ თემში და წლების განმავლობაში ასრულებს თავის ფუნქციას.

კერძოდ, ერთჯერადმა საზაფხულო სკოლამ/ტრენინგმა, მის მონაწი-

ლეებს, შესაძლოა, ახლებურად დაანახოს და გააზრებინოს გარემოს დაცვის მნიშვნელობა და ეს ცოდნა და ღირებულება ამ ადამიანებს მთელი ცხოვრების მანძილზე გაჰყვეთ.

ან

ეთნოკულტურულმა ბანაკმა უჩვენოს ახალგაზრდებს „სხვებთან“ ურთიერთობის და შეცნობის მნიშვნელობა და ხელი შეუწყოს გვერდიგვერდ მცხოვრებ ახალგაზრდებს შორის ახალი, მეგობრული ურთიერთობების დამყარებას.

ან

ინფრასტრუქტურული პროექტების შემთხვევაში, იმის გარდა, რომ საქმე გვაქვს პროექტის უშუალო „ფიზიკურ კვალთან“, როგორც ჩანს, სათემო ორგანიზაციები ბენეფიციარების მხარდაჭერით, წლების შემდეგაც, დიდწილად ახერხებენ მათ შენარჩუნებას. თუმცა ინფრასტრუქტურული პროექტების შემთხვევაში აუცილებელია **მოვლა-პატრონობის** კომპონენტის გაძლიერება და მხარდაჭერა განხორციელებული პროექტების მდგრადობის კიდევ უფრო გასაძლიერებლად.

როგორც ჩანს, ერთ-ერთი ყველაზე მდგრადი შედეგი მოაქვს თემის ეკონომიკურ გაძლიერებაზე მიმართულ პროექტებს. ამ პროექტებს უშუალო – მონეტარული – შედეგი მოაქვთ თავისი ბენეფიციარებისთვის და ზოგადად თემისთვის. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ იქ, სადაც თემის წევრები ხედავენ საკუთარი კეთილდღეობის შედარებით სწრაფ და რეალურ გაუმჯობესებას, მათ განსხვავებული მოტივაცია უჩნდებათ ამ შედეგების შესანარჩუნებლად. ამიტომ, უფრთხილდებიან და უვლიან წვეთოვან სარწყავ სისტემებს, დანადგარებსა თუ გაშენებულ სათბურებს.

კიდევ ერთი დაკვირვება უკავშირდება ეგრეთ წოდებულ „ზედნაშენ“ პროექტებს, ანუ, როდესაც უკვე განხორციელებული პროექტი საფუძვლად ედება მომდევნო პროექტს. როგორც შეფასებამ აჩვენა, ასეთ

შემთხვევაში პროექტების ერთმანეთზე „დაშენება“ და ურთიერთ-შევსება აძლიერებს მათ მდგრადობას, და, შესაბამისად, გავლენას (იხილეთ გავლენის ქვეთავი ზემოთ). თუმცა, ეს დაკვირვება არავითარ შემთხვევაში არ გამორიცხავს სათემო ორგანიზაციების მიერ განხორ-ციელებული ცალკეული წარმატებული პროექტების მდგრადობას.

დასკვნა 5: სათემო ორგანიზაციების მდგრადობა ფასდება რო-გორც არადამაკმაყოფილებელი, ხოლო მცირე სათემო პროექ-ტების მდგრადობის დონე ფასდება როგორც კარგი.

სათემო ორგანიზაციების მუშაობის დაუგეგმავი შედეგები

როგორც ზოგი სათემო ორგანიზაციის ლიდერი აღნიშნავს, სათემო ორგანიზაციების მიერ განხორციელებული არაფორმალური განათლე-ბის პროგრამების ერთ-ერთი წარმატების ნიშანი ის არის, რომ თემის ახალგაზრდები წარმატებით აბარებენ უმაღლესში მისაღებ გამოცდებს და იღებენ უმაღლეს განათლებას, თუმცა, ამ პროცესის **(1) დაუგეგმავი შედეგია** ის, რომ თემის ახალგაზრდა მოსახლეობა უმაღლესი განათ-ლების მიღების შემდეგ იშვიათად თუ ბრუნდება თემში იქ არსებული მწირი დასაქმების თუ განვითარების შესაძლებლობებისა და ცხოვრების დაბალი ხარისხის გამო. შესაბამისად, საქმე გვაქვს ახალგაზრდა, მოტივირებული და განათლებული მოსახლეობის გადინებასთან, რომელსაც ირიბად სათემო ორგანიზაციების საგანმანათლებლო პროგრამებიც უწყობს ხელს. ეს კომპლექსური პრობლემაა და მის გადასაჭრელად ასეთივე კომპლექსური მიდგომაა საჭირო, რაც, როგორც წესი, ერთი, მცირე სათემო ჯგუფის ძალებს შეიძლება აღემატებოდეს.

დაუგეგმავი შედეგი (2) მდგომარეობს იმაში, რომ თავისი საქმიანობის შედეგად, სათემო ორგანიზაციები გარკვეულწილად ითავსებენ მუ-ნიციპალიტეტის ფუნქციებს სოფლის დონეზე. ეს გამოიხატება იმაში, რომ თემის მოსახლეობამ, იმის მაგივრად, რომ პრობლემების მო-საგვარებლად მუნიციპალიტეტის შესაბამის სამსახურებს მიმართოს,

სათემო ორგანიზაციებს მიმართავს. თავისთავად ეს, სათემო ორგანიზაციებისადმი მაღალ ნდობასა და მათ მიერ პრობლემების მოგვარების უნარზე (capacity) მიუთითებს.

დაუგეგმავი შედეგი (3) კი, სათემო ორგანიზაციების მიერ თემსა და მუნიციპალიტეტს შორის შუამავლის ფუნქციის შესრულებაა. ამ ფუნქციას მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებიც იყენებენ, როდესაც სათემო ორგანიზაციებს დახმარებისთვის მიმართავენ სხვადასხვა აქტივობებისთვის თემიდან მონაწილეების მობილიზაციისთვის, თუ მუნიციპალური/სახელმწიფო პროექტების შესახებ ინფორმაციის გასავრცელებლად. თემის წევრები კი, სათემო ორგანიზაციის ამ ფუნქციას საკუთარი პრობლემების მუნიციპალიტეტამდე მისატანად იყენებენ. ნათელია, რომ სათემო ორგანიზაციების ეს ფუნქცია, ადგილობრივ თვითმმართველობასა და თემების მოსახლეობას შორის კავშირების დასამყარებლად/შესანარჩუნებლად, უაღრესად მნიშვნელოვანია.

ნაწილი III. მცირე პროექტების ეკონომიკური გავლენის შეფასება

შეფასების მეთოდოლოგია

სათემო ორგანიზაციების მიერ პროექტების განხორციელების მთავარი მიზანი, უმეტესად თემისთვის მნიშვნელოვანი სხვადასხვა პრობლემის გადაჭრა, ორგანიზაციული განვითარება და თემის ცნობიერების ამაღლებაა. თუმცა ზოგიერთი პროექტი უშუალოდ მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას ისახავს მიზნად. ყველა ტიპის პროექტის შემთხვევაში შეუძლებელია პირდაპირი და ირიბი ეკონომიკური ეფექტის განსაზღვრა. წინამდებარე ქვეთავი კი სწორედ იმ პროექტებზე ამახვილებს ყურადღებას, სადაც უშუალოდ ჩანს და შეიძლება შეფასდეს პირდაპირი და ირიბი ეკონომიკური გავლენები. როგორც უკვე ითქვა, კვლევის საწყის ეტაპებზე ოცი სათემო ორგანიზაცია და მისი ერთი, კონკრეტული პროექტი შევისწავლეთ. სწორედ ამ ოცი სათემო პროექტიდან შეირჩა ხუთი მცირე პროექტი, რომლებიც თემზე მათი ეკონომიკური გავლენის თვალსაზრისით შეფასდა.

პროექტების შერჩევისას ვიხელმძღვანელეთ შემდეგი კრიტერიუმებით:

- პროექტები, რომლებიც შინაარსიდან გამომდინარე ეკონომიკური ეფექტის შეფასების შესაძლებლობას იძლევა
- შეფასებისთვის საჭირო დოკუმენტაციის სრულყოფილად წარმოდგენის შესაძლებლობა და პროექტის დამფინანსებელთან (დონორთან) კომუნიკაციის სიმარტივე
- პროექტის განმახორციელებელი სუბიექტის შეფასების პროცესში ჩართულობის სურვილი
- შერჩეული პროექტებით მოცული სფეროების თემატური და გეოგრაფიული მრავალფეროვნება.

ზოგადად შესწავლილი 20 პროექტიდან შეირჩა შემდეგი 5 პროექტი:

- „ცნობიერებით გავზარდოთ შესაძლებლობა“ – განმახორციელებელი: სათემო კავშირი „ჰერეთი“.

- „ჩვენ ვნერგავთ მომავალს“ – განმახორციელებელი: ქალთა და ახალგაზრდობის ცენტრი „ვარდისუბანი“.
- ახალგაზრდების გაძლიერება პოზიტიური ცვლილებებისთვის – განმახორციელებელი: ა.ა.(ი).პ. „თეთრიწყაროს ახალგაზრდული ცენტრი“.
- „დასრულებული სუფთა სივრცე“ – განმახორციელებელი: ქალთა საინიციატივო ჯგუფი „თანასწორი“.
- „პომპიას ბილიკი“ – განმახორციელებელი: ქალთა საინიციატივო ჯგუფი „მაღვიძარა“.

შერჩეული პროექტების ეკონომიკური გავლენის შეფასება სამ ეტაპად ჩატარდა:

1. დოკუმენტაციის გამოთხოვა და ანალიზი

შეფასების პირველ ეტაპზე განისაზღვრა თითოეული პროექტის შესაფასებლად საჭირო ინფორმაციის ჩამონათვალი. ამაში იგულისხმება როგორც საპროექტო განაცხადები, პროექტის ანგარიშები, წინამდებარე შეფასების პროცესში ჩატარებული ინტერვიუების მასალები, ასევე, პროექტის სპეციფიკიდან გამომდინარე დამატებითი ინფორმაცია (სახელმწიფო შესყიდვების დოკუმენტაცია; სოფლის მეურნეობაში ტექნოლოგიების გამოყენების ეფექტიანობა; ნარჩენების წარმოქმნის ნორმატივები და სხვ.).

2. დამატებითი ინფორმაციის გამოთხოვა და ანალიზი

შეფასების მეორე ეტაპზე მიღებული დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე, თითოეული პროექტის მიხედვით დამატებითი კითხვები განისაზღვრა. ასევე განისაზღვრა იმ ინფორმაციის ჩამონათვალი, რომელიც ექსპერტმა დამოუკიდებლად მოიპოვა. კითხვები გადაეგზავნა პროექტის განმახორციელებელ ორგანიზაციებს და მათგან მივიღეთ წერილობითი პასუხები. რამდენიმე შემთხვევაში, მოწოდებული ინფორმაციის დასაზუსტებლად, საჭირო გახდა დამატებითი სატელეფონო კომუნიკაცია.

3. შეფასების ანგარიშის მომზადება

შეფასების მესამე ეტაპზე წარმოდგენილი და დამატებით მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე, თითოეული პროექტის მიხედვით, წინასწარ განსაზღვრული მეთოდოლოგიის თანახმად, მომზადდა ეკონომიკური გავლენის შეფასების ანგარიში, რომელიც სამუშაო ჯგუფმა განიხილა და მიღებული რეკომენდაციების საფუძველზე, საბოლოო ანგარიში შემუშავდა.

პროექტების ეკონომიკური ეფექტის დასადგენად გამოვიყენეთ სარგებლის დანახარჯთან შედარების მეთოდი. ინფორმაციის ხელმისაწვდომობიდან გამომდინარე, სტანდარტული მოდელიდან გაანალიზდა და არსებულ პროექტებს მოერგო ძირითადი კომპონენტები.

სარგებლის დანახარჯთან შედარების ანალიზი საჯარო და კერძო პროექტების ეკონომიკური შეფასების მეთოდია, რომელიც საზოგადოებრივი ინტერესის პერსპექტივიდან კეთდება. როგორც კერძო, ისე საჯარო ინვესტიციები გავლენას ახდენს საზოგადოებასა და სახელმწიფოზე. გავლენა შეიძლება ეხებოდეს დასაქმების ბაზარს, ეკონომიკას, სოციალურ საკითხებს, გარემოს და სხვ.

პროექტების შედეგად მიღებული სარგებლის შესაფასებლად ძირითადი აქცენტი გაკეთდა ფინანსურ მაჩვენებლებზე, თუმცა პროექტებს აქვთ დამატებითი სარგებელიც, რომლის ფინანსებში გამოსახვა ამ ეტაპზე მაღალ ცდომილებებთან არის დაკავშირებული. შესაბამისად, სარგებლის შეფასება მოიცავს როგორც ფინანსურ ნაწილს, ისე დამატებითი სარგებლის ტექსტობრივ აღწერას, კერძოდ, იმ შედეგებისა, რომლებიც შეფასებულმა პროექტმა გამოიწვია, მაგალითად, გააუმჯობესა თემში სამეწარმეო სულისკვეთება და გარემო; ხელი შეუწყო სხვადასხვა აქტორს შორის თანამშრომლობას და ამ გზით თემში არსებული ინფრასტრუქტურული პრობლემების მოგვარებას, რაც საბოლოოდ ისევ თემის კეთილდღეობაზე აისახება.

პროექტების ნაწილი შეეხება ცნობიერების დონის ამაღლებას და თემის ეკონომიკურად აქტიური წევრების ხელმისაწვდომობის ზრდას ფინანსებზე. შესაბამისად, ამ პროექტების ეკონომიკური ეფექტის შეფასების დროს ძირითადი აქცენტი, განხორციელებული საქმიანობების შემდგომ პერიოდში, თემის წევრების მიერ მოპოვებული დაფინანსების მოცულობასა და წყაროების მრავალფეროვნებაზე გაკეთდა.

პროექტები მოიცავს სათემო ორგანიზაციების მხრიდან თანამონაწილეობის კომპონენტს, რაც შეფასებული და გათვალისწინებულია შეფასების ანგარიშში. თანამონაწილეობა მოიცავდა როგორც ფინანსურ, ისე პროექტში ჩართული პირების მხრიდან გაწეულ შრომით კომპონენტს.

პროექტები ითვალისწინებს ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობას, რაც ასევე შეფასებული და გათვალისწინებულია თითოეული პროექტის ანგარიშში.

კონკრეტული პროექტები და მათი ეკონომიკური გავლენა

1. პროექტი: „ჩვენ ვნერგავთ მომავალს“

განმახორციელებელი:
ქალთა და ახალგაზრდობის ცენტრი „ვარდისუბანი“
ადგილი:
ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი, სოფელი ვარდისუბანი
პროექტის ჯამური ღირებულება:
10 040 ლარი
პროექტის განხორციელების პერიოდი:
2016 წელი

პროექტის დანახარჯები:

პროექტის ბიუჯეტი საქმიანობების ორ ძირითად ჯგუფს უკავშირდება:

1) სარწყავი სისტემის მასალების შეძენა და მონტაჟი (10 კომპლექტი) - 8730 ლარი;
2) სარწყავი სისტემის და თანამედროვე ტექნოლოგიების ირგვლივ ტრენინგების ორგანიზება - 1310 ლარი;

წვეთოვანი სისტემის შესაძენად თავდაპირველად დაიხარჯა თემის ფულადი წვლილის სახით მოგროვილი თანხა. ასევე, თემმა გარდა ფინანსურისა, ნატურის სახითაც შეიტანა წვლილი პროექტის განხორციელებაში, რომელიც გათვალისწინებული იყო პროექტის საერთო ღირებულებაში.

პროექტის პირდაპირი ეკონომიკური ეფექტი

წვეთოვანი სარწყავი სისტემის მონტაჟი განხორციელდა 2000 კვ. მეტრ საკარმიდამო მიწის ნაკვეთზე (შერჩეულ 10 ოჯახში). წვეთოვანმა სარწყავმა სისტემამ 35%-ით გაზარდა მოსავლიანობა. ამას ემატება ისიც, რომ მომდევნო პერიოდში მიღებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, თავადვე გააფართოვეს დაფარვის არეალი და საკუთარი ხარჯით საკუთარი ნაკვეთი წვეთოვანი ქსელით დაფარეს.

თითოეულ ბენეფიციარს საშუალოდ 3000 ლარით გაეზარდა შემოსავალი – საუბარია თითო ბენეფიციარზე 200 კვ.მ ფართობის ნაკვეთზე, სადაც ადრეული გაზაფხულიდან შესაძლებლობა აქვთ მოსავალი დახურულ კარკასოვან სათბურში მოიყვანონ – პროექტის შედეგად მიღებული დამატებითი წლიური ფინანსური შემოსავალი დაახლოებით 3000X10=30000 ლარს შეადგენს.

პროექტის განხორციელების შედეგად მოპოვებულ იქნა დამატებითი დაფინანსება (ათ სოციალურად დაუცველ ქალს გადაეცა მაყვლისა და ჟოლოს ნერგები, ასევე, წვეთოვანი სარწყავი სისტემა), რომელიც ასევე შეიძლება ჩაითვალოს თემისთვის დამატებით შემოსავლად. ამ, დამატებითი პროექტების ჯამური ღირებულება შეადგენს 11420 ლარს.

პროექტის დამატებითი ეფექტი:

წვეთოვანი სარწყავი სისტემის მოწყობის პროექტი ვარდისუბნის მოსახლეობისათვის მნიშვნელოვან სიახლედ იქცა. ადგილობრივი გლეხები პროექტის სამიზნე ოჯახებში საკუთარი სურვილით ეცნობოდნენ სისტემის მუშაობის ფორმას და როდესაც აანალიზებდნენ მის უპირატესობას, საკუთარი ხარჯით იძენდნენ და ამონტაჟებდნენ წვეთოვან სარწყავ სისტემებს საკარმიდამო ნაკვეთებში.

საერთო ჯამში, პროექტის განხორციელების შედეგად, დამატებით მოსახლეობის 30 პროცენტმა საკუთარი ხარჯით მოაწყო და გამართა წვეთოვანი სარწყავი სისტემა. ამ ინიციატივამ გააუმჯობესა მოსავლიანობის ხარისხი და დაზოგა დრო, შეამსუბუქა გლეხის შრომა.

გარდა ამისა, სარწყავი სისტემის პროექტის გაგრძელება იყო კენკრის ბაღის სადემონსტრაციო ნაკვეთების გამართვა ქალებისათვის (უეკლო მაყვალი და ჟოლო). პროექტის ფარგლებში ათ სოციალურად დაუცველ ქალს გადაეცა მაყვლისა და ჟოლოს ნერგები, ასევე, წვეთოვანი სარწყავი სისტემა. ამ მეურნეობით ქალები დღემდე სარგებლობენ. მათგან ერთმა კიდევ უფრო გააფართოვა საკუთარი მეურნეობა.

პროექტს აქვს დამატებით სარგებელი, რომლის ფინანსებში გამოსახვა რთულია, თუმცა შეფასებით ის აჭარბებს პროექტის პირდაპირ ეკონომიკურ სარგებელს.

პროექტის ეკონომიკური ეფექტის შეფასების შედეგად შეგვიძლია გამოვკვეთოთ მთავარი პარამეტრები:

- დანახარჯი: 10040 ლარი
- პირდაპირი ეკონომიკური სარგებელი (წლიური) – 30000 ლარი
- პროექტის განხორციელების შემდგომ გასულია 6 წელი და სისტემა კვლავ მუშაობს. შესაბამისად, წლიური ფინანსური სარგებელი შესაძლებელია გამრავლდეს წლების რაოდენობაზე და მას გამოაკლდეს წლიური ამორტიზაციის ნორმა
- პროექტის განხორციელების შედეგად მოსახლეობის მესამედმა თავიანთ ნაკვეთებში მოაწყო სარწყავი სისტემა. ზუსტი სარგებლის გათვლა დაკავშირებულია მაღალ ცდომილებასთან, თუმცა ექსპერტული შეფასებით, დამატებითი სარგებელი აჭარბებს პირდაპირ ეკონომიკურ სარგებელს
- პროექტის განხორციელების შედეგად მოპოვებულ იქნა დამატებითი დაფინანსება (ახალი პროექტები) 11420 ლარის ოდენობით.

2. პროექტი: „ცნობიერებით გავზარდოთ შესაძლებლობა“

განმახორციელებელი:
სათემო კავშირი „ჰერეთი“
ადგილი:
ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჰერეთისკარი
პროექტის ჯამური ღირებულება:
7085 ლარი
პროექტის განხორციელების პერიოდი:
2016 წელი

პროექტის დანახარჯები

პროექტის ბიუჯეტი საქმიანობების ორ ძირითად ჯგუფს უკავშირდება:

- სათემო ორგანიზაციის ბაზაზე ფერმერის კუთხის მოწყობა და აღჭურვა (ტექნიკით და სათანადო ლიტერატურით) - 6010 ლარი;
- საგანმანათლებლო ღონისძიებების გატარება (მოსახლეობის აქტიური ინფორმირება სოფლის მეურნეობის დარგში არსებულ ახალ ტექნოლოგიებსა და სახელმწიფო პროგრამების შესახებ, ასევე, შესატყვისი საკონსულტაციო მომსახურება/მხარდაჭერა ბიზნეს პროექტების მომზადებაში) - 1075 ლარი;

თემმა საკუთარი წვლილი შეიტანა პროექტის განხორციელებაში, რომელიც გათვალისწინებული იყო პროექტის საერთო ღირებულებაში.

პროექტის პირდაპირი ეკონომიკური ეფექტი

პროექტის, „ცნობიერებით გავზარდოთ შესაძლებლობა“, ფარგლებში, ფერმერთა კუთხის შექმნამ სოფელ ჰერეთისკარს მრავალი შესაძლებლობა გაუჩინა. მოსახლეობა ხშირად მიმართავს პროექტის განმახორციელებელ ორგანიზაციას საგრანტო კონკურსებში მონაწილეობის თხოვნით, ეკონომიკური გაძლიერებისა და ახალი შესაძლებლობების შექმნის სურვილით, როგორც სოფლის მეურნეობაში, ისე არასასოფლო სამეურნეო განვითარების მიმართულებით.

2016-2017 წლებში სიდა-ს (სამოქალაქო განვითარების სააგენტო) მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში სოფელ ჰერეთისკარში, ფონასა და სამთაწყაროში უშუალოდ ორგანიზაციის ჩართულობითა და დახმარებით 41 სტარტაპი დაფინანსდა. მათ შორის:

- სამკერვალო სალონი
- სილამაზის სალონი
- ბოსტნეულის და მარწყვის სასათბურე მეურნეობები
- მცირე საოჯახო ტიპის აგროტექნიკის შეძენა
- ვარდების სათბური და ა.შ.

თითოეული სტარტაპული პროექტის ღირებულება - 1000 ევრო (2016-2017 წ.წ.). ჯამში დაახლოებით 135000 ლარი.

მნიშვნელოვანი შედეგია ის, რომ სოფელ ჰერეთისკარში გაიზარდა ინტერესი სოფლის მეურნეობის, მცირე მეწარმეობის, არსებული სახელმწიფო თუ კერძო პროგრამების მიმართ და ისიც, რომ სათემო კავშირი თავად ეხმარებოდა დაინტერესებულ პირებს, მსგავს პროგრამებში მონაწილეობის მისაღებად. მაგალითად, სოფელში მოეწყო სამაცივრო მეურნეობა, რომელიც ევროკავშირის პროგრამის ფარგლებში გამოცხადებული საგრანტო კონკურსით დაფინანსდა. ასევე, შეიქმნა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი, რომელიც, თავის მხრივ, სამაცივრო მეურნეობას უკავშირდება. სამაცივრო ინფრასტრუქტურა საშუალებას იძლევა შეინახოს მალფუჭებადი პროდუქტი - ბოსტნეული, ბაღჩეული კულტურები და ხილი. პროექტის საერთო ღირებულება 140 000 ლარია და ის 2019-2020 წლებში განხორციელდა. ამ ყოველივემ დადებითი გავლენა იქონია სოფლის მცხოვრებლების ცხოვრების დონეზე.

FAO-ს (გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია) პროგრამის ფარგლებში, ორგანიზაციის უშუალო დახმარებით (პროექტების მომზადება, დამუშავება და დონორთან კომუნიკაცია), რამდენიმე ოჯახმა მძიმე ტექნიკა - ტრაქტორი, გუთანი, სახნავი, სათესი, სასუქის გასაშლელი მოწყობილობა შეიძინა. პროგრამით დაფინანსებული ტექნიკის საერთო ღირებულება 250 000 ლარია. პროგრამა 2020-2022 წლებში განხორციელდა.

პროექტის განხორციელების შედეგად ხელი შეეწყო თემის ეკონომიკურ გაძლიერებას, რაც ფინანსებში გამოხატული:
135000+140000+250000=525000 ლარია.
დაფინანსების მოპოვებაში მნიშვნელოვანი წვლილი პროექტს და მის განმახორციელებელს მიუძღვის.

პროექტის დამატებითი ეფექტი

სათემო კავშირ „ჰერეთისა“ და ადგილობრივი თვითმმართველობის ურთიერთობა კონსტრუქციული და თანამშრომლობითია. მართალია,

ეკონომიკური გაძლიერების პროგრამებში მონაწილეობა თვითმმართველობის ჩართულობას არ მოითხოვს, მაგრამ აქტიურად თანამშრომლობენ მოსახლეობის საჭიროებების და პრობლემების მოსაგვარებლად. ამისათვის ყოველწლიურად მიმართავენ ადგილზე მოკვლეული პრობლემების მოგვარების თხოვნით. მაგალითად, მოწესრიგდა და ასფალტის საფარით დაიფარა შიდა სასოფლო გზა; შეიცვალა მაღალი ძაბვის ტრანსფორმატორი (თვითმმართველობამ შუამავლის როლი შეასრულა მოსახლეობასა და ელექტროენერგიის მომწოდებელ კომპანიას შორის); აგრეთვე, თვითმმართველობის რეკომენდაციით, საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრომ სოფელში თანამედროვე სტანდარტის საჯარო სკოლის ახალი შენობა ააშენა.

პროექტის ეკონომიკური ეფექტის შეფასების შედეგად შეგვიძლია გამოვკვეთოთ მთავარი პარამეტრები:

- დანახარჯი: 7085 ლარი;
- პროექტთან დაკავშირებული ეკონომიკური ეფექტი 5 წლის განმავლობაში – 525000 ლარი (დაფინანსების მოპოვებაში მნიშვნელოვანი წვლილი პროექტს და მის განმახორციელებელს მიუძღვის ტექნიკური დახმარების გაწევის გზით);
- პროექტის განხორციელების შემდგომ გასულია 6 წელი და ცენტრი კვლავ მუშაობს;
- პროექტმა ხელი შეუწყო თვითმმართველობასთან მჭიდრო თანამშრომლობას, რასაც შედეგად სოფლად სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტის დაფინანსება მოჰყვა სხვადასხვა აქტორის მიერ, თვითმმართველობის მიერ და უშუალო შუამდგომლობით;
- პროექტის განხორციელების შედეგად მოპოვებულ იქნა დამატებითი დაფინანსება (41 სტარტაპ გრანტი; სამაცივრო მეურნეობის აღჭურვა და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შესყიდვა).

3. პროექტი: „პომპიას ბილიკი“

განმახორციელებელი:
ქალთა საინიციატივო ჯგუფი „მაღვიძარა“
ადგილი:
ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი, სოფელი მუხური
პროექტის ჯამური ღირებულება:
16195 ლარი
პროექტის განხორციელების პერიოდი:
2020 წელი

პროექტის დანახარჯები

პროექტის ბიუჯეტი საქმიანობების ორ ძირითად ჯგუფს უკავშირდება:

1. ტურისტული საინფორმაციო ცენტრისათვის სივრცის რემონტი და ინვენტარით აღჭურვა - 11690 ლარი
2. საგანმანათლებლო ღონისძიებების გატარება, ტურიზმსა და მის მართვასთან დაკავშირებულ საკითხებზე, კერძოდ, ტრენინგების და საინფორმაციო შეხვედრების ციკლი, სოფელში მოქმედი ოჯახური სასტუმროების, კვების ობიექტის მფლობელებისათვის, ასევე, ტურიზმში რაიმე ფორმით ჩართული მოსახლეობისათვის - 5005 ლარი.

სათემო კავშირმა საკუთარი წვლილი შეიტანა პროექტის განხორციელებაში, რაშიც ადგილობრივი თვითმმართველობა დაეხმარა; აღნიშნული კომპონენტი მოიცავდა ტურისტული ცენტრის ნაწილობრივ რემონტსა და მუნიციპალური შენობით უსასყიდლოდ სარგებლობას; ასევე, ცენტრის კომუნალური ხარჯების მუნიციპალური ბიუჯეტით დაფინანსებას.

პროექტის პირდაპირი და ირიბი ეკონომიკური ეფექტი

ტურისტული ცენტრის უშუალო ჩართულობითა და კონსულტაციით, ჩატარებული ტრენინგების მეშვეობით და ცენტრის წარმომადგენლების მიერ სოფლის მცხოვრებლებისათვის გაწეული დახმარების შედეგად,

რაც, მათ შორის, პროექტისა და ბიზნესგეგმის წერასაც გულისხმობდა, სოფელში შემდეგი დამატებითი აქტივობები განხორციელდა:

- პროექტის განხორციელების შემდეგ, სამმა მონაწილემ გააფართოვა ბიზნეს-საქმიანობა (საოჯახო სასტუმრო). ჯამში საოჯახო სასტუმროებს დაემატა 11 ნომერი და დამატებით კეთილმოეწყო 3 ნომერი (11+3). ჯამში შესაძლებელი გახდა დღიურად დამატებით 30 სტუმრის (ტურისტის) მიღება. წლის განმავლობაში სოფელ მუხურში საოჯახო სასტუმროების დატვირთვის (საშუალოდ 55 დღე) და ერთი ღამისთევის ღირებულების (საშუალოდ 25 ლარი) გათვალისწინებით, შესაძლებელია დაითვალოს ეკონომიკური საქმიანობის „ნამატი“ შემოსავალი. დაახლოებით 30*55*25 =41250 ლარი წლიურად
- ტურისტული საინფორმაციო ცენტრის ბაზაზე, თემში ქალებისა და ახალგაზრდების გაძლიერების მიზნით, დამატებით დაფინანსდა ჯგუფის, „მაღვიძარა“, პროექტი „ქალთა ხმა თემში ქალებისა და ახალგაზრდების გასაძლიერებლად“ (დონორი ფონდი ტასო). პროექტის ღირებულება გახლდათ 7860 ლარი
- ფონდი ტასოს მიერ 5000 ლარით დაფინანსდა პროექტის მონაწილის განაცხადი, რომელიც ითვალისწინებს საყვავილე მეურნეობის (სათბური) გაფართოებას
- ასევე, ფონდი ტასოს მიერ, 3000 ლარით დაფინანსდა ტასოს პროექტის მონაწილის განაცხადი, რომლის ფარგლებშიც შეიძინეს დანადგარები პოლიმერული თიხით ტურისტული ნივთების და სუვენირების დასამზადებლად
- ასევე, „აწარმოე საქართველომ“ 13950 ლარით დააფინანსა პროექტის მონაწილის განაცხადი, რომლის ფარგლებშიც შეიძინეს ინვენტარი მეფუტკრეობის განსავითარებლად.

პროექტის ეკონომიკური ეფექტის შეფასების შედეგად შეგვიძლია გამოვკვეთოთ მთავარი პარამეტრები:

- დანახარჯი: 16195 ლარი
- პროექტის განხორციელების შემდგომ გასულია 2 წელი და

ტურისტული ცენტრი განაგრძობს საქმიანობას

- პროექტის სამმა ბენეფიციარმა მოიპოვა დაფინანსება ჯამში 21950 ლარი
- პროექტის ბენეფიციარებმა დამატებით მოაწყვეს 14 სასტუმრო ნომერი
- წლიური დამატებითი შემოსავალი - დაახლოებით 41250 ლარი
- პროექტმა ხელი შეუწყო თვითმმართველობასთან მჭიდრო თანამშრომლობას
- პროექტის განხორციელების შემდგომ ორგანიზაციის მხარდაჭერით მოპოვებულ იქნა დამატებითი დაფინანსება 7860 ლარის ოდენობით
- ორგანიზაცია დაეხმარა თემის მცხოვრებლებს სხვადასხვა საპროექტო განაცხადების შედგენაში, მათ შორის, „აწარმოე საქართველოს“ პროგრამაში წარსადგენად მცირე ბიზნესპროექტების მომზადებაში.

4. პროექტი: ახალგაზრდების გაძლიერება პოზიტიური ცვლილებებისთვის

განმახორციელებელი:
ა.ა.(ი).პ. „თეთრიწყაროს ახალგაზრდული ცენტრი“
ადგილი:
თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი, ქალაქი თეთრიწყარო
პროექტის ჯამური ღირებულება:
9999 ლარი
პროექტის განხორციელების პერიოდი:
2018 წელი

პროექტის დანახარჯები

პროექტის ბიუჯეტი საქმიანობების ორ ძირითად ჯგუფს უკავშირდება:

1. სარემონტო სამუშაოები და მასალები - 6011 ლარი
2. ინვენტარი და სივრცის მოწყობა - 3308 ლარი
3. ტრენინგების უზრუნველყოფა - 680 ლარი

ორგანიზაციამ საკუთარი მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა პროექტის განხორციელებაში, რომელიც გათვალისწინებული იყო პროექტის საერთო ღირებულებაში.

ორგანიზაციის წევრების მიერ უსასყიდლოდ ჩატარებული სამუშაოების საბაზრო ღირებულება დაახლოებით 5000 ლარს შეადგენს.

პროექტის პირდაპირი ეკონომიკური ეფექტი

ეს პროექტი, სხვა დონორების მხრიდან დამატებით ახალი პროექტების დაფინანსების წინაპირობად იქცა:

- „ჩვენ პასუხს ვაგებთ მათზე, ვინც მოვიშინაურეთ“ – ღირებულება 2830 დოლარი. დამფინანსებელი ჩეხური ორგანიზაცია „NESEHNUTÍ“. განხორციელების პერიოდი 2021-2022 წლები
- სოციალური საწარმო „ორბის ბუდე“ – ღირებულება 12648 აშშ დოლარი. დამფინანსებელი მერსი ქორფს საქართველო - 14 000 ევრო, დამფინანსებელი სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი. განხორციელების პერიოდი - 2021-2022 წლები
- „უნარების გაძლიერება და დასაქმების ინოვაციური შესაძლებლობები საქართველოს რეგიონული განვითარებისთვის“ – ღირებულება 8420 დოლარი. დამფინანსებელი სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრი. განხორციელების პერიოდი - 2021-2023 წლები
- ჰუმანიტარული დახმარება COVID-19 კარანტინის მიმდებარე თემებში - ღირებულება 2210 დოლარი. დამფინანსებელი საფრანგეთის საელჩო. განხორციელების პერიოდი - 2000 წელი

საერთი ჯამში განხორციელდა 20-ზე მეტი პროექტი და თემში მოზიდულმა დაფინანსებამ შეადგინა დაახლოებით 50000 დოლარი.

ასევე გასათვალისწინებელია ორგანიზაციის შენობის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის დროს მოხალისეთა მიერ უსასყიდლოდ შესრულებული სამუშაოების ღირებულება (დაახლოებით 5000 ლარი).

პროექტის დამატებითი ეფექტი

- პროექტის შედეგად ჩამოყალიბდა თანამშრომლობა ადგილობრივ ხელისუფლებასთან, რომელმაც პირველ ეტაპზე მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული ფართი უსასყიდლოდ (უზუფრუქტით) გადასცა ორგანიზაციას სარგებლობაში
- მუნიციპალიტეტი, გარდა ფართის გადაცემისა, ორგანიზაციას დაეხმარა 1000 ლარის ოდენობის თანხით, რომელიც გადარიცხა წყალმომარაგების კომპანიაში, წყალარინებისათვის
- გარდა ამ ფინანსური დახმარებისა, მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების სამსახური მუდმივად ეხმარებოდა ორგანიზაციას შენობის სამშენებლო სამუშაოების დროს წარმოშობილი ნარჩენის გატანაში, როგორც შენობიდან, ისე ეზოდან, თავისი მუშებითა და ტრანსპორტირებით
- აქვე, აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტის მერიის სხვადასხვა სამსახურის ხელმძღვანელები მუდმივად ჩართულნი იყვნენ მიმდინარე პროცესებში ინფორმაციის გაცვლითა და ტექნიკური დახმარებით, რამაც საბოლოოდ ჩამოაყალიბა მერიასთან დადებითი ურთიერთობები.

პროექტის ეფექტის შეფასების შედეგად შეგვიძლია გამოვკვეთოთ მთავარი პარამეტრები:

- დანახარჯი: 9999 ლარი
- პროექტთან დაკავშირებული პირდაპირი ეკონომიკური ეფექტი 4 წლის განმავლობაში – 50000 დოლარი და 5000 ლარი
- პროექტის განხორციელების შემდგომ გასულია 4 წელი და ცენტრი კვლავ მუშაობს
- პროექტმა ხელი შეუწყო თვითმმართველობასთან მჭიდრო თანამშრომლობას
- პროექტის განხორციელების შედეგად მოპოვებულ იქნა დამატებითი დაფინანსება (20-ზე მეტი პროექტი).

5. პროექტი: „დასრულებული სუფთა სივრცე''

განმახორციელებელი:
ქალთა საინიციატივო ჯგუფი „თანასწორი“
ადგილი:
ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი, დაბა ჩხოროწყუ
პროექტის ჯამური ღირებულება:
4513 ლარი
პროექტის განხორციელების პერიოდი:
2016 წელი

პროექტის ბიუჯეტი ძირითადად უკავშირდება: ჩხოროწყუს, ადგილობრივი თვითმმართველობის ყურადღების მიღმა დარჩენილ ერთ-ერთ უბანში (მცხოვრები - 52 კომლი) სანაგვე ყუთების განთავსებასა და მოხატვას.

პროექტის პირდაპირი და ირიბი ეკონომიკური ეფექტი

პროექტის ფარგლებში, მიზნობრივ უბანში დაიდგა 4 სანაგვე ურნა. თითოეულის მოცულობა არის 1100 ლიტრი. ურნების კვირაში ორჯერ იცლება.

წლის განმავლობაში გატანილი ნარჩენის მოცულობა დაახლოებით 215 კუბური მეტრია. მანამდე ნარჩენი ძირითადად მდინარეებსა და თვით-ნებურად მოწყობილ ნაგავსაყრელებზე თავსდებოდა.

პროექტის განხორციელების შემდგომ მუნიციპალიტეტმა განახორ-ციელა დამატებითი პროექტი, გზის მოასფალტება, ტენდერის ნომერი NAT190005936. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 219 120 ლარს. პროექტის ფარგლებში, ჩხოროწყუში, ყაზბეგის ქუჩიდან ლესე-ლიძეს ქუჩამდე, დაიგო გარახა-ნაკიანის დამაკავშირებელი გზის მონა-კვეთის ასფალტო-ბეტონის საფარი. სათემო ორგანიზაციის მიერ განხორციელებულმა პროექტმა გააძლიერა თვითმმართველობის ჩარ-თულობის ხარისხი თემის მოსახლეობის ინიციატივების განხორ-ციელების მიმართულებით.

პროექტის ეკონომიკური ეფექტის შეფასების შედეგად შეგვიძლია გამოვკვეთოთ მთავარი პარამეტრები:

- დანახარჯი: 4513 ლარი
- პროექტთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი ეფექტი ერთი წლის განმავლობაში – 215 კუბური მეტრი ნარჩენის გატანა ხდება ნაგავსაყრელზე
- პროექტის განხორციელების შემდგომ გასულია 6 წელი და სერვისი კვლავ მუშაობს
- პროექტმა ხელი შეუწყო თვითმმართველობასთან მჭიდრო თანამშრომლობას
- პროექტის განხორციელების შემდგომ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტმა პროექტის სამოქმედო არეალში ჩაატარა გზის საფარის მოწყობის სამუშაოები, რომლის ღირებულება შეადგენს 219120 ლარს. ეს, ნაწილობრივ, სათემო ორგანიზაციის აქტიურობის შედეგიცაა.

განზოგადებული შედეგები

- პროექტების საერთო დაფინანსებამ შეადგინა 47832 ლარი
- პროექტებთან დაკავშირებული პირდაპირი და ირიბი ეკონომიკური ეფექტი აღემატება პროექტების ღირებულების ათმაგ ოდენობას. ეს, უმეტესწილად პროექტების განმახორციელებელი ორგანიზაციების დამსახურებაა
- პროექტების განხორციელების შემდეგ გასულია 6 წელი და ორგანიზაციები ფუნქციონირებენ და აფართოებენ საქმიანობის არეალს
- პროექტების განხორციელებამ ხელი შეუწყო მოსახლეობასა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის თანამშრომლობას. თვითმმართველობა პროექტების მხარდამჭერი იყო. ამ მხრივ, აღსანიშნავია ჩხოროწყუში განხორციელებული პროექტი „დასრულებული სუფთა სივრცე“, რომლის შედეგადაც წლის განმავლობაში გატანილი ნარჩენის მოცულობა დაახლოებით 215 კუბური მეტრია
- პროექტების განხორციელების შედეგად მიღებული ცოდნა და

ტექნიკური დახმარება გამოყენებულ იქნა თემის ეკონომიკური გაძლიერებისათვის. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ვარდისუბანში სარწყავი სისტემის მონტაჟის და მისი გამოყენების შედეგად ოჯახების მიერ მიღებული დამატებითი ფინანსური სარგებელი

- პროექტების განხორციელების პროცესში მოხალისეთა ჩართულობა და მათი შრომის ღირებულება ასევე მნიშვნელოვანია. აღნიშვნის ღირსია, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში თვითმმართველობის მიერ (დროებით სარგებლობაში) გადმოცემული ამორტიზებული შენობის, განმახორციელებელი ორგანიზაციის მოხალისეების მიერ აღდგენა/შეკეთება
- პროექტების განხორციელებამ გავლენა იქონია ტურისტული ინფრასტრუქტურის (საოჯახო სასტუმროები) განვითარებაზე. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია სოფელ მუხურში შექმნილი ახალი განთავსების ადგილები.

საბოლოო შეფასების სახით განხორციელებული პროექტების ეკონომიკური ეფექტი **საკმაოდ მაღალია**.

დიაგრამა 4. პროექტების ჯამურ დანახარჯსა და პირდაპირ ეკონომიკურ ეფექტს შორის თანაფარდობა



შეჯამება და რეკომენდაციები

თანამედროვე საქართველოში სათემო ორგანიზაციების ისტორია ხანმოკლეა და, გარკვეულწილად, უცხოც, მიუხედავად იმისა, რომ სათემო აქტივიზმი 1921 წლამდე საქართველოში მეტად იყო გავრცელებული. საბჭოთა იმპერიულმა წყობამ კი ამ გამოცდილების ნიველირება გამოიწვია. შესაბამისად, არ არის გასაკვირი, რომ მთლიანობაში, ქვეყანაში, და სოფლის თემებში, სათემო ორგანიზაციების არსებობა მრავალ გამოწვევას უკავშირდება. მიუხედავად ამისა, წინამდებარე შეფასებამ აჩვენა, რომ არსებული სათემო ორგანიზაციები უდავოდ დიდ ზეგავლენას ახდენენ თემის მცხოვრებლებზე, და ზოგადად თემისა და მუნიციპალიტეტის განვითარებაზე (იხ. ზეგავლენის ქვეთავი).

მინიმალური ფინანსური და ადამიანური რესურსებით, უაღრესად რთულ, და ზოგ შემთხვევაში, მტრულ გარემოში, სათემო ორგანიზაციები ახერხებენ თემებისთვის უმნიშვნელოვანესი გამოწვევების გადაჭრას. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, მათი არსებობა თემებში, გამოკითხული რესპონდენტების მიერ აღიქმება და ფასდება როგორც უაღრესად მნიშვნელოვანი და აუცილებელი.

მტრულ გარემოზე განსაკუთრებით მიუთითებენ ეთნიკური უმცირესობების სათემო ჯგუფები, რომლებსაც გაცილებით მეტი წინაღობის გადალახვა უწევთ ადგილებზე, დამკვიდრებული სტერეოტიპული და ხშირად არამეგობრული დამოკიდებულებების გამო. გარდა ამისა, მტრულ გარემოში იგულისხმება დამოკიდებულება ზოგადად საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიმართ. სხვადასხვა კვლევა აჩვენებს მოსახლეობის საკმაოდ დაბალ ნდობას სსო-ების მიმართ, რაც სხვადასხვა გარემოებით შეიძლება იყოს გამოწვეული, მათ შორის, იმით, რომ ესა თუ ის ხელისუფლება, ძალაუფლებისათვის ბრძოლის პროცესში არცთუ იშვიათად ესხმის ხოლმე თავს სწორედ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და სექტორს მთლიანად. მართალია, მსგავსი ვერბალური თავდასხმების სამიზნე, ძირითადად უფრო დიდი საზოგადოებრივი ორგანიზაციები ხდებიან, თუმცა ადგილობრივ დონეზე, ეს, შესაძლოა, მაინც აისახებოდეს სათემო ჯგუფების სამოქმედო გარემოს გაუარესებაზე.

ექსპერტული კვლევის შედეგად, სათემო ჯგუფების მუშაობის ერთ-ერთ დამაბრკოლებელ გარემოებად წლების წინ ჯგუფის ლიდერების მიმართ სოფლის მოსახლეობის უნდობლობა დასახელდა. ამ მხრივ ვითარება უკანასკნელ 10 წელში შეცვლილია დადებითისკენ, რაც სწორედ სათემო ჯგუფების მუშაობით შეიძლება აიხსნას მიზნობრივ თემებში. თუმცა დამწყებ ორგანიზაციებს ნდობის მოპოვების პრობლემა თითქმის ყოველთვის უდგათ საქმიანობის პირველ ეტაპზე. სათემო ჯგუფების და სოფლად მოქმედი სხვა ინსტიტუტების (სოფლის რწმუნებულის აპარატი და სხვ.) მიმართ მოსახლეობის ნდობის საკითხები, ცალკე კვლევის საგანი შეიძლება იყოს.

სათემო ორგანიზაციები, ამავე დროს, სიახლეების შემტანები არიან საკუთარ თემებში, რის შედეგადაც ამ დასახლებებში უმჯობესდება ცხოვრების ხარისხი — ისინი ერთ-ერთი პირველნი არიან, ვინც თავისი ჩართულობით სხვადასხვა ქსელებში და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობით, მოიპოვებენ ინფორმაციას ახალი კონკურსებისა თუ საგრანტო შესაძლებლობების შესახებ, იქნება ეს სოფლის მეურნეობის განვითარება და სათემო ინიციატივები, თუ არაფორმალური განათლების მიმართულება.

გამოკითხული სათემო ორგანიზაციების წარმომადგენლები საკუთარი ორგანიზაციების მდგრადობისა და ეფექტურობის გასაზრდელად, ნაკლებად განიხილავენ იმის შესაძლებლობას, რომ არსებულ ეტაპზე საკუთარი შესაძლებლობებით, იქნება ეს ფინანსური თუ ადამიანური კაპიტალი, შეძლონ საკუთარი საქმიანობის ეფექტურობისა და მდგრადობის გაზრდა, რაც, ადგილობრივ დონეზე ზოგადად, რესურსების სიმწირეზე მიუთითებს. შესაბამისად, მაღალია ალბათობა, რომ დაფინანსების შეწყვეტის შემთხვევაში, არსებულმა სათემო ორგანიზაციებმა ფუნქციონირება შეწყვიტონ/შეაჩერონ. მით უმეტეს, ამაზე მეტყველებს საქართველოში სათემო თვითორგანიზების უახლესი ისტორიის გამოცდილებაც: მათი დიდი ნაწილი შეიქმნა და იქმნება დონორი ორგანიზაციების პროექტებისა და პროგრამების ფარგლებში,

მათი არსებობა და სიცოცხლისუნარიანობაც ხშირად სწორედ პროგრამის ხანგრძლივობაზეა დამოკიდებული და მის გარეშე არსებობას, როგორც წესი, ძნელად განაგრძობს.

ექსპერტთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ სათემო ორგანიზაციის/ჯგუფის გასაძლიერებლად, სხვა დონორებთან კავშირების დასამყარებლად და თუნდაც მცირე შემოსავლების დამოუკიდებლად გენერირებისთვის (მაგ., სოციალური მეწარმეობის თვალსაზრისით), ამ ჯგუფთან მინიმუმ რამდენიმე წელია საჭირო მუშაობა. თუმცა, ვერც ასეთი წლებზე გაწერილი მხარდაჭერის შემთხვევაში ახერხებს ყველა სათემო ორგანიზაცია/ჯგუფი მდგრადობის შენარჩუნებას. ხოლო წარმატებული სათემო ორგანიზაციების შემთხვევაში, ისინი განვითარების შემდეგ ეტაპზე გადადიან და ერთი კონკრეტული თემის ფარგლებსაც სცდებიან, თუმცა ასეთები მხოლოდ ერთეულებია. როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, ორგანიზაციული მდგრადობის შენარჩუნების ერთ-ერთი სტრატეგია ისიც არის, რომ სათემო ორგანიზაციაში ერთდროულად რამდენიმე ლიდერი გაძლიერდეს, რათა ერთ-ერთი ლიდერის ორგანიზაციიდან წასვლამ არ გამოიწვიოს ორგანიზაციის „ჩამოშლა“.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი: გამოკითხული სათემო ორგანიზაციების პროფილი საკმაოდ განსხვავებულია და მოიცავს როგორც ინსტიტუციურად და ორგანიზაციულად ძლიერ, ისე ახალბედა და შედარებით სუსტ ორგანიზაციებს. მათი წვდომაც ბენეფიციარებზე განსხვავებულია. შესაბამისად, სათემო ორგანიზაციებისადმი დონორი ორგანიზაციების მიდგომა, სავარაუდოდ, ამ გარემოებების გათვალისწინებით უნდა შემუშავდეს - სათემო ორგანიზაციები არ წარმოადგენენ ჰომოგენურ ჯგუფს, შესაბამისად, განსხვავებული პოტენციალი და საჭიროებები აქვთ.

გენდერული თვალსაზრისით, როგორც ჩანს, სათემო ორგანიზაციებში დიდწილად ქალები არიან ჩართულნი, რაც, სოფლად შეზღუდული დასაქმების შესაძლებლობების პირობებში, შესაძლოა, ქალების საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართვას, მათ თვითრეალიზაციას და

სოციალიზაციასაც უწყობს ხელს, მაშინაც, როცა ამ საზოგადოებრივი აქტიურობით, მათ, შესაძლოა, მოხალისეობრივი შრომა ემატებოდეთ. თუმცა, ნათელია, რომ თავად რესპონდენტების თვითშეფასების საფუძველზე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სათემო ორგანიზაციებში ჩართულობა მათ თვითრეალიზების და თვითშეფასების დონეს ზრდის, ისევე როგორც აუმჯობესებს მათ მიმართ თემის წევრების დამოკიდებულებას.

მიუხედავად იმისა, რომ შეფასების ფარგლებში მიზნობრივად შეირჩა ისეთი სათემო ორგანიზაციები, რომლებიც ბოლო 5 წელია, აქტიურად მუშაობენ, როგორც შეფასება გვიჩვენებს, ისინი მაინც საკმაოდ სერიოზული გამოწვევების წინაშე დგანან, რაც დიდწილად დაფინანსების მოპოვების საკითხებსა და ადამიანური კაპიტალის ნაკლებობას უკავშირდება.

სათემო ორგანიზაციების მიერ განხორციელებული **პროექტების** შესაბამისობის, ეფექტურობის, ეფექტიანობის, ზეგავლენისა და მდგრადობის შეფასება უაღრესად დადებითია. სათემო ორგანიზაციების მიერ განხორცილებული პროექტები დიდწილად ეფექტური და მდგრადია და, შესაბამისად, დადებით ზეგავლენას ახდენენ თემზე. სათემო ორგანიზაციები პროექტებს რამდენიმე ძირითად სფეროში ახორციელებენ, რაც, ერთი მხრივ, მათი სპეციალიზაციის შესაძლებლობას იძლევა, ხოლო, მეორე მხრივ, შესაძლოა, გამოწვეული იყოს დონორების პრიორიტეტებით, და, შესაძლოა, გვერდს უვლიდეს თემების საჭიროებებს. შესაბამისად, სასურველი იქნება, თუკი დონორი ორგანიზაციები პროგრამულ პრიორიტეტებს თემების საჭიროებების კვლევებისა და სათემო ორგანიზაციებთან კონსულტაციების საფუძველზე შეიმუშავებენ.

შეფასების რაოდენობრივი და თვისებრივი კომპონენტების პროცესში, სათემო ჯგუფების საქმიანობის თემზე გავლენის კუთხით, გამოიკვეთა **„ზედნაშენი პროექტების“** მნიშვნელობა. პროექტების მდგრადობის გაზრდის თვალსაზრისით, მისი მიღწევის ერთ-ერთი სტრატეგია, სწორედ უკვე განხორციელებულ პროექტზე ახალი პროექტის „დაშენება“ შეიძლება იყოს. სავარაუდოა, რომ ეს არა მარტო პროექტების

სიცოცხლისუნარიანობას ზრდის, არამედ მათ ზეგავლენასაც თემზე.[29]

ტენდენცია, რომ თემზე უფრო მეტ გავლენას ახდენს არა ერთი რომელიმე კონკრეტული/ცალკეული პროექტი, არამედ ამა თუ იმ ორგანიზაციის მიერ განხორციელებული საქმიანობების, პროექტების ჯაჭვი, საკმაოდ მკვეთრად გამოვლინდა შეფასების დროს. თუმცა გვხვდება ისეთი პროექტებიც, რომლებიც ცალკე აღებულნი, იყვნენ თემისათვის დადებითი და მდგრადი შედეგის მომტანნი. ეს ძირითადად თემის წევრების ეკონომიკურ გაძლიერებაზე მიმართული მცირე სათემო პროგრამები იყო.

წინამდებარე შეფასების შემაჯამებელი დასკვნა:

სათემო ორგანიზაციების მუშაობა ადგილობრივ თემებში, უაღრესად დადებითი შედეგების მომტანია როგორც ინდივიდუალურ, ისე თემისა და მუნიციპალიტეტის დონეებზე. სათემო ორგანიზაციების როლი თემებისთვის აქტუალური გამოწვევების გადაჭრაში, მნიშვნელოვანია და ხელშესახები. შესაბამისად, აუცილებელია, რომ დონორმა ორგანიზაციებმა განაგრძონ სათემო ორგანიზაციების მხარდაჭერა, თუმცა, ამავე დროს, მნიშვნელოვანია, რომ ეს მხარდაჭერა ითვალისწინებდეს იმ კომპლექსურ გარემოსაც, სადაც სათემო ორგანიზაციებს უწევთ მუშაობა და იმ რესურსებს, რომელთაც ისინი ფლობენ. მნიშვნელოვანია, რომ დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერას უფრო გრძელვადიანი და სისტემური ხასიათი ჰქონდეს. ეს სათემო ორგანიზაციებს შესაძლებლობას მისცემს, რომ უფრო ფართომასშტაბიანი/ გრძელვადიანი და მდგრადი შედეგების მქონე პროექტები განახორციელონ და, შესაბამისად, უფრო დიდი ზეგავლენა მოახდინონ საკუთარ სამიზნე ჯგუფებზე.

ქვემოთ წარმოდგენილია შეფასების დროს გამოვლენილი ძირითადი გამოწვევები, და შემოთავაზებულია რეკომენდაციები დონორი ორგანიზაციებისა და ადგილობრივი თვითმმართველობისთვის, რომლებიც გაზრდის სათემო ორგანიზაციების მუშაობის მდგრადობას.

[29] ექსპერტული ინტერვიუები.

გამოწვევები და რეკომენდაციები[30]

დონორი ორგანიზაციებისადმი

გამოწვევა 1.

საჭიროებების გამოვლენის მეთოდოლოგიის დახვეწა

კითხვამ, თუ რა მეთოდოლოგიით და როგორ ადგენენ თემის საჭიროებებს, გამოკვეთა, რომ სათემო ორგანიზაციების ლიდერებს არ აქვთ ერთიანი, ან შეძლებისდაგვარად მეთოდოლოგიურად გამართული ინსტრუმენტი საჭიროებების შესასწავლად.

საჭიროებების კვლევების უფრო მეტი სანდოობისთვის და ხარისხის ასამაღლებლად, რეკომენდებულია სათემო ორგანიზაციებისთვის (1) შემუშავდეს საჭიროებების კვლევის ერთიანი ინსტრუმენტი, რომელიც მორგებული იქნება სათემო ორგანიზაციების შესაძლებლობებსა და თემების სპეციფიკაზე, და (2) მოხდეს სათემო ლიდერების და სათემო ორგანიზაციაში ჩართული მოხალისეების დატრენინგება საჭიროების კვლევის ინსტრუმენტის გამოყენებაში, იქნება ეს უშუალოდ საველე სამუშაოები, თუ მონაცემთა დამუშავება და ანალიზი. ეს რეკომენდაცია ეხმიანება 2020-2021 წლებში ჩატარებული კვლევის რეკომენდაციებს.

[30] გამოწვევები და რეკომენდაციები არ არის დალაგებული პრიორიტეტული თანმიმდევრობით.

გამოწვევა 2.

მონიტორინგისა და შეფასების სისტემის არარსებობა

ნებისმიერ ორგანიზაციას, გამართული და წარმატებული მუშაობისთვის სჭირდება მონიტორინგისა და შეფასების სისტემა. წინამდებარე შეფასების შედეგად დადგინდა, რომ სათემო ორგანიზაციებს არ დაუნერგავთ მონიტორინგისა და შეფასების სისტემები. შესაბამისად, ვერ გროვდება მონაცემები ბენეფიციარების რაოდენობის, მოზიდული დაფინანსებისა თუ განხორციელებული პროექტების რაოდენობისა და დაფარვის შესახებ, მოკლე და გრძელვადიან პერსპექტივაში. ეს კი ხელს უშლის სიღრმისეულ ანალიზს, გამოწვევების გამოვლენას და შეცდომების/ხარვეზების აღმოფხვრას. გარკვეულწილად ეს გამოწვეულია იმით, რომ სათემო ორგანიზაციები, როგორც წესი, მცირე ზომის ორგანიზაციები არიან, ასევე შედარებით მცირე რესურსებით, ხოლო მონიტორინგი და შეფასება საკმაოდ დიდ რესურსებს მოითხოვს (როგორც დრო, ისე ადამიანური). თუმცა მინიმალური სტანდარტის შემუშავება და დანერგვა მაინც შესაძლებელია.

რეკომენდებულია, რომ სათემო ორგანიზაციებმა, დონორი ორგანიზაციების დახმარებით დანერგონ რეგულარული მონიტორინგისა და შეფასების სისტემები, რაც სათემო ორგანიზაციების სასწავლო ორგანიზაციებად ჩამოყალიბებისკენ წინგადადგმული ნაბიჯი იქნება. ეს სისტემები ასევე დაეხმარება დონორ ორგანიზაციებს, რომ შეაგროვონ მონაცემები ქვეყანაში მომუშავე სათემო ორგანიზაციების საქმიანობის შესახებ, შეაფასონ მათი განხორციელების ეფექტურობა, რაც ხელს შეუწყობს მონაცემებზე დაყრდნობით კვლევის შერეული (მრავალ-მეთოდური) მიდგომის “evidence-based” პროგრამის დაგეგმვასა და განხორციელებას.

გამოწვევა 3.

სათემო ორგანიზაციების ორგანიზაციული სისუსტე და ინსტიტუციონალიზაციის ნაკლებობა

გამოკითხული სათემო ორგანიზაციების დიდ ნაწილს ახასიათებს ორგანიზაციული სისუსტე. ისინი ნაკლებად ინსტიტუციონალიზებულია, რაც ხშირად „ერთი ლიდერის“ ორგანიზაციად ჩამოყალიბებას იწვევს: როდესაც ლიდერი სხვადასხვა მიზეზით ტოვებს ორგანიზაციას, ის იხურება, რადგან ადგილზე აღარ რჩება კომპეტენტური კადრი. ეს გამოწვევა ასევე უშლის ხელს ორგანიზაციების ცნობადობას და მათ მიმართ ნდობას: ენდობიან და იცნობენ კონკრეტულ ლიდერს, მაგრამ არ იცნობენ და არ ენდობიან ორგანიზაციას.

რეკომენდებულია სათემო ორგანიზაციებისთვის ორგანიზაციული და ინსტიტუციური გაძლიერების პროგრამების შემუშავება და დანერგვა. მნიშვნელოვანია, რომ ორგანიზაციას ჰქონდეს მკაფიო სტრუქტურა, ორგანოგრამა, მუშაობის პრაქტიკები, სტრატეგია/გეგმა, ანგარიშვალდებულების აღქმა, ისევე როგორც გამართული ხილვადობის (visibility) და კომუნიკაციის სტრატეგიები. გასაგებია, რომ 1-3 ადამიანისგან შემდგარ ორგანიზაციებში ამის მიღწევა და დანერგვა შეიძლება იდეალისტურად და არარეალისტურად ჟღერდეს, თუმცა ორგანიზაციულ განვითარებაზე თუ ვსაუბრობთ, წარმატებული და მდგრადი ორგანიზაციისთვის ამ საფეხურების გავლა აუცილებელია.

გამოწვევა 4.

ალტერნატიული შემოსავლების/დაფინანსების პოტენციალის გამოყენების შესაძლებლობები

შეფასებამ აჩვენა, რომ სათემო ორგანიზაციები თითქმის მთლიანად არიან დამოკიდებულნი დონორის (კერძო, საერთაშორისო თუ ადგილობრივი) დაფინანსებაზე, იშვიათი გამონაკლისების გარდა, როდესაც ხდება დაფინანსება სოციალური საწარმოდან ან კერძო შემოწირულობები გამოიყენება. შესაბამისად, ფინანსური მდგრადობის მიღწევა გადაუჭრელ ამოცანად რჩება. მიუხედავად იმისა, რომ ეს გამოწვევა დამახასიათებელია ზოგადად ქვეყნის არასამთავრობო სექტორისთვის, სათემო ორგანიზაციები შედარებით მოწყვლადნი არიან, რადგანაც თავიდანვე ნაკლებად მიუწვდებათ ხელი დივერსიფიცირებულ დაფინანსებაზე (ენობრივი ბარიერი, სუსტი ორგანიზაციული გამოცდილება, მცირე დაფარვა/მასშტაბი).

შესაბამისად, რეკომენდებულია, შეფასდეს კონკრეტულად სათემო ორგანიზაციებისთვის დაფინანსების ალტერნატიული წყაროების მობილიზება “Feasibility Study” და შემდგომ, შეფასების შედეგების მიხედვით, შემუშავდეს და დაინერგოს შემოსავლების დივერსიფიცირების სისტემა.

ამ თვალსაზრისით, საგულისხმოა ისეთი პოტენციური შემოსავლების წყაროების გამოყენება, როგორიცაა ემიგრანტების შემოწირულობები, კერძოდ HTA (Hometown Associations) მოდელი, რომელიც წარმატებულად მუშაობს ლათინური ამერიკის ბევრ ქვეყანაში და მისი გამოყენება მცირე ზომის სათემო პროექტების განხორციელებისას რეალისტურია.

რეკომენდებულია, რომ ასევე განიხილონ/შეისწავლონ სათემო ჯგუფების ტექნიკური და ფინანსური მხარდაჭერის მუნიციპალურ პროგრამებზე (მექანიზმებზე) ხელმისაწვდომობის გაზრდა. რამდენად არის შესაძლებელი დღევანდელ საქართველოში, არსებული პოლიტიკური პოლარიზაციის და სექტორებს შორის სუსტი თანამშრომლობის კულტურის პირობებში - შეიქმნას სათემო ჯგუფების მხარდაჭერის მუნიციპალური პროგრამები, რომლებიც თავისუფალი იქნება ჩარევისაგან, ნეპოტიზმისა და პირადი სიმპატია-ანტიპატიისაგან.

გამოწვევა 5.

სათემო ორგანიზაციების მუშაობისას ნაკლები ყურადღება ეკონომიკური გაძლიერების მიმართულებით

გამოკითხული სათემო ორგანიზაციების უმრავლესობა მუშაობს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა არაფორმალური განათლება, ქალთა უფლებები, შშმ პირთა უფლებები, თუმცა, აღსანიშნავია, რომ დასაქმება და ეკონომიკური კეთილდღეობის გაზრდა, კვლავინდებურად ყველაზე დიდ გამოწვევად რჩება არა მარტო სოფლად, არამედ მთელი ქვეყნის მასშტაბით. ნათელია, რომ სათემო ორგანიზაციები თავისი სტრუქტურისა და მუშაობის სპეციფიკიდან გამომდინარე, დიდი ძალისხმევის მიუხედავად, ამ პრობლემას ვერ გადაჭრიან. მიუხედავად ამისა, კვლევის პროცესში გამოიკვეთა რამდენიმე საინტერესო მაგალითი, როდესაც სათემო ორგანიზაცია ფაქტობრივად ექსკლუზიურად არის დაკავებული მოსახლეობის ეკონომიკური გაძლიერების პროგრამებით, იქნება ეს ხელშეწყობა არსებულ ბიზნეს საგრანტო კონკურსებში მონაწილეობის წახალისებით და ხელშეწყობით, მიზნობრივი ტრენინგებითა და ცნობიერების ამაღლებით შემოსავლების ზრდისათვის, სოციალური საწარმოების გახსნით თუ სამეწარმეო უნარ-ჩვევების სწავლების მეშვეობით. შესაბამისად, ამ ორგანიზაციების მუშაობა უშუალოდ და პირდაპირად აისახება მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური კეთილდღეობის ზრდაზე, რაც ზრდის ორგანიზაციის მიმართ ნდობას და ჩართულობას. ამ შემთხვევაში ჩართულობა ასევე გულისხმობს ფინანსურ ჩართულობას სათემო ორგანიზაციის მუშაობაში, იქნება ეს შემოწირულობები თუ in-kind contributions.

შესაბამისად, რეკომენდებულია სათემო ორგანიზაციების მუშაობაში ეკონომიკური გაძლიერების მიმართულების შესაძლებლობების სიღრმისეული შესწავლა და, ამ მიმართულების გაძლიერება/ცალკე გამოყოფა ზოგადად სათემო ორგანიზაციების მუშაობის სპეციფიკაში, რათა ადგილებზე მეტად წახალისდეს მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერება, რაც, დიდი ალბათობით, ხელს შეუწყობს სათემოებისთვის შემოსავლების ალტერნატიული წყაროს შექმნას - შემოწირულობების/საწევროებისა თუ სხვა სახის კონტრიბუციების სახით.

გამოწვევა ნ.

ადგილობრივ თვითმმართველობებთან თანამშრომლობის ინსტიტუციონალიზაციის ნაკლებობა/არარსებობა

ამ გამოწვევის გადაჭრა უაღრესად რთულია, რადგან ის მოითხოვს არა მარტო სათემო ორგანიზაციების, არამედ ადგილობრივი თვითმმართველობების მზაობასაც, რაც, სამწუხაროდ, როგორც წინამდებარე შეფასებიდან გამოიკვეთა, ყოველთვის არ გვხვდება. მიუხედავად ამისა, მნიშვნელოვანია ამ მიმართულებით პერმანენტული მუშაობა როგორც თავად სათემო, ისე დონორი ორგანიზაციების მხრიდან.

რეკომენდებულია ადგილობრივ თვითმმართველობებთან თანამშრომლობის გაძლიერება სხვადასხვა აქტივობაში მათი უფრო აქტიური ჩართულობის გზით, რაც გაზრდის განცდას, რომ განხორციელებული პროექტები მათია და მათაც ეხებათ. ერთ-ერთი შესაძლებლობა ასევე შეიძლება იყოს სათემო ორგანიზაციების მიერ მუნიციპალიტეტებისთვის მუნიციპალური განვითარების გეგმების მიხედვით დასახული პრიორიტეტების განხორციელებაზე ერთობლივი მუშაობის შეთავაზება: მაგალითად, შშმ პირებისათვის ინფრასტრუქტურის მოწყობის თუ სხვა ტიპის ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების პროცესში.

გამოწვევა 7.

მცირე სათემო პროექტების რაოდენობის სიმცირე

წინამდებარე შეფასების შედეგად დადგინდა, რომ მცირე სათემო პროექტებს უაღრესად დიდი ზეგავლენა აქვთ როგორც ინდივიდუალურ, ისე თემის და მუნიციპალიტეტის დონეებზე. სათემო პროექტების ზეგავლენა კიდევ უფრო იზრდება იმ შემთხვევაში, თუ ხდება მათი „დაშენება“ უკვე არსებულ პროექტებზე. თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ მცირე პროექტებზე დაფინანსების მოპოვება საკმაოდ კონკურენტულია, ხოლო მათი რაოდენობა შეზღუდული, სათემო ორგანიზაციები ყოველთვის ვერ ახერხებენ შეინარჩუნონ პროექტებს შორის „განგრძობადობა“, რაც ამცირებს მათ მიერ განხორციელებული პროექტების ზეგავლენას.

რეკომენდებულია დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების შედეგად მცირე სათემო პროექტების დაფინანსების ისეთი მექანიზმის შემუშავება, რომელიც გაითვალისწინებს (1) პროექტებს შორის „განგრძობადობის“ კრიტერიუმს; (2) გაზრდის დაფინანსებული მცირე სათემო პროექტების რაოდენობას, რაც სათემო ორგანიზაციებს შესაძლებლობას მისცემს, რომ წელიწადში ერთი მცირე პროექტი მაინც განახორციელონ.

გამოწვევა 8.

მცირე სათემო პროექტების დაგეგმვის ეტაპზე, არასათანადოდ არის გათვალისწინებული ამ პროექტების ეკონომიკური გავლენის შეფასების მოდელები (ერთი მხრივ, რომელსაც წესი, არ არსებობს წინასწარ გაწერილი კრიტერიუმები და, მეორე მხრივ, ასეთი შეფასება დაკავშირებულია დროსთან)

ამ კონტექსში რეკომენდებულია, რომ შეფასებისა და მონიტორინგის მეთოდოლოგიას დაემატოს ეკონომიკური ეფექტის შეჯამების მოდული, კერძოდ, სათემო ორგანიზაციებისთვის გამოცხადებულ საგრანტო კონკურსებში სასურველია სოციალურ გავლენასთან ერთად ეკონომიკური გავლენაც შეფასდეს. კონკურსის მიზნებიდან გამომდინარე, ეკონომიკური ეფექტის მიღწევა, შესაძლოა, არ იყოს მთავარი ამოცანა, თუმცა ასეთის არსებობის შემთხვევაში, სოციალური პრობლემები ეფექტურად გვარდება. პროექტების ანგარიშგების ფორმაში სასურველია დაემატოს ეკონომიკურ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასება (ასეთის არსებობის შემთხვევაში). ეს გაცილებით რეპრეზენტაბელურს ხდის მცირე გრანტების შედეგს. ეკონომიკური ეფექტის დასათვლელად საჭიროა პროექტის დასრულებიდან განსაზღვრული პერიოდის გასვლა. შესაბამისად, სასურველია, ეკონომიკური ეფექტი საგრანტო კონკურსით დაფინანსებული პროექტების დასრულებიდან 2-3 წლის შემდეგ შეფასდეს.

სასურველია, წინასწარ შემუშავდეს პროექტის ეკონომიკური ეფექტის შეფასების მეთოდოლოგია. პროექტების მოცულობიდან გამომდინარე, მეთოდოლოგია ვერ იქნება ეკონომიკური გავლენის შეფასების სრულფასოვანი მოდელი, თუმცა შესაძლებელია რამდენიმე ძირითადი საკითხის გაანალიზება..

გამოწვევა 9.

სათემო ორგანიზაციების საქმიანობის და წარმატებების ცნობადობის (VISIBILITY) გაძლიერება როგორც ადგილობრივ, ისე რეგიონულ და ეროვნულ დონეზე

რეკომენდებულია, რომ როგორც თავად ადგილობრივ დონეზე - თემებში, ისე მუნიციპალიტეტებში, რეგიონულ და ეროვნულ დონეზე მოხდეს სათემო ორგანიზაციების წარმატებების show-casing, ცნობადობის გაზრდა, მათ მიერ მიღწეული შედეგების ფართო აუდიტორიისთვის წარმოჩენა. ამ კონტექსტში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ მოხდეს განსაკუთრებული პოპულარიზაცია პროექტების ეკონომიკური ეფექტის შესახებ. ამ თვალსაზრისით, სასურველია ინფორმაციის რეგულარული მიწოდება როგორც ფართო საზოგადოებისთვის, ისე როგორც ადგილობრივი, ისე ცენტრალური ხელისუფლებისთვის, რათა გაიზარდოს საჯარო სექტორის თანამონაწილეობის მოცულობა და ხარისხი.

გამოწვევა 1.

ადგილობრივ თვითმმართველობებთან თანამშრომლობის ინსტიტუციონალიზაციის ნაკლებობა

ინსტიტუციონალიზაციის ნაკლებობა ან/და არარსებობა ისეთი საკითხია, რომელიც მხოლოდ დონორი ან სათემო ორგანიზაციების ძალისხმევით ვერ მოგვარდება. შესაბამისად, ამ გამოწვევასთან წარმატებული გამკვლავება მოითხოვს მუნიციპალიტეტების უშუალო ჩართულობას და აქტიურობას.

1. რეკომენდებულია ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე სათემო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ინსტიტუციონალიზაცია მუნიციპალური/რეგიონული სათემო ორგანიზაციების საბჭოს/ფორუმის ორგანიზებით. საბჭო/ფორუმი შეასრულებს საკოორდინაციო ფუნქციასაც და ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში/რეგიონში სათემო ორგანიზაციების მიერ განხორციელებული პროექტების უკეთ ინტეგრირებას მუნიციპალიტეტში/რეგიონში მიმდინარე სხვა პროექტებთან.
2. ამავე დროს, ინსტიტუციონალიზაციისათვის მნიშვნელოვანია, მუნიციპალიტეტებსა და საკრებულოებში იყვნენ სათემო განვითარების სამსახურები/სპეციალისტები, რომლებიც კოორდინაციას გაუწევენ სათემო ორგანიზაციების მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობას.
3. სასურველია გაძლიერდეს სათემო ჯგუფების თანამშრომლობა თვითმმართველობებთან, კერძოდ, მცირე სათემო პროექტებში ჩართულობის მიმართულებით, რამდენადაც საერთაშორისო და კერძო დონორების მიერ გამოცხადებული მცირე საგრანტო კონკურსების მიზნები უმეტესწილად თანხვედრაშია თვითმმართველობის კოდექსით ადგილობრივი ხელისუფლებისთვის განსაზღვრულ უფლებამოსილებებთან, რაც თანამშრომლობის უკეთეს შესაძლებლობებს იძლევა.

გამოწვევა 2.

მუნიციპალური სერვისების OUT-SOURCING-ის საჭიროება

მუნიციპალიტეტებს, განსაკუთრებით სოფლად, აქვთ გარკვეული სერვისების, მათ შორის, საგანამათლებლო თუ ჯანდაცვის, განხორციელების საჭიროება, თუმცა ამის ტექნიკური თუ ადამიანური რესურსი ყოველთვის შეიძლება არ ჰქონდეთ. სათემო ორგანიზაციები, ამ შემთხვევაში, შეიძლება გამოყენებული იყოს როგორც ამ სერვისების განმახორციელებელი ორგანიზაციები, რაც, ერთი მხრივ, ხელს შეუწყობს მუნიციპალური სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდას, მეორე მხრივ — გააძლიერებს სათემო ორგანიზაციებსა და მუნიციპალიტეტებს შორის კავშირებს/თანამშრომლობას, ხოლო მესამე მხრივ - ხელს შეუწყობს სათემო ორგანიზაციების ფინანსურ გაძლიერებას.

რეკომენდებულია მუნიციპალიტეტებმა/საკრებულოებმა განიხილონ და დანერგონ შესაბამისი (საგანმანათლებლო, ადრეული განვითარების და ა.შ.) სერვისების out-sourcing-ის ანუ სერვისების განხორციელებისთვის გარე რესურსების გამოყენების მექანიზმები, განსაკუთრებით, სოფლად, და შექმნან შესაბამისი ინსტიტუციური გარემო, რომელიც სათემო ორგანიზაციებს ხელს შეუწყობს, მიიღონ მონაწილეობა ამ მექანიზმების განხორციელებაში

ბიბლიოგრაფია

ზუბაშვილი, ნ. (2021). არაფორმალური სამოქალაქო ჯგუფების ჩართულობა ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში. Retrieved from ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი website: bit.ly/3JpT64p

---

EMWI-ACCESS and CTC. (2016). Assessment of the civil society sector in Georgia, Retrieved from bit.ly/3HD5Nqj

---

თემთან მუშაობა და თემის განვითარება, დამხმარე სახელმძღვანელო. (2012) თემის განვითარების კოალიცია.
bit.ly/3HFPSIH

მარგველაშვილი, ა. (2021). საქართველოში 2019-2020 წლებში მოქმედი სათემო ორგანიზაციების კვლევა. Retrieved from bit.ly/40aRfXh

---

MCK (2021) კახეთის ადგილობრივი სამოქალაქო და სათემო ორგანიზაციების გამოწვევები.
სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები საქართველოში: რუკა და ანალიზი. (2021). Retrieved from bit.ly/3HE7oNI

Puig, P., G. (2016). Situation analysis of civil society in Georgia. Europe Foundation, Retrieved from bit.ly/407sRWB

ADB. (2020). Civil Society Brief: Georgia, Retrieved from: bit.ly/3RdZgXn

დანართი 1. შეფასების მეთოდოლოგია

შეფასების მეთოდოლოგია დაეფუძნა თვისებრივი და რაოდენობრივი მიდგომების კომბინაციას, ეგრეთ წოდებულ “mixed-method approach”, რომელიც ითვალისწინებს როგორც თვისებრივი, ისე რაოდენობრივი კვლევის მეთოდების გამოყენებას თითოეული კონკრეტული კვლევითი ამოცანის გადაჭრისას. უპირველესად, თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდები გამოვიყენეთ შედეგების ტრიანგულაციის მიზნით, რაც გულისხმობს ერთი მეთოდით მიღებული შედეგების სხვა მეთოდით „გადამოწმებას“; შესაბამისად, მიიღწევა შედეგების მაღალი სანდოობა.

გავლენის შეფასების ერთ-ერთი მთავარი დაშვება იყო ის, რომ შეფასების დაწყებისას, შესაფასებელი პროექტები/პროგრამები უკვე დასრულებული უნდა ყოფილიყო, ხოლო მათი დასრულებიდან გასული უნდა ყოფილიყო გარკვეული პერიოდი. შესაბამისად, დამკვეთთან კონსულტაციების საფუძველზე გადაწყდა, რომ მიზანშეწონილი იყო იმ სათემო ორგანიზაციების შეფასება, რომელთაც პროექტები განახორციელეს და დაასრულეს 2016-2021 წლებში. შესაბამისად, არ შეფასდა ის პროექტები, რომლებიც 2021 წელს განხორციელდა/ხორციელდება.

მეთოდები

უშუალოდ საველე სამუშაოების დაწყებამდე, შეფასების ჯგუფმა ჩაატარა სიღრმისეული სამაგიდო კვლევა, რომლის მიზანი იყო საქართველოში სათემო ორგანიზაციების ისტორიული განვითარების ანალიზი ზოგადად, და განსაკუთრებით, ბოლო 30 წლის გამოცდილების და განვითარების შესწავლა მცირე სათემო პროექტების კუთხით. შევისწავლეთ კვლევები საქართველოში სათემო განვითარებასთან დაკავშირებით, გავაანალიზეთ საერთაშორისო პრაქტიკა და გამოცდილება, თეორიული პარადიგმები, საქართველოში არსებული შესაბამისი სტატისტიკური მონაცემები და სათემო ორგანიზაციებიდან გამოთხოვილი დოკუმენტაცია. სამაგიდო კვლევის საფუძველზე შემუშავდა

კვლევის ინსტრუმენტარი – რაოდენობრივი კვლევის კითხვარი, ფოკუს ჯგუფების, სიღრმისეული ინტერვიუების და ექსპერტული ინტერვიუების გზამკვლევები.

წინამდებარე შეფასების დროს შეფასების ჯგუფმა გამოიყენა შემდეგი თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდები.

1. რაოდენობრივი კვლევა

რაოდენობრივი კვლევა შედგებოდა სატელეფონო გამოკითხვისაგან. ტექნიკური დავალება ითვალისწინებდა საქართველოში მოქმედი 50 სათემო ჯგუფის გამოკითხვას. კვლევისთვის გამოვიყენეთ სათემო ორგანიზაციების სია, რომელიც 2019-2021 წლებში საქართველოში მოქმედი სათემო ორგანიზაციების აღწერის და შემდგომში CSRDG-ის მიერ კორექტირების ფარგლებში შემუშავდა. სია მოიცავდა 100-მდე ორგანიზაციას. აქედან ინტერვიუერმა დაკავშირება სცადა ყველასთან. 4-მა ორგნიზაციამ უარი განაცხადა კვლევაში მონაწილეობაზე, ხოლო 30 ორგანიზაციის შემთხვევაში, ან ორგანიზაციას ჰქონდა დროებით შეჩერებული მოქმედება, ან მითითებული სატელეფონო ნომერი იყო გამორთული, ან რამდენიმე ზარის მიუხედავად, ვერ მოხერხდა პოტენციურ რესპონდენტთან დაკავშირება/შეთანხება. შესაბამისად, სულ გამოიკითხა 66 ორგანიზაცია (ნაცვლად მოთხოვნილი 50-ისა), ანუ, სიაში არსებული ორგანიზაციების ნახევარზე მეტი, რაც გამოპასუხების საკმაოდ მაღალი პროცენტია და საქართველოში მოქმედი სათემო ორგანიზაციების მუშაობისა და ზოგადი მდგომარეობის კარგ სურათს გვიქმნის. საგულისხმოა, რომ ეს ორგანიზაციები არიან სწორედ ისინი, რომლებიც აქტიურად მუშაობენ საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტში და, შესაბამისად, მათი მუშაობის ზეგავლენის შესწავლა მნიშვნელოვან მიგნებებს გვთავაზობს ზოგადად სათემო ორგანიზაციების როლის შესახებ, მცირე ზომის დასახლებულ პუნქტებში.

რაოდენობრივი გამოკითხვის გამოყენება განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ არსებობს სათემო ორგანიზაციების საკმაოდ სანდო

ბაზები, ერთი მხრივ, ხოლო კოვიდ-19 პანდემიით გამოწვეულმა შეზღუდვებმა ამ მეთოდის რელევანტურობა კიდევ უფრო გაზარდა. შემუშავდა სატელეფონო გამოკითხვის კითხვარი, რომლის საბოლოო ვერსია შეთანხმდა დამკვეთთან და CoDeCo-სთან (თემის განვითარების კოალიცია). სატელეფონო გამოკითხვის სპეციფიკიდან გამომდინარე, კითხვარი არ იყო მოცულობითი, და მის შევსებას 25-30 წუთი სჭირდებოდა.

2. თვისებრივი კვლევის მეთოდები

ა) მინი ფოკუს ჯგუფების,[31] ბ) სიღრმისეული და ექსპერტული ინტერვიუების და გ) დაკვირვების მეთოდის გამოყენება მოხდა კვლევის პირველ და მეორე ეტაპებზე სათემო ჯგუფების შერჩევის (ექსპერტული ინტერვიუ) და მათი სიღრმისეული კვლევის (მინი ფოკუს-ჯგუფი, სიღრმისეული ინტერვიუ ჯგუფის ლიდერთან, თვითმმართველობის წარმომადგენელთან და დაკვირვების მეთოდი) პროცესში.

სათემო ჯგუფების/ორგანიზაციებისა და პროექტების ზეგავლენის შეფასების მეთოდოლოგია

20 სათემო ჯგუფის/სათემო პროექტების შერჩევა

კვლევის პირველ ეტაპზე ჩატარდა საქართველოში მოქმედი სათემო ჯგუფების/ორგანიზაციების სატელეფონო გამოკითხვა (66 სათემო ორგანიზაცია), რომელიც დამკვეთთან შეთანხმებული კითხვარის მეშვეობით სათემო ჯგუფების შესახებ პირველადი ინფორმაციის თავმოყრას და მათ მიერ განხორციელებული წარმატებული პროექტების გამოვლენას ისახავდა მიზნად.

ამავე ეტაპზე ჩატარდა 9 ექსპერტული ინტერვიუ მიზნობრივად შერჩეულ სათემო თვითორგანიზების და განვითარების ექპერტებთან. სიღრმისეული ინტერვიუების მიზანი იყო მათი შეფასებების თავმოყრა, ზოგადად საქართველოში სათემო ორგანიზაციების მუშაობის სპეცი-

[31]მინი ფოკუს ჯგუფი გულისხმობს 3-6 ადამიანისგან შემდგარ ჯგუფს, რომელიც საკვლევი თემის ირგვლივ უფრო სიღრმისეული დისკუსიის შესაძლებლობას იძლევა.

ფიკასთან და გარემოსთან დაკავშირებით, და ასევე, წარმატებული სათემო ჯგუფების და პროექტების გამოვლენა. ექსპერტული ინტერვიუ ჩატარდა შემდეგი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან: 1. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი – CSRDG, 2. კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი – CTC, 3. კავკასიის მშვიდობისა და განვითარების ინსტიტუტი – CIPDD, 4. ფონდი ტასო, 5. კავკასიის გარემოსდაცვითი ორგანიზაციების ქსელი – CENN, 6. კახეთის რეგიონული განვითარების ფონდი – KRDF, 7. სამოქალაქო განვითარების ასოციაცია – SAGA (კახეთი), 8. გურიის მედიატორთა ასოციაცია 9. ორგანიზაცია – განვითარების კერა (სამეგრელო).

ექსპერტული ინტერვიუების დროს გამოიკვეთა შემდეგი მოსაზრება: თემზე დადებითი გავლენა შეიძლება ერთი კონკრეტული პროექტის წარმატებულ განხორციელებასაც მოჰყვეს, თუმცა უფრო გრძელვადიანი დადებითი შედეგი მაშინ მიიღწევა, როდესაც მასზე სხვა, დამატებითი პროექტები „შენდება“; ანუ, რამდენიმე ერთმანეთთან დაკავშირებული პროექტის ჯამი, ერთობლიობაში ხელმოსაჭიდ და მდგრად შედეგს იწვევს. ამავე დროს, იმის გათვალისწინებით, რომ სათემო ჯგუფის/ორგანიზაციის გავლენის შეფასება თავისთავად მოიცავს მის მიერ განხორციელებული აქტივობების შედეგების შეფასებასაც, მთელ რიგ შემთხვევებში რთულია მკაფიოდ გაიმიჯნოს თემზე სათემო ჯგუფის საქმიანობისა და კონკრეტული სათემო პროექტის ზეგავლენა.

აღსანიშნავია ასევე, რომ თავად სათემო ჯგუფები/ორგანიზაციები, თავიანთი ორგანიზაციული განვითარების დონით, მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისგან. ბოლო 30 წლის განმავლობაში, არაერთი სათემო ჯგუფი დაარსებიდან რამდენიმე წელიწადში განვითარების სხვა საფეხურზე გადავიდა და ამჟამად მუნიციპალურ, და ზოგ შემთხვევაში, სამხარეო დონეზე მომუშავე საზოგადოებრივ ორგანიზაციას წარმოადგენს (მაგ., სამოქალაქო ინიციატივა, თეთრიწყაროს ახალგაზრდული ცენტრი და სხვ.). ზოგიერთი, მიუხედავად

მრავალწლიანი მუშაობისა, თემის გეოგრაფიულ საზღვრებს არ სცდება და მათი ორგანიზაციული შესაძლებლობებიც შედარებით მწირია.

ამ გარემოებებიდან გამომდინარე, მკვლევართა გუნდმა, დამკვეთთან მჭიდრო კოორდინაციით, მიზნობრივად შეარჩია 20 სათემო ჯგუფი/ პროექტი იმ სიიდან, რომელიც გამოვლინდა (დასახელდა) სატელეფონო გამოკითხვის და ექსპერტული ინტერვიუების დროს. შერჩეულ ორგანიზაციებში არიან როგორც მუნიციპალურ დონეზე, ისე სოფლის დონეზე მოქმედი ორგანიზაციები. 20 სათემო ჯგუფი შეირჩა შემდეგი კრიტერიუმის გათვალისწინებითაც: სათემო ჯგუფი, არსებობს მინიმუმ 5 წელია და ამ პერიოდში განხორციელებული აქვს მინიმუმ 2-3 სათემო (ბიუჯეტით მაქს. 10000-15000 ლარის ფარგლებში) პროექტი.

გარდა ამისა, ყურადღება მიექცა ორ დამატებით ასპექტსაც: 1) ჯგუფების გეოგრაფიულ განფენილობას და აღმოსავლეთ თუ დასავლეთ საქართველოს შორის ბალანსის მაქსიმალურად დაცვას და 2) სათემო ჯგუფების ორგანიზაციული განვითარების დონეს. კერძოდ, შეირჩა როგორც ა) მუნიციპალურ/რეგიონულ დონეზე მომუშავე, განვითარების შედარებით მაღალ საფეხურზე მდგომი სათემო ორგანიზაციები და ბ) თემის დონეზე მომუშავე, ორგანიზაციული განვითარების საწყის საფეხურზე მდგომი სათემო ორგანიზაციები.

იქიდან გამომდინარე, რომ ზოგადად აღმოსავლეთ საქართველოში მეტი სათემო ჯგუფი მოქმედებს, შერჩეულებს შორისაც გარკვეულწილად აღმოსავლეთ საქართველოს წილი ჭარბობს.

შერჩეული სათემო ჯგუფები

1	თეთრიწყაროს ახალგაზრდული ცენტრი (ქვემო ქართლი/ თეთრიწყარო)
2	ახალი აზროვნების ინსტიტუტი (ქვემო ქართლი/მარნეული/ ხულდარა)
3	სასწავლო ცენტრი - გუმბათი (ქვემო ქართლი/წალკა)
4	ასოციაცია ბეთლემი (შიდა ქართლი/გორი/სკრა)
5	სათემო კავშირი ნუკრიანი (კახეთი/სიღნაღი)
6	სათემო ფონდი ლელი (კახეთი/ლაგოდეხი/ლელიანი)
7	სათემო კავშირი ჰერეთი (კახეთი/ლაგოდეხი/ჰერეთისკარი)
8	სათემო კავშირი ვარდისუბანი (კახეთი/ლაგოდეხი)
9	სათემო განვითარების ცენტრი აისი (კახეთი/თელავი/ფშაველი)
10	ახალსოფლის მოსწავლე ახალგაზრდობის ცენტრი (კახეთი/ ყვარელი)
11	შინდისის წმ. ილია მართლის სახელობის ცოდნის ცენტრი (შიდა ქართლი/გორი)
12	კარალეთის ქალთა საინიციატივო ჯგუფი (შიდა ქართლი/გორი)
13	ხონის დევნილთა საინიციატივო ჯგუფი (იმერეთი/ხონი)
14	განათლებისა და განვითარების ცენტრი თოლისკური (სამეგრელო/ხობი/თორსა)
15	ფარის ინოვაციური ცენტრი (სამეგრელო - ზემო სვანეთი/ მესტია/ფარი)
16	გურიის მედიატორთა ასოციაცია (გურია/ოზურგეთი)
17	მუხურის ქალთა საინიციატივო ჯგუფი „მაღვიძარა“ (სამეგრელო-ზემო სვანეთი/ჩხოროწყუ)
18	ქალთა საინიციატივო ჯგუფი „თანასწორი“ (სამეგრელო-ზემო სვანეთი/ჩხოროწყუ)
19	სათემო ფონდი „ნეფა“ (სამეგრელო/ზუგდიდი)
20	საინიტიავო ჯგუფი „ელვა“ (სამეგრელო / ზუგდიდი)

იქიდან გამომდინარე, რომ შეფასების მიზანს ტექნიკური დავალების თანახმად წარმოადგენდა „სათემო ორგანიზაციების გავლენის შეფასების კვლევა სათემო ორგანიზაციებისა და სხვადასხვა სათემო ჯგუფების მიერ განხორციელებულ პროექტებზე აქცენტირებით", შეფასების პროცესში მოხდა როგორც თავად სათემო ორგანიზაციების, ისე მათ მიერ განხორციელებული წარმატებული პროექტების გავლენის შეფასება.

მიმდინარე კვლევის ფარგლებში შეფასებული კონკრეტული სათემო პროექტების შერჩევაში მონაწილეობდნენ თავად სათემო ჯგუფის ლიდერები. მათ იზრუნეს შერჩეული პროექტის მინი-ფოკუს-ჯგუფის ფორმირებასა და თვითმმართველობის იმ წარმომადგნელის დასახელებაზეც (სოფლისა თუ მუნიციპალიტეტის დონეზე), რომელთანაც ჩატარდა ჩაღრმავებული ინტერვიუ სათემო ჯგუფის შეფასების მიზნით.

შერჩეული 20 სათემო ჯგუფი და მათი მცირე სათემო პროექტები შეფასდა შემდეგი კვლევითი მიდგომის გამოყენებით:

1. ჯგუფის/ორგანიზაციის გავლენის შეფასება განხორციელდა ორი ტიპის შეფასების ინტერვიუების მეშვეობით – 1) სათემო ჯგუფების/ ორგანიზაციების ლიდერთან და 2) ადგილობრივი მუნიციპალიტეტის წარმომადგენელთან.

თითოეულ შემთხვევაში შემუშავდა მცირედით განსხვავებული კვლევის ინსტრუმენტი (იხ. ქვემოთ). ამ ინტერვიუების მიზანი იყო სათემო ჯგუფის/ორგანიზაციის ზეგავლენის შეფასება და ძირითადი კითხვებიც სწორედ თავად ჯგუფს/ორგანიზაციას შეეხებოდა, თუმცა რამდენიმე კითხვა ასევე შეეხებოდა კონკრეტული სათემო პროექტების ზეგავლენის შეფასებას.[32]

2. პროექტების ზეგავლენის შეფასების მიზნით ჩატარდა: 1) მინი ფოკუს ჯგუფები სათემო ჯგუფების/ორგანიზაციების მიერ განხორციელებული პროექტების უშუალო ბენეფიციარებთან/მოსარგებლე-

[32]სათემო ორგანიზაციების ლიდერები წინასწარ იყვნენ ინფორმირებულები კვლევითი ჯგუფის მიერ, რომ ინტერვიუ შეეხება როგორც თავად ორგანიზაციას, ისე ექსპერტული ინტერვიუების, რაოდენობრივი კვლევისა და სათემო ლიდერებთან კონსულტაციით შერჩეულ წარმატებულ პროექტს. შესაბამისად, მათთვის არ იყო მოულოდნელი, რომ ინტერვიუს კითხვები შეეხებოდა როგორც ორგანიზაციას, ისე კონკრეტულ პროექტს.

ებთან და 2) მინი ეთნოგრაფიული დაკვირვებები. შესაბამისად, ამ კვლევით ინსტრუმენტებში (იხილეთ ქვემოთ) ძირითადი კითხვები შეეხება უშუალოდ პროექტის/პროექტების ზეგავლენის შეფასებას, თუმცა რამდენიმე კითხვა ასევე შეაფასებს თავად სათემო ჯგუფის/ ორგანიზაციის მუშაობის ზოგად ზეგავლენას თემზე/თემის მცხოვრებლებზე.

OECD DAC შეფასების კრიტერიუმები

შეფასების მეთოდოლოგია დაეფუძნა OECD DAC შეფასების კრიტერიუმებს (https://www.oecd.org/dac/evaluation/daccriteriaforevaluatingdevelopmentassistance.ht). ამავე დროს, მნიშვნელოვანი იყო ამ კრიტერიუმების გამოყენება კონტექსტუალურად, ანუ, არსებული სიტუაციის ანალიზის შესაბამისად და არა მექანიკურად.



წინამდებარე შეფასებამ, გამოიკვლია, თუ რამდენად შეესაბამება და პასუხობს სათემო ორგანიზაციის მუშაობა და მათ მიერ განხორციელებული სათემო პროექტები თემში არსებულ საჭიროებებს (relevance), რამდენად ეფექტურია ის (effectiveness), რამდენად ეფექტიანად (efficiency) ახორციელებს სათემო ორგანიზაცია თავის საქმიანობებს,

როგორია მის მიერ განხორციელებული პროექტების ზეგავლენა (როგორც დადებითი, ისე უარყოფითი, როგორც დაგეგმილი, ისე დაუგეგმავი) როგორც თემზე მთლიანობაში, ისე თემში მცხოვრებ კონკრეტულ ჯგუფებზე (impact), და, რამდენად მდგრადია როგორც თავად სათემო ორგანიზაციების არსებობა, ისე მათ მიერ განხორციელებული საქმიანობის/პროექტების ზეგავლენა და სარგებელი თემისთვის (sustainability). თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ სათემო ორგანიზაციებს საქართველოში დიდწილად ისეთ კონტექსტში უწევთ მუშაობა, სადაც სხვა პროგრამები თუ პროექტები ნაკლებად ხორციელდება, ლოგიკური ბმის (coherence) კრიტერიუმის გამოყენება ამ შეფასების ფარგლებში არ ჩაითვალა მიზანშეწონილად.

ეფექტიანობის კრიტერიუმის შეფასება სათემო ორგანიზაციების მიერ განხორციელებული **პროექტების** შემთხვევაში მოხდა ორ ეტაპად: 1) ხარჯთეფექტურობის და თემზე ეკონომიკური გავლენის შეფასება, რომელიც შესაბამისი სპეციალისტის (შოთა მურღულია) ჩართულობით განხორციელდა, და 2) წინამდებარე ზეგავლენის შეფასება, სადაც ეფექტიანობის არამონეტარული ასპექტები შეფასდა.

თითოეული კრიტერიუმის შესწავლისას დაისვა **შემდეგი ძირითადი კითხვები:**

შესაბამისობა ანუ:

რამდენად აქტუალურია/საჭიროა (სათემო ორგანიზაციის/პროექტის) საქმიანობა

- როცა შეიქმნა
- განხორციელდა
- დღეის პირობებში?

რამდენად პასუხობს (სათემო ორგანიზაციის/პროექტის) აქტივობები თემის საჭიროებებს? რა საჭიროებებია ეს? როგორ იგებთ/ადგენთ საჭიროებებს?

რამდენად პასუხობს (სათემო ორგანიზაციის/პროექტის) აქტივობები თემის მცხოვრებთა რომელიმე ცალკეული ჯგუფის საჭიროებებს?
რამდენად თანაბრად პასუხობს (სათემო ორგანიზაციის/პროექტის) აქტივობები თემის როგორც ქალი, ისე კაცი მცხოვრებლების საჭიროებებს?

ეფექტურობა ანუ:

<u>ორგანიზაციის შეფასება</u>

რამდენად ეფექტურად ახორციელებს (აღწევს დასახულ მიზნებს) სათემო ორგანიზაცია თავის საქმიანობებს (კონკრეტული მაგალითები)

რამდენად აღწევს სათემო ორგანიზაცია თავის მიზნებს თავისი საქმიანობის განხორციელებისას (დეტალები)?

რომელი ფაქტორები უწყობენ/უშლიან ხელს ორგანიზაციის ეფექტურ საქმიანობას (დეტალები)?

<u>პროექტის შეფასება</u>

რამდენად მიაღწია სათემო ორგანიზაციამ თავის **მიზნებს ამ კონკრეტული პროექტის/საქმიანობის** (შესაფასებლად შერჩეული პროექტი) განხორციელების შემთხვევაში?

რომელმა ფაქტორებმა იქონია გავლენა ამ პროექტის მიზნების წარმატებულ მიღწევაზე? რომელმა ფაქტორებმა შეუშალა ხელი მათ მიღწევას?

ეფექტიანობა ანუ:

<u>ორგანიზაციის შეფასება</u>

ახერხებს თუ არა სათემო ორგანიზაცია თავისი საქმიანობების დროულად/ვადებში განხორციელებას? თუ არა - რა ფაქტორები უშლის ხელს? როგორ შეიძლება უფრო ეფექტიანი იყოს?

საქმიანობების დაგეგმვისა და განხორციელებისას, თუ აანალიზებენ/ითვალისწინებენ ყველა არსებულ ალტერნატივას, რათა საქმიანობა მაქსიმალურად ეფექტიანი იყოს? თუ კი - როგორ? თუ არა - რატომ?

<u>პროექტის შეფასება</u>

თუ განხორციელდა დაგეგმილი **პროექტი/აქტივობები** დროულად/ვადებში? თუ არა - რა ფაქტორებმა შეუშალა ხელი მათ დროულ/ვადებში განხორციელებას.

იყო თუ არა აქტივობების/პროექტების განხორციელების პროცესი ყველაზე ეფექტიანი სხვა ალტერნატივებთან შედარებით? თუ არა - როგორ შეიძლებოდა მათი უფრო ეფექტიანად განხორციელება?

ზეგავლენა ანუ:

<u>ორგანიზაციის შეფასება</u>

მთლიანობაში, როგორ შეაფასებდით თქვენი ორგანიზაციის ზეგავ-ლენას თემზე?

- თემის ცალკეულ ჯგუფებზე?
- ქალებზე/კაცებზე?
- სხვადასხვა მოწყვლად ჯგუფზე? (კონკრეტული მაგალითები და დეტალები)

რა შეცვალა სათემო ორგანიზაციამ თემში?

- თემის ცალკეული ჯგუფებისთვის?
- ქალებისთვის/კაცებისთვის?
- სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფისთვის? (კონკრეტული მაგალითები და დეტალები)

ამ ბოლო 5 წლის განმავლობაში, მთლიანობაში თქვენი ორგანიზაციის საქმიანობამ დაახლოებით რამდენ ადამიანზე იქონია გავლენა? (ამ ადამიანების პროფილი)

<u>პროექტის შეფასება</u>

ამ **პროექტის/აქტივობის** შედეგად, რა მოხდა/შეიცვალა თემში/სამიზნე ჯგუფში?

რა შეცვალა **ამ პროექტმა/აქტივობამ** თემის მცხოვრებლებისთვის?

- თემის ცალკეული ჯგუფებისთვის?
- ქალებისთვის/კაცებისთვის?
- სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფისთვის? (კონკრეტული მაგალითები და დეტალები)

რამდენ ადამიანზე იქონია გავლენა?

რამე დაუგეგმავი/მოულოდნელი/მათ შორის ნეგატიური შედეგი ხომ არ ჰქონდა ამ **აქტივობას/პროექტს?** თუ კი - რა?

როგორი იყო ამ დაუგეგმავი შედეგის გავლენა თემზე?

მდგრადობა:

<u>ორგანიზაციის შეფასება</u>

როგორ შეაფასებდით, დღეს როგორია თქვენი ორგანიზაციის მდგრადობა? თუ მაღალია - რა ფაქტორებმა შეუწყო ხელი ამას? თუ დაბალია - რატომ?

როგორ ფიქრობთ, დონორის დაფინანსების დასრულების შემდეგ, შეძლებთ კი მუშაობის გაგრძელებას? თუ კი - როგორ?

<u>პროექტის შეფასება</u>

პროექტის/აქტივობის დასრულების/დონორის დაფინანსების დასრულების შემდეგ, კიდევ რამდენ ხანს შეეძლოთ ბენეფიციარებს მისი შედეგებით სარგებლობა?

რა ფაქტორებმა შეუწყო ხელი **პროექტის/აქტივობის** მდგრადობას?

რა ფაქტორებმა შეუშალა ხელი **პროექტის/აქტივობის** მდგრადობის მიღწევას?

თვისებრივი კვლევის დროს გამოყენებული მეთოდები

მინი ფოკუს ჯგუფების გამოყენება მოხდა შერჩეულ 20 სათემო ორგანიზაციის დასახლებაში პროექტების პირდაპირი და არაპირდაპირი ბენეფიციარების შეფასებების გამოსავლენად. თითოეულ შერჩეულ სათემო ორგანიზაციის თემში ჩატარდა თითო მინი ფოკუს ჯგუფი, გარდა ერთი ორგანიზაციისა, სადაც შერჩეული პროექტის სპეციფიკიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად არ ჩაითვალა ფოკუს ჯგუფის ჩატარება. მინი ფოკუს ჯგუფების მობილიზებას ახორციელებდა შესაბამისი სათემო ჯგუფი. საერთო ჯამში ჩატარდა **19 მინი ფოკუს ჯგუფი.** იქიდან გამომდინარე, რომ ზოგიერთი პროექტის ბენეფიციარი (განსაკუთრებით ახალგაზრდები) შეფასების პროცესში არ იმყოფებოდნენ თემში ან სათემო ორგანიზაციამ ვერ მოახერხა მათი მობილიზება თემში კვლევითი ჯგუფის ვიზიტისათვის, მინი ფოკუს ჯგუფების ნაწილი ჩატარდა ონლაინ ფორმატში Zoom-ის პლატფორმის გამოყენებით.

სიღრმისეული ინტერვიუები ჩატარდა შერჩეულ 20 სათემო ორგანიზაციაში ა) სათემო ორგანიზაციის ხელმძღვანელთან/ლიდერთან და ბ) ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელთან, რომელსაც ასახელებდა თავად სათემო ჯგუფის ლიდერი. სიღრმისეული ინტერვიუები მიზნად ისახავდა რაოდენობრივი კვლევის შედეგად მიღებული შედეგების ვალიდაციას, და ადგილობრივი თვითმმართველობის დამოკიდებულებებისა და შეფასებების დადგენას ამ სათემო ორგანიზაციების და მათი აქტივობების მიმართ. სათემო ორგანიზაციების ლიდერებთან ჩატარდა **20 სიღრმისეული ინტერვიუ. რაც შეეხება მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებს, ჩატარდა 16 ინტერვიუ**, რადგან ორ შემთხვევაში, მუნიციპალიტეტის წარმომადგენელმა ფაქტობრივად უარი განაცხადა შეფასებაში მონაწილეობაზე მოუცლელობის გამო, ხოლო ორ შემთხვევაში მუნიციპალიტეტის ერთმა

წარმომადგენელმა იმ კონკრეტულ მუნიციპალიტეტში მომუშავე სხვადასხვა სათემო ორგანიზაციის მუშაობაც შეაფასა.

დაკვირვების მეთოდი - გამოვიყენეთ „ფოკუსირებული ეთნოგრაფიის“[33] და „მინი-ეთნოგრაფიის“[34] მეთოდების ადაპტირებული მიდგომა, რაც გულისხმობს ფოკუსირებულ და მოკლევადიან დაკვირვებას შერჩეულ სათემო ორგანიზაციებსა და მათ თემებში. კერძოდ, შეფასების ჯგუფი დააკვირდა საზოგადო და სხვა ტიპის პროექტების გამოყენებას (მაგალითად, სკვერები ან სხვა საზოგადოებრივი სარგებლობის პროექტები), შესაძლებლობის შემთხვევაში, თავადაც გამოიყენეს ეს სივრცეები დანიშნულებისამებრ, მათი ხარისხის, მოხერხებულობის და ან/სხვა პარამეტრების შესაფასებლად. 20 სიღრმისეულად შესასწავლი სათემო ორგანიზაციიდან და თემიდან შეირჩა 4, სადაც განხორციელდა დაკვირვება. შერჩევის პროცესში გავითვალისწინეთ შემდეგი გარემოება: განსხვავებული შინაარსის, თუმცა მეტწილად ინფრასტრუქტურასთან (სკვერი, სარწყავი სისტემა, თავშეყრის სათემო ცენტრი და ა.შ.) დაკავშირებული პროექტები, რომლებიც იძლეოდა დაკვირვების საშუალებას. თითოეული დაკვირვების შედეგად შემუშავდა დაკვირვების ანგარიში, რომელიც მაქსიმალურად დეტალურად აღწერს შესაფასებელ საკითხებს. შესაბამისად, შემუშავებული 4 დაკვირვების ანგარიში სიღრმისეულად, ეგრეთწოდებული “thick descriptions” შემოგვთავაზებს შესწავლილ სათემო ორგანიზაციებზე და მათ გავლენაზე თემებზე. ანგარიშები ფოკუსირებულია გამორჩეულად მნიშვნელოვან მიგნებებზე; ისინი დამუშავდება როგორც ცალკეული case study, რომელიც დანართად ერთვის შეფასების ძირითად ანგარიშს.

სიღრმისეული შეფასების ეტაპზე, შეფასების პროცესში გამოვიყენეთ **ვიზუალური მეთოდები**, კერძოდ, შეფასების ჯგუფმა თავად გადაიღო **ფოტოები** შერჩეულ სათემო ორგანიზაციების თემებში, რომლებიც ასახავს პროექტების მდგომარეობას.

---

[33]https://www.qualitative-research.net/index.php/fqs/article/view/20/43
[34]https://www.researchgate.net/publication/12285569_Mini-ethnography_Meaningful_exploration_made _easy

იმის გათვალისწინებით, რომ შესაფასებელი საკითხები საკმაოდ მრავალფეროვანი და განსხვავებული იყო, მაგალითად, **პიროვნული განვითარების ასპექტები (ახალი უნარები და ცოდნა)** შევისწავლეთ როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი კვლევის მეთოდების გამოყენებით:

- რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში რესპონდენტებმა შეაფასეს საკუთარი უნარებისა და ცოდნის დონე კონკრეტული მიმართულებებით თემში სათემო ორგანიზაციის არსებობამდე, და არსებობის პერიოდში.

- მინი ფოკუს ჯგუფებისას და სიღრმისეული ინტერვიუების მეშვეობით გადამოწმდა და დაზუსტდა რაოდენობრივი კვლევის შედეგები.

ასევე, მაგალითად, **ცვლილებები დამოკიდებულებაში** (თავდაჯერებულობა, აღიარება, კონტაქტი სხვა ორგანიზაციებთან და ა.შ.) შევისწავლეთ რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდების გამოყენებით:

- რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში რესპონდენტებმა შეაფასეს საკუთარი თავდაჯერებულობის და აღიარების ასპექტები. ამავე დროს, შეფასდა ორგანიზაციული ქსელები და თანამშრომლობა.

- მინი ფოკუს ჯგუფებისა და სიღრმისეული ინტერვიუების შედეგად გადავამოწმეთ რაოდენობრივი კვლევის შედეგები და დავაზუსტეთ კვლევის შედეგები და ინტერპრეტაციები. გამოვავლინეთ ის დამატებითი სარგებელიც, რაც სათემო ორგანიზაციას მოაქვს არა მარტო მასში ჩართული ადამიანებისთვის, არამედ ზოგადად თემისთვის.

რაც შეეხება მაგალითად, **სათემო პროექტების ზოგად გავლენას მოსახლეობაზე/თემზე**, შევისწავლეთ კომპლექსურად, ყველა ჩვენს

მიერ შერჩეული მეთოდის გამოყენებით. თავისთავად, მეთოდების შეზღუდვების გათვალისწინებით, ისინი გამოვიყენეთ მიზნობრივად. შესაბამისად, მივიღეთ სრულყოფილი სურათი, რომელიც მაქსიმალურად ზუსტად ასახავს არსებულ მდგომარეობას და იმ გავლენას, რაც სათემო ორგანიზაციებს საკუთარ თემში და თემის მოსახლეობაზე აქვთ.

- სამაგიდო კვლევამ შესაძლებლობა მოგვცა შეგვექმნა ზოგადი სურათი, თუ რა კონტექსტში მუშაობენ სათემო ორგანიზაციები საქართველოში და როგორია მათი განვითარების ისტორია.

- რაოდენობრივი გამოკითხვის შედეგად მივიღეთ პასუხები კითხვაზე, თუ თავად სათემო ორგანიზაციების წარმომადგენლები როგორ აფასებენ საკუთარი საქმიანობის შედეგებს თემსა და მოსახლეობაზე. ასევე, თუ როგორ შეიძლება ამ გავლენის გაზრდა/გაძლიერება.

- სიღრმისეულმა ინტერვიუებმა, მინი ფოკუს ჯგუფებმა, დაკვირვებამ და ვიზუალურმა მეთოდებმა შესაძლებლობა მოგვცა თემის მოსახლეობის შეფასებებისა და ქცევების (დაკვირვებების მეთოდი) საფუძველზე დაგვედგინა თუ 1) რამდენად რეალისტურად აფასებენ სათემო ორგანიზაციების წარმომადგენლები საკუთარი საქმიანობის გავლენას თემსა და მოსახლეობაზე, 2) რამდენად დიდია/საგრძნობია ეს გავლენა ზოგადად მოსახლეობისთვის და თემისთვის, და 3) როგორ შეიძლება, რომ სათემო ორგანიზაციის გავლენა გაიზარდოს.

- ექსპერტული კვლევისას შეგროვებულმა ექსპერტების შეფასებებმა ზოგადად სათემო ორგანიზაციების როლსა და გავლენაზე ადგილობრივ თემებზე და მოსახლეობაზე, და სათემო ორგანიზაციების გავლენის გაუმჯობესების პერსპექტივებზე ინსტრუმენტული როლი შეასრულა კვლევითი ინსტრუმენტების შემუშავებისა და მონაცემთა ანალიზის პროცესში.

სათემო პროექტების შედეგების მდგრადობა შევისწავლეთ შემდეგი

მეთოდების გამოყენებით: სიღრმისეული ინტერვიუები (ადგილობრივი თვითმმართველობა და სათემო ორგანიზაციის ლიდერი) და მინი ფოკუს ჯგუფები (პირდაპირი და არაპირდაპირი ბენეფიციარები), სადაც გავიგეთ რესპონდენტების სუბიექტური შეფასებები იმასთან დაკავშირებით, თუ რა გავლენა იქონია მათ სოციალურ-ეკონომიკურ ყოველდღიურ ცხოვრებაზე სათემო ორგანიზაციის მუშაობამ და კონკრეტულმა აქტივობებმა/პროექტებმა, ასევე გამოვიკვლიეთ, თუ რა დადებითი/უარყოფითი დაუგეგმავი შედეგები (unintended consequences) მოჰყვა სათემო ორგანიზაციის არსებობას თემში და რესპონდენტების მიერ შეფასდა პროექტების მდგრადობა. პროექტების შედეგების მდგრადობა ასევე შეფასდა დაკვირვების და ვიზუალური მეთოდების გამოყენებით, რომლებმაც თვალნათლივ გვიჩვენა, თუ რა მდგომარეობაშია განხორციელებული პროექტები და როგორ გამოიყენება ისინი.[35]

წინამდებარე შეფასების შეზღუდვები განპირობებულია შემდეგი გარემოებებით.

- მიუხედავად იმისა, რომ შეფასების შედეგად გამოიკითხა 66 სათემო ორგანიზაცია, და ეს რაოდენობა ბაზად გამოყენებული მოქმედი სათემო ორგანიზაციების სიის ნახევარზე მეტია, ეს რაოდენობა მაინც არ იძლევა სიღრმისეული სტატისტიკური ანალიზის განხორციელების შესაძლებლობას.

- იქიდან გამომდინარე, რომ სათემო ორგანიზაციების ლიდერებსა და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებს შორის თანამშრომლობა ხშირად უშუალოდ პირად კავშირებზე გადის, კვლევის შეზღუდვად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ გამოკითხული მუნიციპალიტეტის წარმომადგენლების დამოკიდებულება უფრო მეტად დადებითი შეიძლება იყოს სათემო ორგანიზაციების და მათ ლიდერების მიმართ, ვიდრე ეს ზოგადად დამახასიათებელია ადგილობრივი თვითმმართველობებისთვის. შესაბამისად, სათემო ორგანიზაციების მუშაობის მიმართ, მათ მიერ გამოთქმული უაღრესად

[35]რაც შეეხება შერჩეული სათემო პროექტების ეკონომიკური გავლენის შესწავლას, გამოყენებული მიდგომები და მეთოდოლოგია იხ. მე-III კარში.

დადებითი შეფასებების ალბათობა გათვალისწინებულ იქნა მონაცემთა ანალიზის პროცესში.

- ერთი სათემო ორგანიზაციის შემთხვევაში, მუნიციპალიტეტის წარმომადგენელმა სხვადასხვა მიზეზით რამდენჯერმე უარი განაცხადა შეფასებაში მონაწილეობაზე, და შესაბამისად, მასთან ვერ მოხერხდა ინტერვიუს ჩაწერა. მეორე შემთხვევაში, სათემო ორგანიზაციამ შემფასებელი სოფლის რწმუნებულთან დააკავშირა, რომელმაც ასევე უარი განაცხადა შეფასებაში მონაწილეობაზე, ხოლო მუნიციპალიტეტის მერიაში ორგანიზაციას საკონტაქტო პირი არ აღმოაჩნდა. ეს (2) პუნქტში განხილული შეზღუდვის საპირისპირო გამოვლინებაა, რომელიც ასევე ამტკიცებს იმ დასკვნას, რომ თუ სათემო ორგანიზაცია სხვადასხვა მიზეზით ვერ ახერხებს კარგი/სამუშაო პირადი კონტაქტების დამყარებას მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან, მისი თანამშრომლობა მუნიციპალიტეტთან, შესაძლოა, საერთოდ ვერ/არ შედგეს.

- ზოგ შემთხვევაში სათემო ორგანიზაციების ლიდერები ესწრებოდნენ მინი ფოკუს ჯგუფების მიმდინარეობას, რაც ნაწილობრივ გამოწვეული იყო იმით, რომ ფიზიკური სივრცე არ იძლეოდა იმის შესაძლებლობას, რომ მინი ფოკუს ჯგუფები ცალკე ოთახებში ჩატარებულიყო. მიუხედავად ამისა, შეფასების ჯგუფს დარჩა შთაბეჭდილება, რომ მინი ფოკუს ჯგუფების ბენეფიციარები თავისუფლად და გულახდილად მსჯელობდნენ და სათემო ლიდერის დასწრებამ არ მოახდინა გავლენა მათ პასუხებზე. თუმცა, ეს გარემოება მაინც გავითვალისწინეთ შედეგების ანალიზისას.

დანართი 2. ეთნოგრაფიები

1. ფშაველი

შესავალი

სოფელი ფშაველი თელავის მუნიციპალიტეტში მდებარეობს, თელავიდან 35 კილომეტრის დაშორებით, რაც მუნიციპალური ცენტრიდან საკმაოდ შორ მანძილადაც შეიძლება მივიჩნიოთ. ფშაველი თემის ცენტრია და მოიცავს კიდევ ერთ სოფელს - ლეჩურს. 2014 წლის საქართველოს საყოველთაო აღწერის მიხედვით, სოფელში 1 624 ადამიანი ცხოვრობს.[36] მნიშვნელოვანია, რომ სოფელი თელავი-ომალოს საავტომობილო გზაზე მდებარეობს, რასაც პოტენციურად ტურიზმის განვითარებისთვის უნდა შეეწყო ხელი. სავარაუდოდ, სწორედ ამით იყო განპირობებული ის, რომ თელავის მუნიციპალიტეტმა დამეგობრებული გერმანული ქალაქის, ბიბერახის დახმარებით სწორედ ფშაველში გადაწყვიტა საკემპინგე ინფრასტრუქტურის განვითარება, თუმცა, 2022 წლის გაზაფხულზე, ეს ინფრასტრუქტურა ჯერ კიდევ არ მუშაობდა — აშენებული და თითქმის დასრულებული შენობა მიტოვებულის შთაბეჭდილებას ტოვებდა (ფოტო 1).

ფოტო 1. თელავის მუნიციპალიტეტის მიერ მოწყობილი საკემპინგე ინფრასტრუქტურა

[36] bit.ly/3jdx0HF

როგორც ვიკიპედია იუწყება, „სოფელს აქვს კლუბი, საშუალო სკოლა, ბიბლიოთეკა, სავაჭრო ცენტრი, ღვინისა და საკონსერვო ქარხნები, ხის გადამამუშავებელი კომბინატი“.[37] თუმცა ბიბლიოთეკა და კლუბი, რომლებიც სათემო ორგანიზაციის მიერ მოწყობილი სკვერისა და მუნიციპალიტეტის მიერ საკემპინგე ცენტრის გვერდით მდებარეობს, სავალალო მდგომარეობაშია (იხ. ფოტო 2).

ფოტო 2. ფშაველის კულტურის სახლი

[37]bit.ly/3jdx0HF

დაკვირვების შედეგები

ადგილობრივი სათემო ორგანიზაციის ლიდერთან და ბენეფიციარებთან შეხვედრის შედეგად იქმნება შთაბეჭდილება, რომ სოფელში საჯარო დაწესებულებების და მცირე სავაჭრო ობიექტების გარდა დასაქმების შესაძლებლობები მხოლოდ სოფლის მეურნეობის სფეროშია. ერთადერთი გამონაკლისი რამდენიმე სავაჭრო მაღაზია/ჯიხური და სათემო ორგანიზაციის მიერ ახლად დაარსებული სოციალური საწარმო – კაფეა, რომელიც სწორედ რომ თელავი-ომალოს საავტომობილო გზაზე მდებარეობს, და პოტენციურად განვითარებისა და წარმატების დიდი შესაძლებლობა აქვს – მან უკვე დაასაქმა 5-მდე ადგილობრივი ქალი.

დაკვირვების დროს კაფეში აქტიურად ემსახურებოდნენ მომხმარებლებს. მიუხედავად იმისა, რომ კაფე ახალი გახსნილია, როგორც ჩანს, მან უკვე შეიძინა ადგილობრივი მომხმარებლები, რომლებმაც, ტურისტების გარეშეც, შესაძლოა, საკმარისი შემოსავალი მოუტანონ სოციალურ საწარმოს.

ფშაველის სათემო ორგანიზაცია ერთ-ერთი ვეტერანი ორგანიზაციაა, რომელიც 2008 წელს დაარსდა როგორც საინიციატივო ჯგუფი, ხოლო 2011 წელს არასამთავრობო ორგანიზაციად დარეგისტრირდა. 2008 წლიდან მოყოლებული, ორგანიზაცია, იშვიათი გამონაკლისების გარდა, ყოველთვის აქტიურად მუშაობს და მხოლოდ ბოლო 5 წლის განმავლობაში, მისი ლიდერის აზრით, მინიმუმ 1 000 ადამიანზე იქონია გავლენა – არა მხოლოდ საკუთარი სოფლის და თემის, არამედ მეზობელი სოფლებიდანაც. ეს, უდავოდ, დიდი მიღწევაა.

ამ წლების განმავლობაში, ორგანიზაციამ, როგორც თავად ლიდერი ამბობს, „პატარ-პატარა ნაბიჯებით“ მნიშვნელოვანი ხელშესახები კვალი დატოვა სოფელში. ორგანიზაციის ერთ-ერთი წარმატებული პროექტი უკავშირდება სოფელში სკვერის მოწყობას. მნიშვნელოვანია, რომ თავად სკვერის მოწყობას წინ უძღოდა საკმაოდ სერიოზული

მუშობა მუნიციპალიტეტთან, რადგან სკვერის მოწყობამდე სოფლის ახალგაზრდობას ერთადერთი თავშეყრის და გართობის ადგილი ჰქონდა - ფშაველის ხიდი, რაც არ იყო უსაფრთხო. სათემო ორგანიზაცია რეგულარულად მიმართავდა მუნიციპალიტეტს კულტურის სახლის წინ არსებულ ტერიტორიაზე სკვერის მოწყობის ინიციატივით, მაგრამ მუნიციპალიტეტი ვერ არკვევდა, თუ ვის ბალანსზე იყო ეს ტერიტორია. როგორც კი ტერიტორია მუნიციპალიტეტის ბალანსზე გადავიდა, ორგანიზაციის ლიდერებმა მაშინვე მოიპოვეს დაფინანსება სკვერის მოსაწყობად, ხოლო მუნიციპალიტეტი თანადაფინანსებით შემოვიდა პროექტში.

სკვერის პროექტი 2016 წელს განხორციელდა - პროექტის ბიუჯეტი 7 000 ლარი იყო, ხოლო მუნიციპალიტეტის წვლილი, რომელიც სკვერის განათების მოწყობაში გამოიხატა - 5 000 ლარი (ფოტო 3).

ფოტო 3. ფშაველის სკვერი

მიუხედავად იმისა, რომ სკვერის ზოგიერთ ატრაქციონს თუ სკამებს უკვე სჭირდება შეკეთება (ფოტო 4-5), მთლიანობაში ის საკმაოდ მოვლილ შთაბეჭდილებას ტოვებს, რაც, როგორც ჩანს, ისევ და ისევ სათემო ორგანიზაციის დამსახურებაა, რადგან, როგორც მინი ფოკუს ჯგუფის წევრებმა აღნიშნეს, სათემო ორგანიზაცია რეგულარულად აწყობს სკვერისა თუ სხვა სივრცეების დასუფთავების აქციებს, და სკვერის შესასვლელშიც მათივე თხოვნით და ინიციატივით ნაგვის ბუნკერი დაიდგა.

როგორც სათემო ორგანიზაციის ლიდერმა აღნიშნა, ის აქტიურად მუშაობს როგორც მუნიციპალიტეტთან, ისე ადგილობრივ ბიზნესთან, რომ მოიზიდოს ფინანსები სკვერის დაზიანებული ინფრასტრუქტურის მოსაწესრიგებლად. რესპონდენტების თქმით, სკვერი თემში ადგილობრივი მოსახლეობის, განსაკუთრებით ახალგაზრდებისა და მცირე ასაკის ბავშვებიანი ოჯახების, ხოლო ზაფხულობით – დამსვენებლების – დასვენებისა და გართობის ერთადერთი ადგილია. უფრო მეტიც, როგორც ფოკუს ჯგუფის წევრები აღნიშნავენ, სკვერში, ზაფხულში, საღამოობით, ახალგაზრდები მეზობელი სოფლებიდანაც მოდიან. შესაბამისად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სკვერი თავისი ფუნქციონალური დატვირთვის რამდენიმე ჯგუფს ემსახურება, და დამატებით, ხელსაც უწყობს სხვადასხვა სოფლის ახალგაზრდებს თუ მცხოვრებლებს შორის კავშირების გამყარებას.

ფოტო 4. დაზიანებული ინფრასტრუქტურა სკვერში

ფოტო 5. დაზიანებული ინფრასტრუქტურა სკვერში

დაკვირვების დროს სკვერში მხოლოდ 3 ადამიანი იყო, სამივე მოზარდი, ორი მათგანი - ველოსიპედით (ფოტო 6). თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ ეს იყო ადრეული გაზაფხული, საკმაოდ გრილოდა, და იყო შუადღე. როგორც სკვერის მომხმარებლებმა გვითხრეს არაფორმალური გასაუბრების დროს, ისინი ძალიან ხშირად სარგებლობენ სკვერით, განსაკუთრებით ზაფხულში ივსება იქაურობა. კითხვაზე, თუ იციან, ვინ გააკეთა სკვერი, პასუხად ორგანიზაციის ლიდერის სახელი გვითხრეს, რაც, შესაძლოა, სათემო ორგანიზაციის ხილვადობის და იმიჯის უფრო მეტი პოპულარიზაციის აუცილებლობაზე მიანიშნებდეს — მსგავსი მიგნებები გვქონდა რამდენიმე სხვა სათემო ორგანიზაციაშიც.

ფოტო 6. სკვერის მომხმარებლები

სათემო ორგანიზაციის კიდევ ერთ წარმატებად უნდა მივიჩნიოთ კულტურის სახლში კიდევ ერთი შეხვედრების ოთახის დაარსება და ფუნქციონირება. მთლიანობაში, სოფლისთვის, სადაც, ფაქტობრივად, არაფერი საინტერესო და შემეცნებითი და განვითარებისკენ მიმართული არ ხდება, მოსახლეობის, და განსაკუთრებით, ახალგაზრდების განვითარებისთვის, სათემო ცენტრი ნამდვილად დიდი შესაძლებლობაა.

შეჯამება

ფშაველის სათემო ორგანიზაციამ, და პირველ რიგში, მისმა ლიდერებმა, როგორც ჩანს, შეძლეს წარმატებული თანამშრომლობის დამყარება მუნიციპალიტეტის შესაბამის სამსახურებთან და თანამშრომლებთან. როგორც მუნიციპალიტეტის თანამშრომელმა აღნიშნა ინტერვიუს დროს, ისინი რეგულარულად მიმართავენ სათემო ორგანიზაციას მოსახლეობის მობილიზებისა თუ მუნიციპალური სერვისებისა და პროექტების შესახებ ინფორმაციის გასავრცელებლად. უფრო მეტიც, როგორც მუნიციპალიტეტის თანამშრომელმა აღნიშნა, ფშაველი სწორედ იმიტომ შეირჩა ერთ-ერთი ახალი მუნიციპალური პროექტის ადგილად (სამაგიდო თამაშები სოფლად), რომ იქ იყო ამის რესურსი – როგორც ინფრასტრუქტურული, ისე ადამიანური: შესაბამისი შეხვედრების ოთახი და ადამიანები, ვისაც შეეძლოთ პროგრამაში მოზარდების მოზიდვა და პროცესის მართვა ადგილზე.

თავისი საქმიანობით, სათემო ორგანიზაცია გავლენას ახდენს არა მარტო ფშაველის, არამედ ახლომდებარე სოფლების მოსახლეობაზეც, რადგან აძლევს მათ შესაძლებლობას ჩაერთონ არაფორმალური განათლების პროგრამებში ან ისარგებლონ სპორტული და დასვენების ინფრასტრუქტურით, და დაამყარონ ახალი კავშირები ერთმანეთთან.

ამავე დროს, ფშაველის სათემო ორგანიზაციის მუშაობაზე ამ მცირე დაკვირვების შედეგად შემდეგი გამოწვევებიც გამოიკვეთა: ორგანიზაცია, როგორც ჩანს, გაიგივებულია ორგანიზაციის ლიდერთან, და სასურველია მისი ხილვადობის გაუმჯობესება.

სათემო ორგანიზაციის სამუშაო სივრცეს, როგორც აღმოჩნდა, საკმაოდ გაურკვეველი იურიდიული სტატუსი აქვს (თავდაპირველად მუნიციპალიტეტისგან იყო იჯარით აღებული, მაგრამ ბოლო წლებში ხელშეკრულება არ განახლებულა და, სავარაუდოდ, მუნიციპალიტეტს „დავიწყებული“ აქვს ამ ხელშეკრულების არსებობა) — ამ გარემოებამ, სამომავლოდ, შესაძლოა, პრობლემები გამოიწვიოს და სასურველია ამ საკითხის რაიმე ფორმით მოგვარება. თუმცა სათემო კვლევები ადასტურებს, რომ ეს პრობლემა მხოლოდ ამ კონკრეტულ სათემო ორგანიზაციას არ ეხება და საკმაოდ გავრცელებულია.

2. ახალსოფელი

შესავალი

ახალსოფელი ყვარლის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი ყველაზე დიდი სოფელია — 2014 წლის საყოველთაო აღწერის მიხედვით, აქ 4 158 ადამიანი ცხოვრობდა.[38] სოფელი თემის ცენტრია და კიდევ 5 სოფელს აერთიანებს. ახალსოფელი ყვარლიდან 15 კილომეტრით არის დაშორებული. როგორც თავად სოფლის მცხოვრებლები აღნიშნავენ, ის ეკონომიკურად საკმაოდ ძლიერი სოფელია — ამაზე მეტყველებს მისი სოფლის ინფრასტრუქტურაც — სოფელში რამდენიმე აფთიაქი, სუპერმარკეტის ქსელის მაღაზიაა, რაც კახეთის სოფლებში იშვიათად თუ გვხვდება. სოფელში ასევე ორი სკოლაა, მაგრამ როგორც რესპონდენტებმა გვითხრეს ფოკუს ჯგუფის დროს, სოფელი იმდენად დიდია, რომ ერთი სკოლის მოსწავლეები მეორე სკოლის მოსწავლეებს არც კი იცნობენ და მხოლოდ სათემო ცენტრის ორგანიზებული ღონისძიებების დროს ხვდებიან.

მნიშვნელოვანია, რომ ახალსოფელში თემი მრავალეთნიკურია — ორ სოფელში — სარუსო და თივი — დაღესტნიდან ჩამოსახლებული

[38] https://ka.wikipedia.org/wiki/

ავარიელები (ლეკები) ცხოვრობენ. საინტერესოა, რომ ამ სოფლების მოსახლეობა სხვადასხვა ავარიულ ტომს ეკუთვნის და სხვადასხვა ენაზე საუბრობს. ერთ-ერთ სხვა სოფელში, ჯერ კიდევ რუსეთის იმპერიის დროს განთავსებული სამხედრო გარნიზონის წევრების შთამომავლები ცხოვრობენ.[39]

დაკვირვების შედეგები

ახალსოფლის სათემო ორგანიზაცია - ახალსოფლის ახალგაზრდული ცენტრი - საქართველოში არსებულ სათემო ორგანიზაციებს შორის იშვიათი გამონაკლისია — ის არ დაუარსებია საინიციატივო ჯგუფს, დონორების დახმარებით, არც დონორი ორგანიზაციების მიერ განხორციელებული პროგრამების ფარგლებში დაარსებულა და მუშაობს. ორგანიზაცია ახალსოფლის ერთ-ერთი მკვიდრის, ბიზნესმენის ინიციატივით, თაოსნობითა და დაფინანსებით დაარსდა 2016 წელს. ამ კერძო სპონსორის სურვილი იყო, რომ სოფელში, სადაც თავად დაიბადა და გაიზარდა, შეექმნა ახალგაზრდული სივრცე, სადაც ახალგაზრდები შეიკრიბებოდნენ, გამოიკვლევდნენ საჭიროებებს როგორც ზოგადად სოფლისთვის, ისე ახალგაზრდებისთვის, დასახავდნენ შესაბამის მიზნებს, და თავადვე დაგეგმავდნენ და „რეალობად აქცევდნენ“ საკუთარ პროექტებს. როგორც შეფასების ინტერვიუში ორგანიზაციის ლიდერებმა აღნიშნეს, ამ მიდგომამ გაამართლა და გასული 6 წლის განმავლობაში სათემო ორგანიზაციამ, და უფრო მეტად, მის მუშაობაში ჩართულმა ახალგაზრდებმა, მრავალი საინტერესო ფორმატისა და შინაარსის პროექტი განახორციელეს.

მიუხედავად იმისა, რომ 2016 წლიდან სათემო ორგანიზაციას აქვს სტაბილური და უწყვეტი დაფინანსება კერძო სპონსორის მხრიდან, ორგანიზაცია ამით არ კმაყოფილდება და საკუთარ განვითარებაზე ზრუნავს. ის აქტიურად მონაწილეობს სხვა სათემო თუ არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის განკუთვნილ საგრანტო კონკურსებში, თანამ-

[39]http://yvarlis-municipaliteti.blogspot.com/2013/11/blog-post.html

შრომლობს სხვადასხვა ადგილობრივ საზოგადოებრივ ორგანიზაციასთან, იქნება ეს ადვოკატირებისა თუ სათემო მობილიზების პროექტები. ის გარემოება, რომ ახალსოფლის სათემო ორგანიზაციას, ბოლო 6 წელია, აქვს სტაბილური დაფინანსება, შესაძლებლობას გვაძლევს შევაფასოთ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ეს გარემოება სათემო ორგანიზაციის საქმიანობისთვის, ერთი მხრივ, და მეორე მხრივ, რამდენად უწყობს ხელს მის აქტივობებს და ამ აქტივობების ზეგავლენის მდგრადობის უზრუნველყოფას.

ფოტო 1. სათემო ორგანიზაციის ოფისის ერთ-ერთი კედელი

შეფასების დროს, ორგანიზაციაში 12 ადამიანი იყო დასაქმებული, თუმცა დაარსების პერიოდში ორი ადამიანი იყო სრულად ჩართული ორგანიზაციის საქმიანობაში, ანუ, სახეზეა ორგანიზაციის გაფართოება. სავარაუდოდ, ისევ და ისევ სტაბილური და უწყვეტი დაფინანსების

გარეშე, ამის მიღწევა რთული იქნებოდა. ასევე საინტერესოა, რომ ორგანიზაციას არსებულ ეტაპზე ორი გამოკვეთილი ლიდერი ჰყავს, რომლებიც უძღვებიან ორგანიზაციის ძირითად საქმიანობას. თუმცა, როგორც გამოიკვეთა, ორგანიზაციის ერთ-ერთი განმასხვავებელი მახასიათებელია მოხალისეების/ახალგაზრდების ორგანიზაციის მართვის ცალკეულ ასპექტებში აქტიური ჩართვა. როგორც ორგანიზაციის ლიდერებმა აღნიშნეს შეფასების ინტერვიუს დროს, სათემო ორგანიზაციის მუშაობის კონცეფცია ეფუძნება „თანასწორობის“ პრინციპს – ორგანიზაციაში არ არის იერარქიულობა და ორგანიზაციის ლიდერები და მოხალისეები თუ ახალგაზრდები, თანაბარი პასუხისმგებლობით არიან ჩართულები ორგანიზაციის მუშაობაში.

ფოტო 2. ახალციხის ახალგაზრდული ცენტრის ბენეფიციარების სიგელები

ამასთანავე, მნიშვნელოვანია, რომ სტაბილური დაფინანსება ორგანიზაციას ასევე აძლევს შესაძლებლობას, რომ ხელი შეუწყოს ყოფილი ბენეფიციარების — სოფლიდან სასწავლებლად წასული ახალგაზრდების — დაბრუნებას სოფელში და მათ აქტიურ ჩართვას ორგანიზაციის მუშაობაში. შეფასების დროს, ორგანიზაციაში მუშაობდა 5-6 ასეთი ახალგაზრდა, რომლებმაც ან უკვე დაასრულეს უმაღლესი განათლების მიღება, ან სტუდენტები არიან, მაგრამ კოვიდ-რეგულაციების გამო სოფლიდან დისტანციურად იღებდნენ განათლებას. ეს ახალგაზრდები აქტიურად არიან ჩართულები ორგანიზაციის მუშაობასა და მართვაში, თავად უძღვებიან სხვადასხვა აქტივობას, გეგმავენ ახალ პროექტებს და ახორციელებენ მათ.

ახალსოფლის სათემო ორგანიზაციის მუშაობა ძირითადად ახალგაზრდული პროექტებით, კერძოდ, არაფორმალურ განათლებასთან დაკავშირებული სასწავლო კურსებით თუ აქტივობებით შემოიფარგლება. ორგანიზაციის მეორე სამიზნე ჯგუფი და მიმართულებაა თემში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობები და ინტერკულტურული პროექტების განხორციელება. ფოკუს ჯგუფის მონაწილეები გამოირჩეოდნენ განსაკუთრებული აქტიურობით — ისინი რამდენიმე წლის განმავლობაში მონაწილეობდნენ ორგანიზაციის რამდენიმე პროექტში, ანუ, ორგანიზაციის „გრძელვადიანი“ ბენეფიციარები იყვნენ.

როგორც ფოკუს ჯგუფის მონაწილეებმა, ისე სათემო ორგანიზაციის ლიდერებმა გამოკვეთეს სათემო ორგანიზაციის მუშაობის ერთ-ერთი მიმართულება — ეთნობანაკი, რომელიც 2018 წლიდან ტარდება. კოვიდ-19-ის შეზღუდვების გამო, 2020 და 2021 წლებში ბანაკი ვერ ჩატარდა, თუმცა 2022-ში დაგეგმილია მისი ჩატარება. ბანაკი თემში მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის ახალგაზრდებს შორის კავშირების დამყარებას და კონფლიქტების მოგვარებას ისახავს მიზნად. როგორც სათემო ორგანიზაციის ერთ-ერთმა ლიდერმა აღნიშნა ინტერვიუს დროს, მუნიციპალიტეტის ახალგაზრდები და ბავშვები საერთოდ არ იცნობდნენ ერთმანეთს, დღესასწაულებზე მათ შორის

ზოგჯერ ჩხუბი და კონფლიქტი ხდებოდა. სწორედ აქედან წამოვიდა ეთნობანაკის იდეა. პირველ წელს მასში 40, ხოლო მეორე წელს უკვე 100 ბავშვი/მოზარდი მონაწილეობდა. ეთნობანაკებში ნამყოფი ფოკუს-ჯგუფის მონაწილეების თქმით, გაიზარდა, დამყარდა და გამყარდა თემის წევრებს შორის კავშირები არა მხოლოდ ეთნიკური უმცირესობებისა და ქართველ ახალგაზრდებს, არამედ სხვა მეზობელი სოფლის ახალგაზრდებს შორისაც. ფოკუს ჯგუფის წევრები აღნიშნავენ, რომ ახლა ახალგაზრდები ერთმანეთს „იცნობენ და მეგობრობენ“.

შეჯამება

შეიძლება ითქვას, რომ ორგანიზაცია ახდენს გავლენას როგორც ინდივიდუალურ, ისე თემის დონეზე, ხელს უწყობს თემის შეკავშირებას, ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას, არაფორმალური განათლების ხელშეწყობას, და, ზოგადად, თემის მცხოვრებთა გააქტიურებას.

ორგანიზაციის ზეგავლენა აშკარაა როგორც თავად ორგანიზაციის ლიდერებზე, ისე ბენეფიციარებზე. როგორც ერთ-ერთმა ლიდერმა ინტერვიუს დროს აღნიშნა, თუ ორგანიზაციაში ჩართვამდე ძირითადად ოჯახსა და შვილებზე ზრუნვით იყვნენ დაკავებულები, ორგანიზაციაში ჩართვამ მათ შესაძლებლობა მისცა, რომ ესწავლათ, ემუშავათ საკუთარ თავზე, ზრუნვა სხვებზეც გადაეტანათ და „უფრო სოლიდარულები და სოციალურები“ გამხდარიყვნენ. სულ ცდილობენ, რომ თავადაც ახალი რამე ისწავლონ და შემდეგ თავისი ცოდნა სხვებსაც გაუზიარონ.

რაც შეეხება ბენეფიციარებს, ორგანიზაციის აქტივობებში მონაწილეობამ მათ შეუცვალა დამოკიდებულებები და ღირებულებები. როგორც ფოკუს ჯგუფის რამდენიმე მონაწილემ აღნიშნა, ისინი მიხვდნენ, რომ თავადაც შეუძლიათ სასიკეთო გააკეთონ სოფლისთვის, რაზეც სათემო ორგანიზაციის აქტივობებში ჩართვამდე არც კი უფიქრიათ. ფოკუს ჯგუფის მონაწილეებში აშკარა იყო ზოგადი სურვილი და მისწრაფება, რომ თავიანთი საქმიანობით და აქტივობებით სოფელში დადებითი ცვლილებები შეიტანონ.

სათემო ორგანიზაციის ზეგავლენის კიდევ ერთი ასპექტი სწორედ არაფორმალური განათლების მიმართულებას უკავშირდება – როგორც ერთ-ერთმა სათემო ლიდერმა აღნიშნა ინტერვიუში, ეთნიკური უმცირესობების სოფლებში ახალგაზრდები ფაქტობრივად არ/ვერ იღებდნენ სრულ საშუალო განათლებას. ეთნიკური უმცირესობების სოფლებში სწავლება 9 კლასის ჩათვლით არის, შემდეგ მოსწავლეები ახალსოფლის სკოლებში უნდა გადმოვიდნენ სრული საშუალო განათლების მისაღებად, მაგრამ აღარ გადმოდიოდნენ. ორგანიზაციის მუშაობამ ვითარება შეცვალა – ერთმა ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელმა გოგონამ, რომელიც სათემო ორგანიზაციაში ინგლისურის კურსებს ესწრებოდა, 9 კლასის შემდეგ გააგრძელა სკოლაში სწავლა და უნივერსიტეტშიც ჩააბარა. 9 კლასის დასრულების შემდეგ ავარიელმა ახალგაზრდებმაც დაიწყეს ახალსოფლის სკოლაში გადმოსვლა და ამ წლების განმავლობაში კიდევ 4 მოსწავლე გახდა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი.

სათემო ორგანიზაციის ზეგავლენის კიდევ ერთი სფეროა ქალების გააქტიურება და სახლებიდან „გარეთ“ გამოყვანა. ორგანიზაციის ერთ-ერთი ლიდერის თქმით, ქალების რაიმე ღონისძიებაში ჩართვა წარმოუდგენელი იყო. დღეს კი, სახეზეა აშკარა ცვლილება – ორგანიზაციამ ეს მათი სპორტულ აქტივობებში ჩართვით მოახერხა – ქალები ფრენბურთს, ფეხბურთს თამაშობენ და ჩემპიონატებსაც მართავენ ისე, რომ ადგილობრივი სტადიონი მაყურებლებით გადაჭედილია.

ახალსოფლის სათემო ორგანიზაციის მუშაობის კონცეფცია, რომელიც მაქსიმალურად არის ჰორიზონტალური მართვის სისტემაზე აგებული – გადანაწილებული პასუხისმგებლობა და მართვაში ჩართულობა, წარმატებულად მუშაობს. ახალგაზრდები, რომლებიც ორგანიზაციის მართვაში არიან ჩართულები, თავად გეგმავენ და ახორციელებენ სხვადასხვა პროექტს. მართალია, ყველა პროექტი, შესაძლოა, არ იყოს ერთნაირად წარმატებული, მაგრამ ისინი საკუთარ შეცდომებზე სწავლობენ. ორგანიზაციის მუდმივი და სტაბილური დაფინანსება კი, მას

გარკვეულ თავისუფლებას და მოქნილობას ანიჭებს პროექტების განხორციელების თვალსაზრისით – მაგალითად, უკრაინაში რუსეთის მიერ დაწყებული ომის საპასუხოდ, მათ საქველმოქმედო აქცია გამართეს უკრაინის დასახმარებლად, ანუ, უცებ წამოჭრილ საჭიროებაზე შეუძლიათ სწრაფი რეაგირება, რაც მათ მუშაობას უფრო ეფექტურს ხდის.

3. ვარდისუბანი

შესავალი

სოფელი ვარდისუბანი ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში მდებარეობს. ის უფრო მცირე ზომის სოფლად შეიძლება ჩაითვალოს – 2014 წლის აღწერის თანახმად, სოფელში 1 036 ადამიანი ცხოვრობდა.[40] 2002 წლის საყოველთაო აღწერის შედეგებთან შედარებით, მოსახლეობა თითქმის 300 ადამიანით, ანუ 25%-ით არის შემცირებული. ეს, სავარაუდოდ, ან შიდა და გარე მიგრაციულ ნაკადებს, და/ან შემცირებულ შობადობას უნდა უკავშირდებოდეს.

ვარდისუბანი სათემო ცენტრია და რამდენიმე სოფელს აერთიანებს - მშვიდობიანი, საქობო, სვიდება.[41]

დაკვირვების შედეგები

სათემო კავშირი ვარდისუბანი 2014 წელს დაარსდა CSRDG-სა და საგა-ს პროგრამის ფარგლებში. სათემო კავშირ ვარდისუბანის ოფისი ერთ-ერთი მუნიციპალური შენობის მეორე სართულზეა განთავსებული. თავად ოფისი ახლად გარემონტებული და მოწესრიგებულია, თუმცა თავად შენობის დიდი ნაწილი მოუწესრიგებელია, ფანჯრებჩამტვრეული, და ზოგადად, საკმაოდ მძიმე შთაბეჭდილებას ტოვებს. როგორც ორგანიზაციის ლიდერმა არაფორმალურ საუბარში აღნიშნა, მან რამდენჯერმე მიმართა მუნიციპალიტეტს და სოფლის რწმუნებულს თხოვნით, რომ ამ შენობაში, სათემო კავშირის ოფისის წინ მდებარე

[40] bit.ly/3HQg3gd
[41] bit.ly/3HQg3gd

სრულიად განადგურებული ოთახიც გადაეცათ სარგებლობაში, რადგან ორგანიზაცია მათთვის გადაცემულ სივრცეში უკვე ვეღარ ეტევა. გადაცემა, ამ შემთხვევაში გულისხმობს, რომ სათემო კავშირი თავის თავზე იღებს ამ ფართის რეაბილიტაცია/რემონტს, რაც, უდავოდ, მისასალმებელი უნდა იყოს მუნიციპალიტეტისთვის.

სათემო კავშირის შემოსავლების ძირითადი წყარო საგრანტო კონ-კურსებია. თავისი არსებობის განმავლობაში, ის ფაქტობრივად, სულ მუშაობს, არ გაჩერებულა, და პანდემიის დროსაც კი რამდენიმე ჰუმანიტარული ხასიათის პროექტი განახორციელა. ორგანიზაციას ორი ლიდერი ჰყავს, რომლებიც, როგორც ჩანს, ეფექტურად უძღვებიან ორგანიზაციის მუშაობას, და სიახლეების მუდმივ ძიებაში არიან.

სათემო კავშირის მუშაობის ფოკუსი ძირითადად ქალები და ახალ-გაზრდები არიან. პროექტებიც, შესაბამისად, დიდწილად არაფორმა-ლურ განათლებას (სხვადასხვა სახის კურსები – მუსიკა, ხატვა, კერვა, თექა და ა.შ.) ეძღვნება. ამავე დროს, სათემო ორგანიზაცია დაკავებუ-ლია თემატური ტრენინგების/კურსების ჩატარებითაც, როგორიცაა, მაგალითად, გარემოსდაცვითი საკითხები, ან ქალთა ეკონომიკური განვითარებისკენ მიმართული აქტივობები. სათემო კავშირი ასევე ეხმარება დაინტერესებულ თემის წევრებს განაცხადების მომზადებაში სახელმწიფო თუ სხვა დონორი ორგანიზაციების მიერ გამოცხადებულ სოფლის მეურნეობის თუ ბიზნეს/საშემოსავლო საგრანტო კონკურსებში მონაწილეობის მისაღებად.

ფოტო 1–2. სათემო კავშირის ოფისი: მუსიკალური ინსტრუმენტების თარო და კავშირის ბენეფიციარების მიერ მიღებული ჯილდოები სხვადასხვა კონკურსებში.

თუმცა სათემო კავშირის ზოგიერთი პროექტის ზეგავლენა არა მხოლოდ ამ სამიზნე ჯგუფზე, არამედ მთელ სოფელსა და მეზობელ სოფლებზეც საგრძნობია. შესაფასებლად შერჩეული პროექტიც სწორედ ამის მაგალითია. პროექტი სახელწოდებით, „ჩვენ ვნერგავთ მომავალს“, 2016 წელს განხორციელდა და მისი ბიუჯეტიც სულ 10 040 ლარი იყო. პროექტი მიზნად ისახავდა ვარდისუბნის თემში შემავალი სოფლების - საქობო, მშვიდობიანი და სვიდება - „სოციალურად მძიმე მდგომა-

რეობაში მყოფი ოჯახებისთვის შრომის პირობების“[42] შემსუბუქებას წვეთოვანი სარწყავი სისტემების დამონტაჟების მეშვეობით.

პროექტი მხოლოდ 10 ოჯახს მოიცავდა, თუმცა მისი ზეგავლენა რამდენიმე დონეზე და უაღრესად მდგრადი აღმოჩნდა. პროექტი ადგილობრივი საჭიროებების სიღრმისეულ შესწავლას დაეფუძნა, რომელიც, ერთი მხრივ, ქალების შრომის შემსუბუქებას, ხოლო, მეორე მხრივ - შემოსავლების გაზრდას ისახავდა მიზნად. ეს პროექტი ასევე კარგი მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება შეცვალო მოსახლეობის სკეპტიციზმი ახალი ტექნოლოგიების მიმართ და დემონსტრირებისა და სწავლების მეშვეობით, ფაქტობრივად, არა მხოლოდ ამ კონკრეტულ სოფელში, არამედ მთელ თემსა და მუნიციპალიტეტში შეიტანო სოფლის მეურნეობის ინოვაციური ტექნოლოგიები.

ბენეფიციარები, რომლებსაც შეფასების ჯგუფი პროექტის განხორციელებიდან თითქმის 6 წლის გასვლის შემდეგ შეხვდა, უაღრესად ცხადად იხსენებდნენ როგორც პროექტის მიმდინარეობას, ისე დღემდე განიცდიან იმ ცვლილებებს, რაც ამ პროექტმა პირადად მათზე და მათი ოჯახების კეთილდღეობაზე იქონია. ასევე მნიშვნელოვანია, რომ შეფასების დროისთვის ფოკუს ჯგუფზე მოსულმა ყველა ბენეფიციარმა (4 ქალი) აღნიშნა, რომ ისინი დღესაც იყენებენ ამ სარწყავ სისტემას, არ გაფუჭებულა და თავის საქმეს ისევ ასრულებს.

პროექტის ფარგლებში ბენეფიციარებმა გაიარეს ტრენინგები სარწყავი სისტემების გამოყენების და მოვლა-პატრონობის შესახებ და ფოკუს ჯგუფზეც გაგვიზიარეს სხვადასხვა ტექნიკური საკითხი, რომელიც სარწყავი სისტემის გამოყენებას და შენახვას უკავშირდება. როგორც ბენეფიციარები აღნიშნავენ, ამ კონკრეტული პროექტის განხორციელებამდე ბოსტნების/ნარგავების მორწყვა სოფელში ტრადიციულად ქალების საქმედ მიიჩნეოდა. ეს „ადვილ“ საქმედ იყო მიჩნეული, თუმცა, როგორც ბენეფიციარი ქალები აღნიშნავენ, ისინი რამდენიმე საათს უნდებოდნენ ნარგავების მორწყვას, სველდებოდნენ და ხშირად

[42] პროექტის დოკუმენტაცია, მოწოდებულია სათემო კავშირ ვარდისუბნის მიერ.

ცივდებოდნენ ამის გამო. ასევე, ამ დროის განმავლობაში სხვა საქმის გაკეთებას ვეღარ ახერხებდნენ და, შესაბამისად, მორწყვის შემდეგ იწყებდნენ ოჯახის სხვა საქმეებს და ძალიან იღლებოდნენ. ბენეფიციარები ასევე აღნიშნავდნენ, რომ წვეთოვანი სარწყავი სისტემების დანერგვამდე, ხელით მორწყვისას, ისინი ვერ არეგულირებდნენ წყლის რაოდენობას. შესაბამისად, ხან მეტი, ხან ნაკლები წყლის გამო ზოგჯერ უფუჭდებოდათ მოსავალი.

ფოტო 3–5. პროექტის ერთ–ერთი ბენეფიციარის საკარმიდამო ნაკვეთში გადაღებული მომუშავე წვეთოვანი სარწყავი სისტემის კომპონენტები

ფოტო 4

ფოტო 5

შეჯამება

სათემო ორგანიზაციის მუშაობის და ამ კონკრეტული პროექტის შეფასების შედეგად შემდეგი დასკვნების გაკეთება შეიძლება:

1. იმის გათვალისწინებით, რომ სოფელში ფაქტობრივად სკოლის გარდა არ არსებობს სხვა საგანანმანათლებლო შესაძლებლობები, სათემო კავშირის მიერ გაწეული მომსახურება უდავოდ უაღრესად მნიშვნელოვანია თემის ბავშვების, ახალგაზრდებისა და ქალებისთვის.

2. ქალების შრომის შემსუბუქება და მათი დროის გამოთავისუფლება. სისტემების გამართვის შემდეგ მათ დიდი შვება იგრძნეს – დღეში რამდენიმე საათი გამოუთავისუფლდათ და შეძლეს სხვა საქმეებითაც დაკავებულიყვნენ. ბენეფიციარების ნაწილმა აღნიშნა, რომ ამ სისტემების დანერგვის შემდეგ მათ ოჯახის სხვა წევრებს „გადააბარეს“ მორწყვის საქმე და თვითონ ისეთი საქმეებით დაკავდნენ, რაც მათ უფრო აინტერესებდათ ან უკეთ გამოსდიოდათ.

3. ბენეფიციარი ოჯახების ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება. სარწყავი სისტემა ზუსტად დოზირებულად აწვდის წყლის სწორ რაოდენობას ნარგავებს, რის გამოც იზრდება მოსავლის ხარისხიც და ზოგადად მოსავლიანობაც. უფრო მეტიც, ბენეფიციარებს სეზონზე რამდენიმე მოსავალი მოჰყავთ. ყოველივე ეს კი მათი ოჯახების კეთილდღეობაზე აისახება, რადგან მათი შემოსავლები იზრდება.

4. გარემოსდაცვითი გავლენა: აღარ გამოიყენება ჭარბი წყალი, შესაბამისად, გარემოს ნაკლები ზიანი ადგება.

5. რეპლიკაცია თემში: როგორც ბენეფიციარები და სათემო კავშირის ლიდერი აღნიშნავენ, ამ სისტემების დანერგვის შემდეგ, თემის მცხოვრებლები აკვირდებოდნენ, აინტერესებდათ, თუ როგორ იმუშავებდა ეს სისტემა და რა შედეგს მოიტანდა. ხოლო როცა ნახეს, თუ რამდენად მომგებიანი იყო მისი გამოყენება, თავისი ხარჯებით დაამონტაჟეს.

როგორც ბენეფიციარები აღნიშნავენ, ამჟამად ეს სისტემები „ძალიან ბევრს“ აქვს სოფელში.

6. დაუგეგმავი შედეგი: როგორც აღმოჩნდა, სარწყავი სისტემების ზოგიერთი დანადგარი, ე.წ. „ამფიბია ძრავები“ ბენეფიციარებს ეხმარება, რომ მაქსიმალურად აირიდონ თავიდან ლაგოდეხის მუნიციპალიტეტისთვის ხშირი წყალდიდობები და სახლების დატბორვები. როგორც ერთ-ერთმა ბენეფიციარმა აღნიშნა, რაც მის ოჯახს ეს სისტემა აქვს, მისი სახლი აღარ იტბორება, რადგან ახერხებს წყლის სწრაფად და ეფექტურად ამოტუმბვას.

რომ შევაჯამოთ, ამ ერთმა ობიექტურად მცირე ზომის პროექტმა უაღრესად დიდი ზეგავლენა იქონია როგორც კონკრეტულ ბენეფიციარებზე, ისე მთელ თემზე და ხელი შეუწყო როგორც ქალების შრომის შემსუბუქებას, ისე შემოსავლების ზრდას, გარემოს დაცვას, და ასევე ჰქონდა მნიშვნელოვანი დადებითი დაუგეგმავი შედეგიც.

4. თეთრიწყაროს ახალგაზრდული ცენტრი

შესავალი

1990-იან წლებში თეთრიწყაროს მოსახლეობა თითქმის განახევრდა: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიხედვით, თუ 1994 წელს მუნიციპალიტეტი 39 400 ადამიანს ითვლიდა, 2000-იანი წლების დასაწყისში 21 ათასამდე შემცირდა და მას შემდეგ ეს ციფრი მნიშვნელოვნად აღარ შეცვლილა.[43]

ადგილზე ვიზიტისას თეთრიწყაროელები აღნიშნავდნენ, რომ მუნიციპალიტეტიდან მოსახლეობის გადინების მაჩვენებელი კვლავაც მაღალია, მაგრამ ამჯერად თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში ახალი მოსახლეების შემოდინებაც გაიზარდა, რადგან მუნიციპალიტეტი საზაფხულო და სააგარაკო სახლების მაძიებლებისთვის მიმზიდველი

[43]საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

აღმოჩნდა. ამიტომაც, ფიქრობდნენ, რომ მოსახლეობის გადინება და შემოდინება ერთმანეთს აბალანსებს, თუმცა კი, ჯენტრიფიკაციისა[44] და მკვიდრი მოსახლეობის შემცირების ხარჯზე.

ადგილობრივი მცხოვრებლები ყველაზე მეტად ახალგაზრდების გადინებაზე წუხდნენ, რადგან სასწავლოდ თუ სამსახურის საშოვნელად თბილისში წასულები, უკან ნაკლებად ბრუნდებიან: 2014 წლის საყოველთაო აღწერითაც დასტურდება, რომ ქვემო ქართლში თეთრიწყაროს მოსახლეობა ყველაზე ხანდაზმულია: მოსახლეობის 18,5% 65 წელს გადაცილებულია.[45]

მოსახლეობის 78% სასოფლო ტიპის დასახლებაში ცხოვრობს, და მხოლოდ 22% - საქალაქო დასახლებაში. თეთრიწყარო გამოირჩევა ეთნიკური და რელიგიური მრავალფეროვნებით: მუნიციპალიტეტში ცხოვრობენ აზერბაიჯანელები (7,3%), სომხები (7,3%) და სხვა ეროვნებით არა ქართველი მოსახლეობა (2,9%), აღმსარებლობის მიხედვით კი, 84,3% მართლმადიდებელია, 10,9% - მუსლიმი, 4,8% სხვა რელიგიური აღმსარებლობის მქონეა.

უმუშევრობა, სიღარიბე, დემოგრაფიული პრობლემები, ეთნიკური და კულტურული მრავალფეროვნება, ინტეგრაციისა და ინკლუზიური განვითარების საჭიროება - ეს ის საკითხებია, რომელთა ჭრილშიც მოსახლეობა თეთრიწყაროს ახალგაზრდული ცენტრის მნიშვნელობაზე საუბრობდა: რესპონდენტები აღნიშნავდნენ, რომ სათემო ორგანიზაცია ახალგაზრდებს საკუთარ თემში დარჩენის, მასზე ზრუნვისა და განვითარების მოტივაციას აძლევს. ამასთანავე, ის ხელს უწყობს უმცირესობებისა და სხვადასხვა სოციალური ჯგუფების ერთმანეთთან დაახლოებას და მათ შორის ნდობის გაზრდას, რადგან სათემო ორგანიზაცია ინკლუზიურია და მისი „კარი ყველასთვის ღიაა“.

---

[44]ჯენტრიფიკაცია გამოიხატება თეთრიწყაროს პრესტიჟული ქუჩებიდან ღარიბი მოსახლეობის გადასახლებასა და მათ ნაცვლად სხვა ქალაქებიდან შეძლებული დამსვენებლების გადმოცხოვრებაში, რომლებიც თეთრწყაროში საზაფხულო აგარაკებს ყიდულობენ. ჯენტრიფიკაციის შესახებ იხილეთ: bit.ly/3JpEXnT

[46]საქართველოს 2014 წლის მოსახლეობის აღწერის ძირითადი შედეგები: გვ. 333-338.

დაკვირვების შედეგები

ახალგაზრდულ ცენტრს ქალაქში ბევრი იცნობს. სათემო ორგანიზაცია ქალაქის ცენტრში მდებარეობს და სტუმარს ქალაქის მცხოვრებლები გზას ადვილად მიასწავლიან: მუნიციპალიტეტში შესვლისთანავე, ორგანიზაციას თუ მოიკითხავთ, მაღაზიის გამყიდველიც კი მიგასწავლით, რომ რუსთაველის ქუჩაზე „მოხატულ შენობასთან“ უნდა მიხვიდეთ.

ფოტო 1: თეთრიწყაროს ახალგაზრდული ცენტრი

ახალგაზრდული ცენტრის მოხატული შენობა მართლაც ადვილი მისაგნებია. გრაფიტი და ქუჩის მხატვრობა ცენტრის ერთ-ერთი სავიზიტო ბარათია: თემის წევრებმა, არა მარტო საკუთარი ორგანიზაციის შენობა მოხატეს, არამედ - მუნიციპალიტეტში სკვერებისა და გაჩერებების მოხატვის კამპანიაც წამოიწყეს და საჯარო ინფრასტრუქტურაზეც ზრუნავენ. ფოკუს ჯგუფის ერთ-ერთი მონაწილე ამბობდა, რომ მას

შემდეგ, რაც სათემო ორგანიზაციის მუშაობაში ჩაერთო, საჯარო სიკეთეები მეტად დააფასა და ახლა მეტი მოტივაცია მიეცა, რომ საკუთარი მუნიციპალიტეტი გაალამაზოს: „კედლების ნაწილი ჩვენივე ხარჯებით მოვხატეთ – ქალაქი გვინდა, რომ გავაფერადოთ“.

ფოტო 2. თეთრიწყაროს მოხატული ავტობუსის გაჩერება

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელი აღნიშნავდა, რომ თეთრიწყარო „ღარიბი მუნიციპალიტეტია“ და მსგავსი ადგილობრივი ინიციატივებისა თუ ახალგაზრდების მხარდაჭერის გარეშე ხელისუფლებას მნიშვნელოვანი ცვლილებების მიღწევა გაუჭირდებოდა. ამიტომაც, ახალგაზრდების ინიციატივებს მიესალმებიან და რითაც შეუძლიათ, გვერდით უდგანან.

მუნიციპალიტეტის გვერდზე დგომა პირველ რიგში ორგანიზაციისთვის შენობის გადაცემაში გამოიხატა: მუნიციპალიტეტი ახალგაზრდულ ცენტრს ორ-ორი წლით უხანგრძლივებს შენობით უსასყიდლოდ

სარგებლობის უფლებას. ამბობენ, საშუალება რომ გვქონდეს, უფრო ხანგრძლივადაც გადავცემდით, რათა უფრო ხანგრძლივი პროექტები დაგეგმონო. თვითმმართველობის წარმომადგენელის თქმით, ადგილობრივ ხელისუფლებას ორ წელზე მეტი ხნით ამ სივრცის გადაცემის უფლება არ აქვს; ისინი თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმს აკეთებენ, დანარჩენი კი ცენტრალურ ხელისუფლებაზეა დამოკიდებული.

2018 წლის შემდეგ, ანუ მას შემდეგ, რაც ორგანიზაციას შენობა გადასცეს, თემის წევრები დამატებითი სახსრების მოძიებითა და მოხალისეობრივი ენთუზიაზმით სივრცის მოწყობას თავად ცდილობენ: ორგანიზაციაში ვიზიტისას თემის წევრები სიამაყით ათვალიერებინებდნენ დამკვირვებელს ოთახებს და აღნიშნავდნენ, რომ ეს ყველაფერი „საკუთარი ხელებით“ მოაწყეს: „აი, თქვენ რომ ზიხართ, ეგ სკამი მე თვითონ ავაწყე“ - ამბობდა ერთ-ერთი მათგანი.

ფოტო ვ. ხელნაკეთი სკამები

ის ფაქტი, რომ თემის წევრები თვითონაც აქტიურად მონაწილეობდნენ ორგანიზაციის განვითარებაში და „საკუთარი ხელებით“ მუშაობდნენ, მათში ორგანიზაციის მიმართ კუთვნილების გრძნობას აძლიერებდა: რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ სათემო ორგანიზაციაში ისინი თავს შინ გრძნობდნენ. მაგალითად, ფოკუს ჯგუფის ერთ-ერთი მონაწილე, რომელიც ამ შეფასების პერიოდში თბილისში სწავლობდა, ამბობდა, რომ ეს ორგანიზაცია რომ არა, თბილისიდან აქ დასვენებებზეც კი აღარ ჩამოვიდოდა. თუმცა, ახლა არა მარტო თვითონ ბრუნდება, არამედ თანაკურსელები და მეგობრებიც ხშირად ჩამოჰყავს, რადგან იცის, რომ ახალგაზრდულ ცენტრში მეგობრებს გააცნობს და გაერთობიან. კარგი სივრცეა და ყველას მოსწონსო, - მეუბნებოდა.

სივრცე სტუმრებსაც და მასპინძლებსაც მოსწონთ, იმიტომ, რომ იქ რაღაც ხდება და მუნიციპალიტეტს აცოცხლებს: იმართება კინოჩვენებები, დისკუსიები, ეწყობა ლაშქრობები და საგანმანათლებლო ტურები. ორგანიზაციაში ახალგაზრდები მათთვის უცხო და საინტერესო ადამიანებს ეცნობიან. ამავე სივრცეში შეიძლება შეხვდნენ როგორც შორეული სოფლიდან ღონისძიებაზე ჩამოსულ ახალგაზრდას, ისე თანაკლასელს, რომელსაც აქამდე ვერ უგებდნენ. ასევე, შეხვდებით ტურისტებს ან სხვა ქალაქიდან ჩამოსულ დამსვენებლებს, რომლებიც ხალხმრავლობას უერთდებიან და დროს ორგანიზაციის ეზოში ატარებენ. მოკლედ, შეხვედრის ადგილია და როგორც ორგანიზაციის ერთ-ერთმა წევრმა აღნიშნა, სამუშაო პროცესის გარდა „პროგრესული ბირჟის“ როლსაც ასრულებს: არც მშობლები ნერვიულობენ, რადგან გვენდობიან და ხვდებიან, რომ უბრალოდ ბირჟა კი არა, „პროგრესული ადგილია“.

მიუხედავად იმისა, რომ სათემო ორგანიზაციას გამოკვეთილი ლიდერი და ხელმძღვანელი ჰყავს, მმართველობის ფორმა მაინც ნაკლებად იერარქიულია. ჰორიზონტალური ორგანიზაციული სტრუქტურა კიდევ ერთი მიზეზია, რითიც თემის წევრები ჩასულ სტუმრებთან თავს იწონებდნენ. ხანდახან „ლუსო (ლიდერი), გასაღებს ჩვენ გვიტოვებს და

შეგვიძლია, როცა გვინდა, მაშინ მოვიდეთო“ – უხაროდა ერთ-ერთ წევრს, რომელიც ორგანიზაციის საქმიანობაში ახლახან ჩაერთო და ახალი მეგობრებიც აღმოაჩინა: 9 წელია ჩემი კლასელია და აქ დავმეგობრდითო – ახალგაზრდები გახარებულები საუბრობდნენ ერთმანეთზე.

გარდა იმისა, რომ ორგანიზაცია სოციალური კაპიტალის ზრდას, ნდობის გამყარებას და სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფის თემში ინტეგრაციას უწყობს ხელს, ახალგაზრდული ცენტრი მიზნად ისახავს თემის საგანმანათლებლო და ეკონომიკურ გაძლიერებასაც. ორგანიზაციას აქვს შეხვედრების ოთახი, სადაც საერთო პროექტებს ამუშავებენ და ტრენინგებიც ტარდება: მაგალითად, ერთ-ერთი მონაწილე ჰყვებოდა, რომ ცოტა ხნის წინ CV-ის (რეზიუმეს) და სამოტივაციო წერილის წერა ისწავლა: „აქ რომ თავიდან მოვედი, მეგობარი მეუბნებოდა, რისთვის კარგავ დროსო, მერე თვითონ დასჭირდა CV-ს დაწერა და მე რომ

ფოტო 4: შეხვედრების ოთახი

დავეხმარე, მიხვდა, რომ საჭირო ყოფილა“. მეორე ახალგაზრდამაც დაადასტურა, რომ ორგანიზაციაში მიღებული ცოდნა პირადად მას დასაქმებაში დაეხმარა.

ფოკუს ჯგუფის მონაწილეებიც ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ ორგანიზაცია პრაქტიკული ცოდნის მიღებაში ეხმარებათ - იქნება ეს იოგა, ინფოგრაფიკების დიზაინი თუ კომპიუტერული პროგრამების შესწავლა.

შეჯამება

ეთნოგრაფიული დაკვირვების შედეგები თემის ლიდერთან, ბენეფიციარებთან და თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ჩატარებული ინტერვიუების მსგავსია: ყველა მასალა ორგანიზაციის მაღალეფექტურობაზე მიუთითებს; ორგანიზაციის მუშაობა კი თემის საჭიროებებს შეესაბამება და მოსახლეობის რეალურ პრობლემებზეა მორგებული. მცირე რესურსებით ორგანიზაციის წევრები ამბიციური მიზნების მიღწევას ცდილობენ, და ამაში მათ მაღალი ენთუზიაზმი, გუნდური მუშაობა და ურთიერთპატივისცემა ეხმარებათ.

ორგანიზაციას თემზე დადებითი ზეგავლენა აქვს, რითაც მონაწილეები ამაყობდნენ: მათ აღქმაში, ახლა თემი უფრო ფერადი და აქტიურია — აქვთ განათლების მიღების, თავშეყრის, კულტურული საღამოების მოწყობისა და სპორტული აქტივობების დაგეგმვის შესაძლებლობა. ამ აქტივობებით ამავე თემის ახალგაზრდები სარგებლობენ და მომავალსაც უფრო იმედიანად უყურებენ. ეს ორგანიზაცია რომ არა, თემის ახალგაზრდებს მნიშვნელოვანი დანაკლისი გაუჩნდებოდათ: მათ არ ექნებოდათ არაფორმალური განათლების მიღების საშუალება, შეხვედრის ადგილი, თანამოაზრეებთან ერთად პროექტების განხორციელების პერსპექტივა, კულტურული საღამოები თუ ლაშქრობები - ახალგაზრდები ნაკლებად პროდუქტიულები და მეტად მოწყენილები იქნებოდნენ. ამ შთაბეჭდილებას ადასტურებენ, როგორც თავად ახალგაზრდები, ისე მათი მშობლები და უფროსი თაობაც.

რაც შეეხება მდგრადობის კომპონენტს, აქ მთავარი კითხვა ორგანიზაციის შენობას ეხება, რომელიც თვითმმართველობამ ორი წლის ვადით გადასცა: მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი ხელისუფლება მხარდაჭერას გამოხატავს, უფრო ხანგრძლივი ვადით შენობის გადაცემა ახალგაზრდულ ცენტრს მსხვილი პროექტების მოზიდვის საშუალებას მისცემდა და ორგანიზაციის მდგრადობა გაიზრდებოდა.

ამასთანავე, როგორც ჩანს, ორგანიზაციული განვითარების სტრატეგია უპირატესობას შედარებით არაფორმალურ და ჰორიზონტალური მმართველობის სტრუქტურას ანიჭებს, რაც, როგორც სათემო ორგანიზაციის მოდელი, მიმზიდველი და საინტერესოა; თუმცა, იმისთვის, რათა ორგანიზაციამ მდგრადობა შეინარჩუნოს, ისეთი ფორმალური მექანიზმების ინსტიტუციონალიზაციაც დაეხმარებოდათ, როგორიცაა მონიტორინგის, შეფასებისა და სწავლის სისტემების დანერგვა და რეგულარული კვლევების ჩატარება.

თბილისი 0177,
ჯებაშვილის I გასასვლელი N5

office@csrdg.ge

(+995 32) 2 39 90 19

www.csrdg.ge
www.cdrc.ge